კაცის თითები ნელ-ნელა ზემოთ აცურდა და ძუძუსთავები რბილად დასრისა. გოგონა უსიამოდ შეირხა, თითებს დასწვდა და ისევ მუცლისკენ ჩააცურა, ჩაღვენთილ ჭრილთან მოამყუდროვა.

კაცმა სასურველი სირბილე ისევ შეიგრძნო.

გოგონამ ფეხები უფრო მოხერხებულად გაშალა, თითქოს იდუმალ თითებს სიღრმეში შეღწევის საშუალება მისცა, მერე უჩვეულოდ შეირხა, წამიერად გაიძაგრა, თითებს ბარძაყები მსწრაფლ მოუჭირა და სხეულის ყველა უჯრედიდან სიმხურვალე გამოდევნა — კვლავ წებოვანი სისველე გამოყო.

კაცს ყრუ გმინვა აღმოხდა, სასიამოვნო ტკივილისგან დაჭიმული სხეული თითქოს ორ ქალს გაუწილადა, მათში განივრცო და გაითქვიფა: ვასილისას შეკავებულ კვნესასა და ამელიას უჩვეულო შეკრთომაში სიზმარცხადისეული შერწყმის ნეტარება განიცადა.

გოგონა გაილურსა, თითქოს ქალური ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილა — იმ საიდუმლოს ეზიარა, დასაბამიდან ცოდვისა და სიკეთის სათავედ რომ ქცეულა — საკუთარი სხეულის მარადიული დანიშნულება საბოლოოდ შეიგრძნო და ფარული ვნების თანაზიარი გახდა.

კაცს გათენებამდე თვალი არ მოუხუჭავს – სინდისი ქენჯნიდა, საყვარელ ქალს ყველაზე ძვირფასს პარავდა, გულისთქმას აყოლილი მის ნდობას ავხორცული კმაყოფილებით იყენებდა და ისე აბრიყვებდა, როგორც – ოდესღაც ევ-

დოკია გიორგევნას.

ვასილისას მშვიდად ეძინა.

ამელიამ მომდევნო ღამეს ისევ მათ გვერდით დანოლა მოიწადინა, წუხანდელი შიში ჯერაც არ გამნელებიაო.

ბენიამინი დასაძინებლად სასტუმრო ოთახში გავიდა, მაგრამ ვასილისამ არ დაანება, მოსარიდებელი არაფერი გაქვსო და, ქალიშვილი საყვედურებით აავსო, მომაბეზრებლად ჭირვეულობო.

კაცს ცალკე დანოლა დიდად არც დაუჟინია — სასურველი სხეული თავისთან უხმობდა.

საბნის ქვეშ შეყუჟული ამელია დაგეშილივით გასუსულიყო.

ვასილისას საყვარელი კაცის მკლავზე უდარდელად ეძინა.

ბენიამინმა როდის-როდის პირი იბრუნა და ამელიას საბანს თითებით წაეპოტინა, უმწიფარი ვნების მომნუსხველი სითბო შეიგრძნო, თუმცა, ყოვლისმომცველი სურვილის მიუხედავად, ხელი ვერაფრით გაატოკა — გაუშეშდა და მომლოდინე სხეულს ვერ მიაკარა – თითქოს მასსა და უცოდველობას შორის უზარმაზარი უფსკრული გაჩენილიყო.

გამბედაობამ კი არ უმტყუნა, სინდისმა შებოჭა — ფარხმალი დააყრევინა.

გოგონა თითქოს არ სუნთქავდა, წინაღამინდელი სიამოვნების განცდას ჩასაფრებული ელოდა — მამობილის ღალატი ართობდა და მის ერთგულებას მწარე გამოცდას უწყობდა.

კაცი სიმწრის ოფლში ცურავდა, ცახცახებდა და უმწეოდ კვნესოდა – უსუსურობის მტანჯველ შეგრძნებას თავს ვერ აღწევდა და ვერც ცოდვიანი ნეტარებით დატკბობას ახერხებდა, უმოქმედობით გაშეშებული ვნებისა და სიგიჟის ზღვარზე იტანჯებოდა.

— ბენიამინ, ბენიამინ, რა მოგდის?! ცუდი სიზმარი ნახე?! – ვასილისას შეშფოთებულმა ხმამ გამოაფხიზლა.

— ჰო, კოშმარი!.. – უგერგილოდ ამოილუღლუღა კაცმა და თითქოსდა ახლახან მოფხიზლებული ქალის მკლავს ისე ჩაეჭიდა, როგორც უფსკრულისკენ დაქანებული მთასვლელი — კლდის შვერილს.

დიდხანს არ დაეძინა, ამელიას მოუსვენარი სუნთქვა და ჯიუტი მოლოდინი ჯოჯოხეთურად აწამებდა.

გათენებამდე ფიქრობდა, ბოლოს ღრმა სინანულში ჩავარდა: დედა-შვილთან ურთიერთობას მეტად აღარ შებღალავდა, პატიოსნებისა და გარყვნილების შეუთავსებლობას მთელი არსებით გაემიჯნებოდა, გოგონასგან შორს დაიჭერდა თავს და მისი დაუფლების სურვილს გულის სიღრმეში დაიმარხავდა...

...ხეივანში პირბადიანი მარიამი გამოჩნდა, შეყოვნდა, თითქოს რეაბილიტაციის ცენტრიდან გამოსულ პაციენტებს გზა დაუთმო და გისოსებისკენ შებრუნდა.

ბენიამინს მხედველობის არეალი დაებინდა და უცებ მზის შუქში გახვეული ვასილისა მოეჩვენა – თითქოს გარეთ უხმობდა, კმარა ამდენი ტანჯვა-წამებაო.

კაცი შეშფოთდა, თავში სისხლის ავარდნა იგრძნო და ფანჯარას გაეცალა.

ღრმად ჩაეძინა; საკუთარმა ხმამ გამოაღვიძა; ამ დროს კარს მიღმა ფაჩუნი მოესმა, წამოიჭრა და ხელში კედელთან ატუზული ოტელო შერჩა.

— მოყურადებული ხარ?! – გაგულისებით ჰკითხა.

— გიჟებისგან გიცავ, ზედმეტად არ შეგაწუხონ! – თავი იმართლა ოტელომ და დაჩვრეტილ ნიკაპზე თითი დაიტრიალა. – ნუ გეშინია, მე შენი მესაიდუმლე ვარ!.. – დამამშვიდებლად დასძინა, თვალებში ეშმაკები აუთამაშდა.

— მომწყდი! – გაწყრა ბენიამინი და კარი მოიხურა, ისევ გისოსებს მიადგა.

მარიამი აღარსად ჩანდა.

დედამიწას ადრეული გაზაფხულის მზე აცხუნებდა.

ჩიტები ანცობდნენ.

მინდვრის ბოლოში ხის ფარდული და ძელსკამი იდგა.

ქალების განყოფილებიდან რამდენიმე ავადმყოფი სასეირნოდ გამოეყვანათ. მალე ბილიკზე უგემოვნოდ ჩაცმული მამაკაცები გამოჩნდნენ, საჭმლის ქვაბები მიჰქონდათ და საავადმყოფოს სასადილოსკენ მიიჩქაროდნენ, მინდვრის ნაპირთან თავშეყრილ ქალებს შორიახლოს ჩაუარეს და მათ გამომწვევ ქირქილს კისრის მოღრეცით უპასუხეს.

— შენი ნაპირალი კოკიდან წყალს დავლევ და შენს მონაწევ სიგარეტსაც გავაბოლებ! – ქალებიდან ვიღაცამ კაცების ყურადღება მხატვრული შეხმიანებით მიიპყრო, ნახევრად მოწეული სიგარეტი ერთ-ერთს გაუშვირა, თითქოს დუელში გამოიწვია, მეორე ხელი წელზე შემოიჭდო და უჩვეულო პოზაში გაირინდა.

კაცები უხმოდ განაგრძობდნენ გზას.

— მაგ ქვაბებს მატლიანი ბორშჩით აგივსებენ! – გაბრაზდა ქალი და მისი სამიზნე მამაკაცი კაბის მაღლა აწევით გამოაჯავრა.

მას მშვენიერი ბარძაყი გამოუჩნდა.

სანიტრები ფარდულში ისხდნენ და ლაქლაქით ერთობოდნენ.

სასადილოსკენ მიმავალ ავადმყოფებს ერთი ახალგაზრდა კაცი გამოეყო, ქვაბი იქვე, ხის ძირას დადგა და კაბააკაპიწებულს მიუახლოვდა – გამოწვდილი სიგარეტი უხმოდ გამოართვა და დინჯად გააბოლა.

წყვილი ძელსკამზე ჩამოჯდა.

კაცი სიგარეტს ეწეოდა და რაზე ფიქრობდა, ეშმაკმა უწყოდა.

მათი დუმილი თითქოს ფარულ შეთანხმებას მოასწავებდა, თუმცა ის აღარ იცოდნენ, რაზე უნდა შეთანხმებულიყვნენ.

ბოლოს კაცი ადგა, სიგარეტის ნამწვი ხეს მიასრისა და იქაურობას დინჯად გაეცალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი ჯერ დაედევნა, მერე გაჩერდა და კაბა ისევ აიკაპიწა.

— ბიჭო!.. – მოახედა. – ხვალაც გამოიარე და სიგარეტს მოგაწევინებ!.. – და კვლავ უჩვეულო პოზაში გაირინდა.

კაცმა ქვაბი ისე აიღო, მოშიშვლებული ფეხისთვის თვალი არ მოუცილებია.

ბენიამინი წამოწვა...

...ამელია ზოგჯერ არაფრად აგდებდა, მოურიდებლად ექცეოდა – თითქოს იდუმალ ბრძოლას უცხადებდა და გარდაუვალ მარცხს უქადდა – ქუჩაში უბნის ბიჭებთან საათობით ლაზღანდარობდა, თანატოლებს სახლში კვლავ იწვევდა და მომაბეზრებელი მუსიკით ერთობოდა.

ბენიამინს სინდისის ქენჯნასთან ერთად ფარული შურიც იპყრობდა, ფიქრობდა, ამელიამ რაც ჩემთან განიცადა, ახლა იმას სხვა ბიჭთანაც ცდისო – მისი აზრით, ვინც ვნებას ერთხელ გემოს გაუსინჯავდა, მას ვერაფერი დააოკებდა.

— ამ კაცის მორიდება მაინც გქონდეს! – ვასილისა შინ გვიან დაბრუნებულ ქალიშვილს საყვედურობდა

— ვინ კაცის?! – ქალიშვილი ირონიულ გაოცებას ვერ ფარავდა.

— ვინც შენი კეთილდღეობისთვის საკუთარ მამასავით ზრუნავს! – ბრაზობდა ქალი.

— საკუთარი მამილო, არა?! – დამცინავად იკითხავდა გოგონა და ბენიამინს შემრისხავად გახედავდა.

— უმადურო, დაუნახავო! – მიალანძღავდა დედა.

კაცი დამნაშავესავით დუმდა, ამ ოჯახში უკვე აღარ დაედგომებოდა — თავს ზედმეტად გრძნობდა.

სამი დღე აღარ გამოჩენილა, თითქოს ვასილისას გაუნაწყენდა — ბოლოს დაურეკა და მისი მოლოდინით გაწამებული ხმა რომ გაიგონა, გული მოულბა, საღამოს მასთან დაბრუნდა და თვალაცრემლებული გულში ჩაიკრა.

მას შემდეგ ხშირად ექცეოდა ასე: ამელიათი უკმაყოფილო, ჯავრს თითქოს ვასილისაზე იყრიდა და რამდენიმე დღით უჩინარდებოდა.

საყვარელ ქალს მის მოლოდინში თვალები უღამდებოდა, არ მიმატოვოსო, მარტოობის შიში იპყრობდა, ვერაფრით ხვდებოდა, ბენიამინს რა დარდი ღრღნიდა.

კაცი ასე უცნაურად განგებ იქცეოდა – ამ გზით თითქოს ამელიას მორჯულება სურდა: იქნებ დედის სავალალო მდგომარეობამ შეაწუხოს და ლმობიერად მომექცესო.

ვასილისასგან ცოტა ხნით განშორება სულის მოთქმასავით სჭირდებოდა, თითქოს ტაიმ-აუტს იღებდა – უკეთეს მოლოდინს ებღაუჭებოდა: მალე გოგონა თავის ბედს ეწევა და საბოლოოდ მოვისვენებო.

ამელია ფუქსავატურ ცხოვრებას უშურველად განაგრძობდა – არდადეგებზე ევდოკია გიორგევნასთან მიემგზავრებოდა და იქიდან საგრძნობლად გაბოროტებული ბრუნდებოდა, ვიდრე ცუდი ემოციებისგან დაიცლებოდა და ვასილისას მოთმინებას წირვას არ გამოუყვანდა, მანამ არ ცხრებოდა, გველივით იგესლებოდა და დედის საყვარელს მოსისხლე მტერივით უქიზინებდა.

ბენიამინი მალე სამთავრობო დელეგაციასთან ერთად ბრიუსელში გაემგზავრა და ორი კვირის შემდეგ ევროპული შთაბეჭდილებებით დაბრუნდა – კარი საყვარელ ქალთან შეხვედრის მოსალოდნელი სიხარულით შეაღო; ვასილისა ცოცხალ-მკვდარი დაუხვდა, „ამელია გათხოვდა... გაიპარა!" ძლივს გამოცრა ქალმა და აუწერელ დარდთან ერთად ის ქვეცნობიერი სიმშვიდეც დაეუფლა, საყვარელი ადამიანის გამოჩენამ რომ გამოიწვია.

ამელიამ საკუთარი ბედი ვიღაც კალათბურთელს დაუკავშირა. წყვილი პირველად ევდოკიას ესტუმრა. ქალი მათ სიხარულით გაუმასპინძლდა, შვილიშვილს საქციელი მოუწონა: ყოჩაღ, გველების ბუდეს დროულად გამოერიდე-ო!

ვასილისას ბოღმა ახრჩობდა, წუხდა, სიძე-ქალიშვილი არაფრად მაგდებსო.

ბენიამინი გულწრფელად უთანაგრძნობდა და ღრმა სინანულს გამოხატავდა, ჩემ გამო ყველაზე ახლობელი ადამიანები გაანაწყენეო.

სამაგიეროდ შენ შეგინარჩუნეო, ბედნიერი ღიმილით ამშვიდებდა ქალი.

კაცი თავს დამნაშავედ გრძნობდა, თუმცა ვასილისას სიყვარული შეუწყნარებელ ცოდვადაც უღირდა — ახლა მყუდროებას აღარავინ დაურღვევდა, ვერც აცდუნებდა და აღარც სინანულში ჩავარდებოდა.

ბენიამინს დედაც და მამაც ერთ ზამთარს გარდაეცვალა. ვასილისამ დამწუხრებულ ოჯახს ნამდვილი ჭირისუფლობა გაუწია, ვარამი ალალად გაიზიარა – საკუთარი დედა და ქალიშვილი ენატრებოდა, მაგრამ არაადამიანურ მოთმინებას ინარჩუნებდა და საყვარელ ადამიანს თავისი დარდით არ აწუხებდა.

ის მხოლოდ ბენიამინისთვის არსებობდა...

...პალატის მოპირდაპირე კედელზე ვიღაცას ისარმომართული კუპიდონი მიეხატა.

ხატვა მარტო ფროიდს ეხერხებოდა.

მალე ოტელო გამოჩნდა, შეყვარებულთან მივდივარ და გზის ფული მასესხეო.

— ჯერ ეს ნახატი წაშალე, მერე მაგის ავტორი დამიდგინე და რასაც მთხოვ, მიიღებ! – პირობა დაუდო ბენიამინმა.

— წაშლით ახლავე წავშლი, ხოლო მაგის ავტორი რომ ფროიდია, მაგას რა დადგენა უნდა! – მიუგო ოტელომ და კედელთან მივიდა, ფეხის წვერებზე შედგა და ფანქრით ნაცოდვილარი ფანელის სახელოთი წაშალა.

— შეყვარებულთან კი არა, ზღურბლს იქით არ გაგახედებენ! – გამოაჯავრა ბენიამინმა, ხურდა გაუწოდა და მობეზრებით დასძინა: – იმ გიჟს გადაეცი, კედელზე ჯღაბნას, ეშმაკი მოარჯულოს, ის ურჩევნია!..

ოტელო თითქოს დავალების შესასრულებლად

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიდა, თუმცა მალევე გადაიფიქრა, დერეფანში ნოე გამოიჭირა და ფროიდზე კარგა ხანს ეჭორავა, მთელი ღამე ეშმაკს არჯულებდაო. ნოე უნდობლად უსმენდა, ცქმუტავდა, ცხადად ეტყობოდა, ვერაფერი გაეგო. ბაზალეთელი გიჟი კი წინ და უკან დადიოდა, „ცხვარს თონესავით ცხელი ხვრელი აქვს!" უაზროდ გაიძახოდა და ოტელოს უთვალთვალებდა, ალიყური არ მომდოსო.

ამ დროს პალატიდან გარდაბნელი თენგო გამოლასლასდა, გამოთაყვანებული ჩანდა, ვერავის ცნობდა, აღარც შეყვარებული ახსოვდა და არც რუსთავში მასთან ერთად ცხოვრების სურვილი აწუხებდა — პრეტენზიასაც აღარ გამოთქვამდა, გიჟი არ ვარო.

ოტელო კარისკაცს მიუახლოვდა, ხურდა უჩვენა და შეყვარებულთან მივდივარო, თავდაჯერებით აუწყა...

...გაზაფხულის დამდეგს ვასილისამ მამისგან დანატოვარი საცხოვრებელი გაყიდა და ქალაქის გარეუბანში კეთილმოწყობილი ბინა შეიძინა.

ბენიამინს სამსახურიდან დაბრუნება პატარა ბიჭივით უხაროდა — ქალი მუდამ ბედნიერი ღიმილით ეგებებოდა.

ერთ დღეს მათი მყუდროება ამელიას მოულოდნელმა ტელეფონის ზარმა დაარღვია; ქალიშვილმა მშობელი თბილად მოიკითხა, ფეხმძიმედ ვარო, აუწყა და კაფეში შეხვედრა დაუთქვა.

ვასილისა შეხვედრიდან კმაყოფილი დაბრუნდა, — სიძე გავიცანი, კარგ ოჯახში აღზრდილი ჩანს!.. — ახარა ბენიამინს.

კაცი საფიქრალში ჩავარდა, უსიამო წინათგრძნობამ შეიპყრო: ამელია დედასთან ურთიერთობას შემთხვევით არ განაახლებდა – მათი შეხვედრა მარტო მონატრებას არ ეყრდნობოდა — ქალიშვილი თითქოს თადარიგს იჭერდა და მომავლისთვის უზრუნველ ნავსაყუდელს იმზადებდა.

მალე გოგონა შეეძინა.

ბავშვს ევა დაარქვა.

ახალმოლოგინებული კი სამშობიაროდან პირდაპირ დედასთან გადმობარგდა, ნებაზე მოვხალვათდებიო.

კალათბურთელი სიძე იმ დღიდან აღარ გამოჩენილა – იშვიათად რეკავდა და ცოლ-შვილის ამბავს მწირედ კითხულობდა; ბოლოს საბერძნეთში გაემგზავრა, რომელიღაც საკალათბურთო კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ცოლს შემოუთვალა, ჩემზე აღარ იდარდოო.

ამელია მშობიარობის შემდეგ მეტად მომხიბვლელი გახდა. უქმრობას სულაც არ ნაღვლობდა, ღამის კლუბებში დადიოდა, სიგარეტს აბოლებდა და ვნების აღმძვრელ ნაკვთებს მოურიდებლად ამზეურებდა – შინ მუდამ შალითად ჩაცმული დაიარებოდა, ოდნავ წახრილს ქვედა საცვალი უჩანდა, ტელეფონზე საათობით ლაზღანდარობდა, გამომწვევად კისკისებდა და უკანალს აქნევდა, თითქოს იქვე დაგულებული „მამილოს" ღირსებას ეროტიული ახირებით შეურაცხყოფდა.

ბენიამინი ძუძუმწოვარა ევასთვის არაფერს იშურებდა, საჭირო ნივთებს ყიდულობდა, სამსახურიდან დაბრუნებულს ხელში აჰყავდა და ხალისით ეფერებოდა — თითქოს ფარულად დედიკოს გულს ინადირებდა.

ამელია დროდადრო ეშმაკურად იქცეოდა, ბენიამინს აღარ ექიშპებოდა, პირიქით, ეპირფერებოდა კიდეც – შეთქმულივით უღიმოდა, თითქოს მისგან მორჩილებას ითხოვდა — მას უკვე ხორციელი ტკბობის საკმარისი გამოცდილება ჰქონდა, მამრში ვნებას ადვილად გააღვივებდა და ყველაფერს თავის ნებაზე წარმართავდა.

მის მზაკვრულ ჩანაფიქრს ბენიამინი კარგად ხვდებოდა, მაგრამ ცდუნების მარწუხებს ვერსად გაურბოდა: ცალკე გონება მოთმინებას რომ კარნახობდა, გული მაშინვე ავხორცული ზრახვით უძგერდა.

მელქისედეკი ამბობდა, კაცის ბუნება ხარბი და გაუმაძღარიაო.

ამელიას ბენიამინიც ჭირდებოდა და – ვასილისაც, მათი სასიყვარულო ურთიერთობა, რა თქმა უნდა, სასაცილოდ არ ყოფნიდა, მას მხოლოდ ფარული ზრახვა ამოძრავებდა: ერთს ევას აღზრდაზე უნდა ეზრუნა, მეორეს კი ოჯახის უზრუნველყოფაზე; ბენიამინისთვის ფულის მოთხოვნას არ თაკილობდა, ვალს დედაჩემი გადაგიხდისო, ავხორცული ღიმილით ეტყოდა და ახალი ნივთის შესაძენად გარბოდა; შინ ხშირად გამთენიისას ბრუნდებოდა, პატარა ევას დედური უზრუნველობით მიუალერსებდა, ჩვენმა „მამილომ" ხომ არ ინერვიულაო, ხმამაღლა წაიქილიკებდა და სააბაზანოში ხმაურით შედიოდა; ბენიამინის მძღოლს ისევ არ ასვენებდა, სადარბაზოსთან დახვდებოდა და მანქანაში ჩაუსკუპდებოდა, შენი უფროსი მოიცდის, არსად გაგექცევაო და, სადღაც მიჰყავდა.

ბენიამინი ახალგაზრდა მძღოლს სწორედ ამელიას საქციელის გამო არ ენდობოდა; ერთხელ მოთმინებიდან გამოვიდა და ამელიას მძღოლის შეწუხება სასტიკად აუკრძალა, სახელმწიფო მას მარტო ჩემი მომსახურებისთვის უხდის ფულსო.

ამელიას მრავლისმეტყველად ჩაეღიმა: – მაშინ, ჩემო მამილო, კეთილი ინებე და თვითონ მომემსახურე! — დამცინავად მიუგო და მანქანაში ჩაუჯდა, ქალაქგარეთ გამასეირნეო.

ვასილისა საყვარელ კაცს თვალებში შესციცინებდა – გულწრფელად წუხდა, ჩემ გადამკიდეს უამრავი საზრუნავი გაუჩნდაო – ამიტომაც ყველაფერს ითმენდა, იმას ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, მისი რჩეული მისივე ქალიშვილის სხეულზე თუ ოცნებობდა.

ბენიამინი იტანჯებოდა, ამელიას მაცდუნებელ აჩრდილს საკუთარი არსებიდან ვერაფრით დევნიდა, მისი ველური თვალები წარამარა თავს ახსენებდა და ვნების ქარცეცხლში ხვევდა.

იმ დღეს ამელიამ საბითუმო ბაზრობაზე წაყვანა სთხოვა.მას თხელი, გვერდზე ჩაჭრილი კაბა ეცვა, სავარძელში მოურიდებლად იჯდა და წყ-

ნარ მუსიკას უსმენდა, სიგარეტს აბოლებდა, მოშიშვლებულ ფეხს ვნებიანად არხევდა და ტუჩებზე ამოუცნობი ღიმილი დასთამაშებდა.

მანქანა ნელა მიდიოდა, მძღოლს მთელი გულისყური ამელიასკენ გადაეტანა, მერე სიჩქარე გამოცვალა და ხელი გადამრთველ ღერძზე შეაყოვნა. გოგონამ ფეხები განგებ გაჩაჩხა და კაცის თითებს ჟრუანტელის მომგვრელი კანი შეახო. მძღოლმა ვნებიანი ხორცის ბუსუსების უნაზესი ჩხვლეტა შეიგრძნო და შინაგანად გაკადნიერდა, თითები ნელ-ნელა მაღლა ააცურა და ქალის საზარდულამდე მიაღწია — მერე ბარძაყებს შორის ჩაანაცვლა და გამობურცულ სირბილეს ისეთი სიფრთხილით შეეხო, თითქოს გატრუნული ჩიტის დაფრთხობას მოერიდა.

ამელიამ უჩვეულო ალერსით გართულ ბენიამინს თვალმოწკურვით გახედა, მის ხელს დასწვდა და ისევ სიჩქარის ღერძზე დაადებინა – ზედმეტი არ მოგივიდესო, წყრომით ანიშნა.

კაცის გონებას ეშმაკი მართავდა, გარყვნილების ჭაობში ითრევდა. მას ვასილისა უყვარდა და ამ დროს მის ქალიშვილზე ოცნებობდა, მის სხეულს ეპოტინებოდა და დაუფლების ავხორცულ სურვილს ემონებოდა — თუ საყვარელი ქალის ოჯახს დროზე არ გაეცლებოდა, სულს წაიწყმედდა, ცდუნებას ვერ გაუძლებდა და სიყვარული, ცოდვიანი ტრფობით რომ მოიპოვა, ჯოჯოხეთად ექცეოდა; საყვარელი ქალის ხელაღებით მიტოვებაც უჭირდა, თავისთანაც ვერ წაიყვანდა, პატარა ევას მიტოვებას ვერაფრით აიძულებდა.

ბოლო დროს მოსკოველი ლარისა სტეფანოვნა აგონდებოდა და ეული, ბედისწერისგან დაჩაგრული დედაკაცი გულწრფელად ებრალებოდა. ევდოკია გიორგევნაზეც სინანულით ფიქრობდა, უმადურად მოვექეცი და გული ვატკინეო.

გარკვეული ხნით განმარტოვება სურდა – საკუთარ თავთან დარჩენილს სერიოზულად უნდა ეფიქრა და სწორი გადაწყვეტილება მიეღო; მალე მისი გულისთქმა თითქოს განგებამ შეისმინა და სექტემბრის ბოლოს, საპარლამენტო ჯგუფთან ერთად მოსკოვში, „დუმის" წევრებთან დაგეგმილ შეხვედრაზე გაემგზავრა.

ქართული დელეგაცია ფეშენებელურ სასტუმროში დაბინავდა.

ბენიამინს რუსეთის დედაქალაქში ლარისა სტეფანოვნაეზე ფიქრი მოეძალა, თითქოს დედაკაცის იდუმალი აჩრდილი თავისთან უხმობდა.

მერე, როგორც იქნა, დრო გამონახა და მისი ამბის შესატყობად წავიდა.

ნახევრად ბნელი კიბე ფრთხილად აიარა და ნაცნობ კართან შედგა – შეყვითლებულ ღილაკს თითი დააჭირა და შიგნიდან შემოხმიანებას დაძაბული დაელოდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა, ირგვლივ მოთმინების დამკარგავი დუმილი გამეფებულიყო.

ბოლოს ვიღაცას ნებისყოფამ უმტყუნა და სიჩუმე დაარღვია:

— Кто там? — ქალის ფიქრიანი ხმა გაისმა.

— Мне - бы Ларису Степановну... — კაცი არადამაჯერებლად გაეპასუხა.

ერთხანს სიჩუმე ისევ გამეფდა, ალბათ, მოულოდნელ და უჩვეულო სტუმარს საჭვრეტიდან უთვალთვალებდნენ.

— Что Вас интересует?! — გაღვიძებული ცნობისმოყვარეობით იკითხა ქალმა და კარი ჯაჭვზე გამოაღო, ღრიჭოდან უცნობი მამაკაცი უნდილად შეათვალიერა.

ბენიამინმა მოკლედ აუხსნა, ოდესღაც ამ სახლში მიცხოვრიაო.

— Кто Вы и от куда?! — დაინტერესდა დიასახლისი და სანდომიანად ჩაცმული სტუმარი მოსალოდნელი სიმშვიდით შეათვალიერა.

— Я из Тбилиси.

— Заходите, заходите! – გამოცოცხლდა ქალი, დედამისის ძველ ნაცნობს კარი ფართოდ გაუღო და ზრდილობიანად შეიპატიჟა.

— Я дочь Ларисы Степановны! – განელებული მწუხარებით დასძინა, მოუწესრიგებლობისთვის მოუბოდიშა, ამ სახლში კვირაში ერთხელ მოვდივარო და, ყავა შესთავაზა.

კაცმა, ნუ შეწუხდებითო.

ქალი ლარისა სტეფანოვნას ალიკვალი იყო. ბენიამინს კინაღამ დასცდა, ოდესღაც ქმართან ერთად ლესელიძეში მინახიხართო.

ოროთახიან ბინაში თითქმის ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა. მხოლოდ ლარისა სტეფანოვნასა და ნაცრისფერი კატის კვალი არსად ჩანდა.

— Она несколько лет тому назад скончалась! – კარგა ხნის შეგუებული დარდით წარმოთქვა ქალმა და მადუღარა ჩართო.

— Сердобольный был человек! – უცნაური სტუმრობა რომ გაემართლებინა, მადლიერება გამოხატა კაცმა.

— Не сомневаюсь вы подружились... мама-же по отцовской линии грузинка! – დედაკაცის ხმაში უკმაყოფილებამ გაიჟღერა. — Может Вам кофе с молоком?! – თითქოს გამომცდელად იკითხა და ათუხთუხებული მადუღარა სწრაფად გამორთო.

ბენიამინი შეცბა, ფეხის თითებში მკაწრავი ბუჟილი იგრძნო.

— Лариса Степановна о своем происхождении не все рассказала. – სტუმარი ამ თემას განგებ შეეხო, თითქოს ამ სახლში ლარისა სტეფანოვნას წარმომავლობის დასადგენად მოსულიყო.

მასპინძელს დიდხანს ხმა არ გაუღია. ბოლოს ყავით სავსე ფინჯანი სტუმარს მიართვა, მაგიდას ისეთი გამომეტყველებით მიუჯდა, თითქოს მომსახურების საფასურად ყურადღება ითხოვა.

საკუთარი ოჯახის წარსული დინჯად გაიხსენა – ლარისა სტეფანოვნამ თავის ტყუპისცალს მამინაცვლის ანაბარად მიტოვება და ნამდვილი მამის, მეფის რუსეთის ყოფილი ოფიცრის მოსა-

ძებნად წასვლა ვერ აპატიაო.

სტუმარი მასპინძლის ნაამბობს მრავალგზის განცდილ სევდიან მუსიკასავით ისმენდა და თვლემა იმიტომ არ ერეოდა, მთელი არსებით გრძნობდა, რაღაც მოულოდნელი და ზარდამცემი უნდა შეეტყო.

მერე დიასახლისი სკამიდან წამოდგა, სტუმარს ანიშნა, გამომყევიო და, ლარისა სტეფანოვნას საძინებელში შეუძღვა.

— От офицера грузина бабушке только эти ножны достались! – განჩინების პირველ ფრაზასავით წარმოთქვა და კაცი კედლისკენ მიახედა, რომელზეც უხმლო ქარქაში თავწაცლილ გველივით ეკიდა.

ბენიამინს მუხლები მოეკვეთა, რომ არ წაქცეულიყო, დივანზე დაეშვა და საკუთარი განაცრისფრება თვითონვე იგრძნო.

ქალმა ვერცხლით მოვარაყებული ქარქაში კედლიდან ჩამოხსნა და კაცს გაუწოდა – მუხლებზე ჩვილი ბავშვივით დაუდო.

«ты есть Ева» ვიღაცის ხელს ქარქაშზე ოქროსფერი ასოებით ამოეტვიფრა.

ბენიამინს თვალები დაუბნელდა, დედაკაცს ბუნდოვნად ახედა და ქარქაში უნებურად ჩაბღუჯა.

— Меч грузинский офицер забрал с собой, на которой была надпись, свидетель ствующая, что меч и ножный когда-то пренадлежали русскому царью, Петру Первому! – შთამაგონებელი სიამაყით დასძინა ქალმა და სარკმელს ნაღვლიანად გახედა.

რუსეთის უფლისწულს გერმანელების დასახლებაში ყვარებია მისვლა; იქ ერთი გერმანელი მჭედლის ქალიშვილი, ევა მოსწონებია და მოსვენება დაუკარგავს; ჭაბუკი თურმე მჭედლის ოჯახში ჩუმ-ჩუმად დადიოდა და სამჭედლო ხელოვნებასაც ეუფლებოდა; ნიჭიერ შეგირდს რკინის წრთობის საიდუმლოება მალე აუთვისებია და ხელნაცადი ოსტატის დახმარებით ხმალი და ქარქაში გამოუჭედავს, უცნაური წარწერებიც მისი მოგონილი ყოფილა, ხოლო შეგირდისა და გერმანელი მჭედლის ერთობლივი ნახელავი სამჭედლოში ინახებოდა; პეტრე, როცაკი ხმლისა და შეყვარებულის ნახვის სურვილი მოუვლიდა, სასახლეს ჩუმად ტოვებდა და გერმანელთა კოლონიას მიაშურებდა; გავიდა ხანი და უფლისწულს დიდგვაროვანი საპატარძლო გამოურიგეს, მის დაუცხრომელ სასიყვარულო თავგადასავლებს ლაგამი ამოსდეს; გერმანელი მჭედლის ქალიშვილმა ბევრი იდარდა და ბოლოს, იმედი რომ გადაეწურა, გემებით მოვაჭრე ვიღაც ებრაელ კაცს გერმანიაში გაჰყვა — ხმალი თან წაიღო, ქარქაში კი შეგნებულად დატოვა, პეტრე მოიკითხავს და მიხვდება, ჩემი გული ორად როგორ გაიყოო; ერთხელ მეფეს გერმანელთა დასახლებაში ამალასთან ერთად შეუვლია და, მცხოვანი ოსტატისგან მწარე სინამდვილე რომ მოუსმენია, გულდაწყვეტით უთქვამს: „დაე, ყველაფერი უფლის ნებით ასრულდეს, თუ ამქვეყნად სიყვარულს გამარჯვება უწერია, ხმალი ოდესმე ქარქაშში ჩაეგება"-ო, და უკან ხელცარიელი გამობრუნებულა.

— Мы потомки того немецкого кузнеца, являемся хранителями этой ножной, а тот еврейский солдат, которого грузинский офицер собственным-же мечом прикончил, и присвоил все его добро, является потомком той Евы, отвергнутой царем, которая увезла с собой меч с роковой надписью... – ქალმა შეისვენა და ფერდაკარგულ მსმენელს გაოცებით მიაჩერდა.

ბენიამინმა საბედისწერო ქარქაში ისეთი ზაფრით გაირიდა, როგორც სისხლით გამძღარ შხამიან გველს გაირიდებდა.

ქარქაში იატაკისკენ ჩაცურდა.

მასპინძელი დაიხარა, სტუმარს შეცბუნებით ახედა, ქარქაში აიღო და თაროზე შემოდო, შებრუნდა და კარადაში ქექვას მოჰყვა, საიდანაც სიძველისგან გაყვითლებული ქაღალდის ნაგლეჯი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა გამოიღო.

ხმალმა, სიყვარულის სიმბოლოდ რომ გამოიჭედა, ამქვეყნად ბევრი ცოდვა დაატრიალა; ქართველი ოფიცრის ხელით განგმირულმა გერმანელმა-ებრაელმა, ბენიამინ შლემინგენმა, ხმლისა და ქარქაშის ისტორია გადმოცემით იცოდა და საყვარელ ცოლს ფრონტიდან სიამაყით სწერდა: „ჩემო მშვენიერო ევა, ამ ხმლით ეშმაკებს ვარჯულებ, მალე ქარქაშს მივაგნებ და შიგ ჩავაგებ"-ო. ხმალი ქარქაშში კი არა, მის მკერდში ჩაეგო, ვიდრე მოსკოვამდე მიაღწევდა, სიკვდილს მიაგნო. ქართველი ოფიცერი ვერასოდეს წარმოიდგენდა, გერმანელი მჭედლის ქალიშვილის ნაშიერს თუ განგმირავდა და საბედისწერო ქარქაშის მემკვიდრეს კი ცოლად შეირთავდა. როცა ბრძოლაში მოპოვებული ხმალი ქარქაშში ჩაუგია, გაოგნებულა, მიმხვდარა, ორი მოდგმის ცოდვა ბედისწერად რომ რგებია და, საშინლად დადარდიანებულა – ნატალიას წინაშე მასაც მაგიური სიტყვები დასცდენია: „თუ ჩემს მოდგმას სიყვარულში გამარჯვება უწერია, მაშინ ეს ხმალი ქარქაშში საბოლოოდ ჩაეგება"-ო, და ხმალთან ერთად საქართველოში დაბრუნებულა.

ლარისა სტეფანოვნას ქალიშვილი ისე დადუმდა, თითქოს უარყოფითი ენერგიისგან დაიცალა და საკუთარ მონათხრობს გონების თვალი ერთხელაც გადაავლო, ხმლისა და ქარქაშის შესახებ ხომ არაფერი გამომრჩენიაო.

მკვდარივით დადუმებული ბენიამინი ამ საბედისწერო განაჩენს თითქოს მთელი ცხოვრება ელოდა, ყველაფერი ოდესღაც განცდილი, სიზმარ-ცხადის განახლება ეგონა და გონება ებინდებოდა, მასპინძლის მისტიკური გამომეტყველება თანდათან ბურანში ხვევდა – იატაკისა და ჭერის თავბრუდამხვევ ტრიალში თითქოს მოზეიმე დემონთან ერთად უჩინარდებოდა, „ლარისა სტეფანოვნასა და მისი ტყუპისცალის მოდგმა შენი სისხლი და ხორცია!" იდუმალი ხმა ტვინის შრეე-

ბიდან სინათლის მარცვლებს უძირკვავდა, ყველა ნერვს ბრჭყალივით უკაწრავდა და რეალობის შეგრძნებას აკარგვინებდა; მომთვარულივით სუნთქავდა, თავს ძალას ატანდა, ეჩვენებოდა, თითქოს სიბნელიდან ლარისა სტეფანოვნა ენას უყოფდა, შარვლის უბეზე ეპოტინებოდა და მისტიკური წარმოსახვის მომაჯადოებელ სამყაროში გატაცებას უპირებდა, სადაც უჩვეულო ორგაზმს განაცდევინებდა, რძესავით შედედებულ სითხეს მუჭში დაიგროვებდა და სახის კანს სიამოვნებით დაიზელდა.

გონდაბინდული კაცი ნიშადურის შეყნოსვამ გამოაფხიზლა, «Может быть валидол?!» — შეშფოთებით ჰკითხა ქალმა და სანდომიანად გაუღიმა.

გონს მოსული ძლივს წამოდგა და გასასვლელისკენ წალასლასდა, ვიდრე კარს გამოაღებდა, ფეხდაფეხ ადევნებულ ქალს უხერხულად მოუბოდიშა, ზღურბლთან შეყოვნდა, თითქოს ახლაღა გაახსენდა, ამ სახლში რისთვისაც მოსულიყო: «Отдайте ножный!» — რაღაცნაირი უფლებამოსილებით წარმოთქვა.

ქალი ოდნავ შეცბა, მერე სწრაფად შეტრიალდა და, მალე ხავერდის ნაჭერში გახვეულ ქარქაშთან ერთად დაბრუნდა, «Пожалуйста!» — კაცს დაუნანებლად გაუწოდა, თითქოს ცოდვიანი მემკვიდრეობა ფარული კმაყოფილებით გადაულოცა.

ბენიამინი მეორე დღეს სამთავრობო დელეგაციასთან ერთად თბილისში დაბრუნდა – მთელი გზა კრინტი არ დაუძრავს, ხავერდის ნაჭერში გახვეული ქარქაში მუხლებზე ედო, ზოგჯერ ნაღვლიანად დახედავდა ხოლმე და ოდესღაც ნანახი სიზმარი ახსენდებოდა, ეჩვენებოდა, თითქოს ქარქაში სწორედ ის ჯადოსნური გასაღები იყო, სამსახიანი გარეგნობის ქალმა რომ გაუწოდა — სიზმრისეულ წარმოსახვაში რაც მეტად ეფლობოდა, გონება თანდათან უნათდებოდა და ზმანების საიდუმლოს ბოლომდე სწვდებოდა: ქალი, რომელმაც გასაღები გადასცა, ევდოკიას, ვასილისასა და ამელიას განასახიერებდა, დამძიმებული გასაღები კი გენეტიკური ცოდვების მხილებას ნიშნავდა.

ბენიამინი წარსულს ვერც სინანულით გამოისყიდდა და ვერც – სიკვდილით.

გაუაზრებელი ცოდვა მოკვდავის სულში ველურ მცენარესავით იზრდება, განიტოტება და თაობიდან თაობას სარეველასავით ედება; თუკი ცოდვიანი გვარის შთამომავალი ცოდვის გასაღებს მიაგნებს, სულის ჭრილს გაბედულად მოარგებს და ჯოჯოხეთურ კარიბჭეს გააღებს, მაშინ ცოდვის ზრდა ძალუმად შეწყდება და ბედის ბორბალი სიკეთისკენ დატრიალდება.

„აი, თურმე, მელქისედეკს ჩემთვის ვისი სახელი დაურქმევია!" – ფიქრობდა ბენიამინი და გერმანელი-ებრაელის განგმირვის სურათს წარმოსახვით ხატავდა – მკვლელი წინაპრის მაგიურ სიტყვებს ჩუმად იმეორებდა: "ხმალი ადამია, ქარქაში – ევა!"

ბენიამინი ხატზე გადაცემული და დაწყევლილი მოდგმის ნაშიერი ნამდვილად არ იყო, თუმცა განგების მსხვერპლი მაინც გახდა, სიყვარული, რომელიც გახელებული ვნებითა და ამორალურობით მოიპოვა, მომაკვდინებელი აღმოჩნდა – ეშმაკისთვის ადვილად სამართავ განცხრომას დახარბდა, გარყვნილებაში ჩაფლულმა უნებლიეთ წინაპრის ცოდვიანი გზა აირჩია და სიკეთისთვის ბოძებული უნარი დაკარგა.

გაუქმებული ჭურიდან მელქისედეკის ხმალი უნდა ამოეღო და ქარქაშში ჩაეგო, შემდეგ როგორ უნდა მოქცეულიყო, ამის წარმოდგენა ძალზე უჭირდა.

თბილისში დაბრუნებული და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი კაცი საკუთარ თავში გამოიკეტა, არც სამსახურში წასვლა უნდოდა და არც ადამიანებთან ურთიერთობა.

ვასილისასთანაც სამუდამოდ უნდა გაეწყვიტა კავშირი.

მოუსვენრობასთან ერთად საკუთარი თავისადმი პატივისცემაც დაკარგა, აზროვნებაშიც მერყეობა დაეტყო და მომავლის რწმენაშიც – მისთვის თითქოს ყველაფერი დასრულდა, განაჩენი გამოტანილი იყო, შენდობას არავისგან ელოდა.

ვასილისას სახებას ცოდვიანი წარმოსახვით უჭვრეტდა და მარტო ისღა ასულდგმულებდა, მისთვის ბოლომდე ამოუცნობი რომ რჩებოდა – მის მიმართ გამძაფრებული გრძნობა აღარ ამოძრავებდა – თითქოს განიხიბლა, სამაგიეროდ, სიწმინდის მიუწვდომლობა იგრძნო, ვნებადამცხრალს ყველა ცოდვისგან გათავისუფლება და მასთან დაბრუნება მოუნდა, მხოლოდ მაშინ მიაღწევდა სიმშვიდეს და წარსულს დაივიწყებდა; თუმცა ეს ყველაფერი ფუჭ ოცნებად ესახებოდა, წინაპართა ცოდვა მათ შორის ისე გახირულიყო, როგორც მასსა და მის სულს შორის — ევდოკია გიორგევნას წყევლა.

ბედმა არც სიყვარული შეარჩინა და არც შეუვალი მემკვიდრის ღირსება. ზოგჯერ უჩვეულო შურისძიების გრძნობა იპყრობდა, ცხოვრების მიზნად ბოროტებას ისახავდა, თითქოს ავსულს უხმობდა და ავი ზრახვებით იკვებებოდა, მისი გული აღარც სიყვარულისთვის ძგერდა და აღარც — სიძულვილისთვის.

რამდენიმე დღე ჯოჯოხეთურ ტანჯვაში გაატარა.

ბოლოს ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა და ყურმილი გუნებაწამხდარი მოლოდინით აიღო.

პარლამენტარი მეგობარი ურეკავდა.

— ბენიამინ, ცოცხალი ხარ?! – იკითხა ნერომ.

— ჰო...

— გაემზადე, გამოგივლი და ერთ ადგილას წავიდეთ!

— ჰო...

ბენიამინი მალე მანქანაში ჩაჯდა.

— გამოცვლილი ჩანხარ, ვეღარ გცნობ! – მეგობრულად უსაყვედურა ნერომ და ისე დაეჭყანა, თითქოს გამოაჯავრა. – დღეს უნდა გავერ-

თოთ! – მხიარულად დასძინა.

ბენიამინი დუმდა, მისთვის ყველაფერი სულერთი იყო.

მანქანამ „მეიდანზე" აუხვია და გოგირდის აბანოებთან გაჩერდა.

მამაკაცები ფერადი ფილაქნით მოკირწყლულ ჰოლში შევიდნენ, ბარიდან რამდენიმე ბოთლი ლუდი აიღეს და შემინულ კაბინას მიადგნენ.

— თავისუფალი ნომერი გვინდა! – მოითხოვა ნერომ და ადმინისტრატორ ქალს თვალი ჩაუკრა.

— ორთქლით?! – გამოხედა ქალმა და, კლიენტის გამომეტყველებაში თანხმობა რომ ამოიკითხა, მაამებლური ღიმილით დასძინა: — თქვენთვის მეფური ნომერი გვაქვს! — ნახევრად მოშიშვლებულ მკერდს ცერით ააწვა და შეატორტმანა, დერეფანში გაელვებულ გოგონებს თვალი განგებ გააყოლა.

— ახლებია?! – ანკესზე წამოგებულივით იკითხა ნერომ.

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

ბენიამინს მათი საუბრის მოსმენა აღარ უნდოდა, ლუდის ბოთლები თითებს შორის მოიქცია და მითითებულ ნომერში შევიდა – გოგირდის ოხშივარმა და აუზში ჩაღვრილი შადრევნის ჩუხჩუხმა მოთენთილობის გრძნობა მოჰგვარა, მეგობარს აღარ დაელოდა, გაიხადა და გრილ შხაპს შეუდგა, მერე პირთამდე სავსე აუზში ახალშობოლოვით ჩაწვა – თითქოს ამქვეყნიური ჭუჭყი ერთბაშად ჩამოირეცხა.

კედლებდაგუდულ სივრცეში თვლემამომგვრელი სიმყუდროვე დავანებულიყო, წყლის იდუმალებით მოცული ჩქაფუნი, გოგირდის ოხშივარი და საკუთარი სხეულის სიშიშვლე ვნებას აგიშლიდა, აღგაზნებდა და ორგიის ხასიათზე დაგაყენებდა.

— ახლებზე მოველაპარაკე!.. – სააბაზანოში შემოსულმა ნერომ მხიარულად შესძახა.

— ვინ ახლებზე?! – თითქოს ვერ მიხვდა ბენიამინი და წყალში ჩაყვინთა, "მეძავებზე, მეძავებზე!" ყრუდ ჩაესმა და პირში დაგუბებული წყალი გამოაპურჭყა.

— ნუ თვალთმაქცობ! — სულის მოთქმა არ აცალა ნერომ და თვითონაც აუზში ჩაეშვა.

მალე გუმბათოვანი თაღის ჭრილიდან მზის სხივი შემოიჭრა, გოგირდის ბუღსა და წყლის ჭავლის ცრიატში ბრჭყვიალა ზოლები დაიბლანდა.

მამაკაცებმა ლუდი დალიეს და გახურებულ კაბინაში ცხვირი ძლივს შეყვეს – ტერასებივით განლაგებულ ხის საფეხურებზე ნელ-ნელა აინაცვლეს და ვიშვიშით ჩამოსხდნენ, სიმხუთვარეს შეეგუენ, წყალნარევი ლუდი ცხელ ქვებზე ასხურეს და ადუღებული ხორბლის არომატი ხარბად შეისუნთქეს.

ბენიამინმა ცხელი ორთქლის სულისშემხუთველ სიმხურვალეს დიდხანს ვერ გაუძლო, კაბინიდან გამოვარდა, ჯერ ცივი წყლით გაგრილდა და მერე ისევ აუზში ჩახტა — ამ დროს მოურიდებელი კაკუნი მოესმა და მეგობარს გასძახა: მოგაკითხეს!..

ნერომ პირსახოცი შემოიხვია და გასახდელ ოთახში გავიდა.

ზღურბლზე ადმინისტრატორი ქალი გამოჩნდა. ბენიამინს მოეჩვენა, თითქოს მან ვეებერთელა ძუძუს ისევ შეახო ცერი და შეატორტმანა, ნეროს რაღაც უთხრა, თავი დაუქნია და ვიღაცას ანიშნა, ნომერში შედიო. გასახდელში ნახევრად შიშველი გოგონა შემოიძურწა, მამაკაცები ეჭვიანი ინტერესით შეათვალიერა, გამომწვევად აცქმუტებულ ნეროს რომ დააკვირდა, მიხვდა, მას ერგებოდა და ტყავგადაკრულ ტახტზე გვერდულად ჩამოჯდა.

მალე სააბაზანოში მდედრისა და მამრის ვნებიანი ქშენა მოისმა.

ცოტა ხნის შემდეგ ნერო შხაპს შეუდგა და კმაყოფილებით ავიშვიშდა, ბოლოს რომელიღაც მელოდია წაიღიღინა და ბენიამინს ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამოსძახა:

— შენ, ახალბედა გერგო, მე კი მეჩქარება და უნდა წავიდე!.. — და სააბაზანოდან ისე გაუჩინარდა, აუზში მონებივრე მეგობარი მეტად აღარ შეუწუხებია.

ბენიამინი ჟრუანტელის მომგვრელი შადრევნის ტყლაშუნით ერთობოდა.

აუზის გარშემო წყლის ოხშივარი მკრთალ ბურუსივით გაწოლილიყო, კედლებიდან გამჭვირვალე წვეთები მარგალიტის მძივებივით მოცოცავდა.

წყლიდან ამოყვინთული კაცი უჩვეულო ჩქამმა გამოაფხიზლა, იქაურობას ნეტარი სიზმრიდან გამორკვეულივით მოავლო თვალი, ზღურბლზე ნახევრად შიშველი გოგონა დალანდა, რომელიც ორთქლის ზენარს აუჩქარებელი მიხრა-მოხრით მოარღვევდა და აუზს უახლოვდებოდა, მამაკაცს მომნუსხველად უღიმოდა და დაჟინებით მისჩერებოდა, თითქოს შიშობდა, არსად გამექცესო.

ბურუსის ზენარი ბოლომდე გაირღვა და ბენიამინს მთელ ტანში შემზარავმა ჟრუანტელმა დაუარა, თვალებს არ დაუჯერა, ყველაფერი უსიამო სიზმარი ეგონა — როყიო ხმა აღმოხდა, თითქოს მოჩვენებას შეუღრინა – შეაჩვენა, გაქრიო, მერე წყლიდან ნელ-ნელა ამოზიდა სხეული და საბედისწერო ღიმილით შემდგარ ამელიას გამოთაყვანებული მიაჩერდა – „ნუთუ ეს ყველაფერი ცხადია?!" ტვინის რომელიღაც უჯრედიდან მტკივნეული შეკითხვა მოესმა და შინაგანი ხმის პასუხსაც შიშით მოუსმინა: „ცხადია, ცხადია და ამ შეხვედრას ბედისწერასავით ელოდი!.." მერე თითქოს გონს მოეგო და საკუთარი სიშიშვლის შერცხვა, წყალში ჩაყვინთვა განიზრახა, მაგრამ ვერ მოახერხა, გაშეშებული იდგა და, არც ის უნდოდა, ამელია იქაურობას სწრაფად გასცლოდა, თორემ ყველაფერი მირაჟად დარჩებოდა, სიზმარ-ცხადიდან ვერასოდეს გამოერკვეოდა – ამ დროს იმის წარმოდგენაც ზარავდა, რასაც შურისძიებით ანთებული თვალები უქადდა: „ფული გადახდილია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გამოგაყეყეჩა, მოდი და ჩემი სხეულით დატკბი"-ო.

ამელიას სახეზე ავხორცული ღიმილი დასთამაშებდა, გამჭვირვალე მოსასხამი მარმარილოს ტახტზე მიაგდო და მთლიანად გაშიშვლდა, ტუჩის სისველიდან ჩამოცურებული თითები ბოქვენზე დაისვა, მკერდი წინ გამოზნიქა და გაშტერებულ კაცს მტაცებელივით მიაჩერდა – თითქოს საბედისწერო ნახტომისთვის მოემზადა, ქერა, მათრახივით დაწნული თმა ზურგსუკენ გადაიგდო, ძუძუზე მოღოღიალე წყლის წვეთი თითით ნაზად აიწმინდა და ვნებიანად გალოკა, „რას უდგეხარ, შე ღორო!" ამბობდა მისი ამღვრეული თვალები და მამრს ფარულად ნუსხავდა, აუზიდან ამოსვლას აიძულებდა.

ბენიამინი თითქოს ოპიუმის ზემოქმედებას განიცდიდა, სული ეხუთებოდა, ვნება ისე ბორკავდა, როგორც მონას – ხუნდები, ყველაფერი დავიწყებოდა, მისი გონებიდან წარსული უკვალოდ გამქრალიყო, ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ გაჩენილიყო, ამელიას სხეულით დამტკბარიყო და არსებობა მაშინვე შეეწყვიტა; ეს იყო მისი დასასრული — სადღაც, ტვინის სიღრმეში მრავალგზის განცდილი რეალობის წარმოსახვა და საბედისწერო ფინალი; ეჩვენებოდა, თითქოს სწორედ ამელია მოუვლინა განგებამ მისი ბედისწერის მსაჯულად, მისი ანჯვისა და ოცნების თავკერძად – მასში თავმოყრილიყო ყველა ის ცოდვა, რომელიც მემკვიდრეობად ერგო და რომლის გამოც არსებობა ჯოჯოხეთად ექცა.

ვიდრე ქვის საფეხურებს ჩამოათავებდა, ნამით გონება გაუნათდა, ჩამოჯდა, სინდისის ქენჯნას ჩაებღაუჭა; ამ დროს ამელიამ ქვედატანი სახესთან მიუტანა და თავბრუდამხვევი სიმხურვალე შეაფრქვია, თითქოს მის ყოყმანს ბოლო მოუღო.

ბენიამინმა წამოდგომა სცადა. ამელია მის ხელს დასწვდა და ბარძაყებს შორის შეიცურა, მაღლა აასმევინა, მერე მის ასოს ნაზად შეეხო და ერექცია გაუძლიერა. კაცს მთელ ტანში ცეცხლი მოედო, შიგნიდან გახურებული სისხლის შხუილი მოესმა, აღგზნებული სხეულისა და უმწეო გონების ჭიდილს ვეღარ გაუძლო, აშკარად იგრძნო, მასზე როგორ იმარჯვებდა ვნება და სულიერად ანადგურებდა – აუწერელ ტანჯვას აყენებდა, ხორციელი ტკბობის გარდაუვალობა კი გარყვნილებით მოპოვებულ სიამოვნებას ჰპირდებოდა — თითქოს მის არსებაში მოღალატის გათანგული აჩრდილი ბობოქრობდა.

უმწეოდ თრთოდა.

ამელია წელში ჩაიკეცა, ფეხები გაჩაჩხა და ბენიამინს ძუძუსთავები ტუჩებთან ყურძნის კუნწულებივით აუთამაშა. კაცმა თვალები მილულა და წყლით დანამული დვრიტა პირში ჩაიდო, თავდავიწყებით დაეწაფა, მალე იგრძნო, მის ასოს როგორ შეეხო ნაზი თითები და ვაგინაში ისე უხეშად შეაცურა, როგორც დაჟანგებული და ცოდვით დაფერილი ხმალი შეცურდება ნაოცნებარ ქარქაშში.

უჩვეულო სიმხურვალემ და გაპობილი ხორცის ლოკოკინისებური მოტმასვნის შეგრძნებამ კაცს წარმოსახვის უნარი დააკარგვინა, აუწერელი ტკივილის სასიამოვნო მოლოდინმა მარადიული ავხორცობის განცდით ააავსო, თავი სიზმარ-ცხადში ეგონა — ვითომ ეს ყველაფერი მოჩვენებაც იყო და სინამდვილეც, ცოდვაც და უცოდველობაც, სიყვარულიც და სიძულვილიც — ამელიაში თითქოს სამი მდედრი განსახიერებულიყო, თანმონაცვლეობით ერთნაირი ჟინითა და ვნებით აღჭურვილიყო – სამი გულისთქმითა და ავხორცობით გაჯერებულიყო – ევასავით მაცდურს გულუბრყვილო ადამი ვნების ქარცეცხლში გაეხვია და ქედზე ცოდვის მტვირთველის სამუდამო უღელს ადგამდა.

მამრი ამ ჯოჯოხეთური წარმოსახვის დასასრულს მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ბებიის, ქალიშვილისა და შვილიშვილის ჯადოსნურ სურვილს ვერსად გაურბოდა, კაცობრიული ცოდვისა და ტანჯვის თანაზიარი ხდებოდა.

ბოლოს თვალები გაახილა და გაუმაძღარი ვნებით აქოშინებულ ამელიას უმწეოდ ახედა, უეცრად ლარისა სტეფანოვნას იდუმალ ღიმილს წააწყდა და იგრძნო, სასიცოცხლო ენერგიისგან როგორ იცლებოდა და მომწიფებული ორგაზმის თავბრუდამხვევ მორევში იძირებოდა.

გოგონა თითქოს ულაყზე გადამჯდარი ალქაჯი იყო და უსასრულობისკენ მიჭენაობდა.

მამრის არსებაში მოულოდნელად პროტესტის გრძნობამ გაიღვიძა, მოეჩვენა, თითქოს მისივე სხეულიდან გამოცალკევებულ ნაწილს ეგლისებოდა და ნელ-ნელა უსახო გვამს ემსგავსებოდა.

ბოლოს ყველაფერი თავდაყირა დადგა, მდედრის შურისძიებით გაუმაძღარ თვალებში ცხოველური ჟინი გაკრთა, სხეული ვნებიანად დაიძაგრა და მის საშოში ჩანთხლეულ სისხლს საკუთარივე სისხლი შეეფეთქა.

კაცი თითქოს ელექტროშოკირებიდან გათავისუფლდა, გონებაში მწარედ გაუელვა: „ყველაფერი დასრულდა!.." და ქალის თვალებში აუწერელი ზიზღი ამოიკითხა, ღრმად ამოისუნთქა, ხელების მოქმედებას მიენდო, მოლურჯო სისხლძარღვებით დაქსელილ ყელს სწვდა და ძალუმად მოუჭირა – უჩვეულო ხროტინი და წყლის იდუმალი ჩქრიალი ჩაესმა...

ორთქლის აბანოდან ქუჩაში როგორღა აღმოჩნდა, ნამდვილად აღარ ახსოვდა – მთლად შიშველი სადღაც გარბოდა, „ხმალი ქარქაშში უნდა ჩავაგო"-ო, უაზროდ გაიძახოდა. აბანოს თანამშრომლები მსწრაფლ გამოუდგნენ, ზეწარი მოახვიეს და ჰოლში შეიყვანეს... დერეფნის ბოლოში ამელია დალანდა, „საზიზღარი!" მის თვალებში აუწერელი სიბოროტით დაბუდებული აზრი ამოიკითხა და სათადარიგო გასასვლელში გაუჩინარებულს სასოწარკვეთით გახედა.

იმ დღესვე ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაიყვანეს, პრეტენზია არ გამოუთქვამს, პირიქით,

იმ გარემოებას მშვიდად შეგუა, სადაც გიჟად სცნეს და ფიქრის საშუალება მისცეს.

პაციენტი ნელ-ნელა გონს მოეგო და მნახველები, ჭკუას რომ არიგებდნენ, ამხნევებდნენ და თითქოს უკანასკნელ გზაზე მიაცილებდნენ, მეტად აღარ გაიკარა.

ერთხელ ნეროს გამომცდელად ჰკითხა:

— ცხოვრებას როგორღა უმკლავდები?!

— ვცოცხლობ! – გაკვირვებით მიუგო მეგობარმა.

— სიცოცხლეს დახარბებული ხარ, მე კი ამქვეყნიური ყოფა არაფრად მიღირს, არც სამოთხის არსებობა მაღელვებს და არც – ჯოჯოხეთის, საიდანაც სამოთხემდე უფრო მოკლე გზაა, ვიდრე ცხოვრებიდან სამოთხემდე; მე ახლა ჯოჯოხეთში ვარ და იმასთან, ვინც შენსავით ცოცხლობს, უპირატესობა სწორედ სამოთხესთან სიახლოვით მაქვს; ასე რომ, თანაგრძნობა ჩემზე მეტად შენ გჭირდება!.. – უთხრა და გამქირდავად მიაჩერდა.

მეგობარი მას შემდეგ ფსიქიატრიულ კლინიკაში აღარ გამოჩენილა.

იმ დღეს მამაკაცების განყოფილებას ეკლესიის მსახური ეწვია. ავადმყოფებს გაესაუბრა და მთავარ ექიმთან ერთად ბენიამინის პალატაში შევიდა, ტუმბოზე ღვთისმშობლის ხატი შენიშნა და სახეზე ნათელი მოეფინა.

— მოძღვარი გყავს? – მშვიდად იკითხა.

— არა! – თავი გააქნია ბენიამინმა.

— ვისაც მოძღვარი არ ჰყავს, მას ეშმაკი ჰყავს! – შთამაგონებლად წარმოთქვა მღვდელმა და ცოდვილს პირჯვარი ისეთი სიმძაფრით გადასახა, თითქოს მისი არსებიდან ავზნე განდევნა.

— ჩემს სულს ეშმაკი თავიდანვე დაეპატრონა, გონება ამირია და ამის დასტურად აქ ვიმყოფები! – ცოდვილმა წყალწაღებულივით ამოიხვნეშა.

ანაფორიანი გასასვლელისკენ შებრუნდა.

— ილოცე, მოინანიე და აღსარებისთვის ემზადე! – შემწყნარებლურად თქვა და ზღურბლს გადააბიჯა.

— ვეცდები... – ყოყმანით მიუგო კაცმა.

— უფალი შეგეწიოს! — ხმადაბლა დალოცა მღვდელმა და ექიმთან ერთად დერეფანს გაუყვა.

ბენიამინი გისოსებისკენ შებრუნდა და სიმწვანე შეპარულ გარემოს გახედა, „საზიზღარი!" ამელიას იდუმალი ხმა ჩაესმა და მისმა გაბოროტებულმა თვალების სუსხმა მთელ ტანში დაუარა.

კაცი მარიამის გამოჩენას ელოდა და თან უჩვეულო წარმოსახვის სამყაროში იძირებოდა: თითქოს პირბადიანი ღვთისგან დასჯილი პირველცოდვილი ევა იყო და მისი ხსნა მხოლოდ მასსავით პირველცოდვილ ადამს შეეძლო.

ამ დროს ქალი გისოსებიან ფანჯარას ნაბიჯნაბიჯ მოუახლოვდა – შედგა, თავი ასწია, პირბადე ნიკაპს ოდნავ აარიდა, თითქოს კაცს გაუღიმა და წითელი ვაშლი გამოუწოდა.

ბენიამინმა ფანჯარა გამოაღო და გისოსებს მიღმა დარხეულ სიოს დუმილით გათანგული სურვილი გაატანა.

ქალმა მოიწყინა, დასიცხულ ყვავილივით დახარა თავი, მერე თითქოს ნიავმა მოუსწრო, კაცის სურვილი ამცნო და კვლავ გამოცოცხლდა.

ხმელთაშუა ზღვაში უცნაური ჯიშის თევზი, მარუსი, ბინადრობს, ოცდაათ წლამდე ცოცხლობს, ცხოვრების ნახევარი მამრია, ხოლო მეორე ნახევარში სქესს იცვლის და მდედრი ხდება. ბენიამინს ისეთი შეგრძნება დაუფლებოდა, თითქოს დარჩენილი წლები მდედრის შეგრძნებით უნდა ეცხოვრა — მასში მამაკაცური გარყვნილება ბოლომდე ამოწურულიყო და მარტო მდედრული ერთგულების უნარიღა დარჩენილიყო, ამ ბედისწერის შეცნობა კი პირბადიან მარიამთან აახლოებდა; წინაპართა ცოდვებმა მასში მამაკაცური ბუნება კი არ გააქარწყლა – შესაძლებლობებით შეავიწროვა და მდედრული შემწყნარებლობით გაამდიდრა.

იგი პირბადიანი მარიამის წინაშე იდგა და წითელ ვაშლს გაუბედავად დასჩერებოდა.

— ვინ ხარ?! – უნებურად აღმოხდა.

— ევა!.. – რაღაცნაირი იდუმალებით უპასუხა ქალმა – ჩაიცინა. — შენ თვითონ ვინ ხარ?!

— ეშმაკის მომრჯულებელი!.. – ნაძალადევად ჩაახველა კაცმა.

პირბადიანი ყოყმანით შეირხა.

— რეაბილიტაციის ცენტრში რატომ არ დადიხარ, ეშმაკის მომრჯულებელო?! —

ალერსიანად ჰკითხა.

— სარეაბილიტაციო არაფერი მჭირს!.. – მიუგო კაცმა, ხელში ვაშლი აათამაშა და დადუმდა.

ამ დროს გისოსებიდან ოტელოს ხმა მოესმა:

— ბენიამინ, შენ, ეშმაკის მომრჯულებელი კი არა, პატიოსანი გარყვნილი ხარ!

„თავიდან მომწყდი!" – გამოცრა ბენიამინმა, მოეჩვენა, გიჟი მწარედ დასცინოდა.

— თავად გაეცალე აქაურობას... შენს შესახებ ყველაფერი ვიცი, მელქისედეკისა და დარაჯი ზაქარიას ნაშიერები ვართ ჩვენ... პეტრემ რომ ხმალი გამოჭედა და, პაპაჩვენმა ებრაელი ბენიამინი განგმირა, ეს ამბავი ყველა გიჟმა ზეპირად იცის, სხვათა შორის, შენს გარყვნილ წარსულსაც გაგახსენებენ... შენსავე გენში დაბუდებული ცოდვების შესახებ თითქმის ყოველღამ აბოდებდი და კარს მოყურადებულები გისმენდნენ... აქ შენი ადგილი არ არის — აღარ დაგედგომება, წადი, თუ გინდა ეშმაკი მოარჯულო, ხმალი ქარქაშში ჩააგე!.. – გიჟმა შემზარავად ჩაიხითხითა და მოჩვენებასავით გაქრა, ვითარცა ბენიამნის შეშლილი ორეული.

„ჰო, ხმალი ქარქაშში უნდა ჩავაგო!" – ჩურჩულით გამოცრა ბენიამინმა და პირბადიანს მუდარით მიაჩერდა.

— წამოხვალ?!

— წამოვალ, ოღონდ პირბადეს ვერ მოვიხსნი! – დამნაშავესავით მიუგო ქალმა.

კაცმა ხელი ჩაჰკიდა და მასთან ერთად ფსიქიატრული დატოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვილმა სარეველამოდებულ ეზოში შეაბიჯა. კაცმა დარაბებაჭედილ ოდა-სახლს გვერდი აუარა და ფარდულიდან პატარა ნიჩაბი გამოიტანა, მიწითა და ღორღით სავსე ჭურს მიადგა და მის ამოსუფთავებას შეუდგა.

მარიამს უხმლო ქარქაში ხელში ჩვილი ბავშვივით ეჭირა და მასზე ამოტვიფრულ წარწერას გაღვიძებული ცნობისმოყვარეობით დასჩერებოდა: «Ты есть Ева» — და თითქოს საბედისწერო სიტყვების შესაბამის გაგრძელებაზე ფიქრობდა.

კაცი ჭურიდან მიწას იღებდა, იხვითქებოდა, სიღრმისკენ თავდაუზოგავად მიიწევდა და, ერთი სული ჰქონდა, ცოდვიანი ბედისწერის საიდუმლოს ბოლომდე როდის ამოხსნიდა; მალე ჟანგმოდებულ ხმალს წააწყდა, მაჯით გაწმინდა, დაკვირვებით შეათვალიერა და ვადის გასწვრივ ხმის კანკალით ამოიკითხა: « Я укратитель дьявола. П. Р. » — და ყრუ გმინვა აღმოხდა, მუხლები მოეკვეთა და სუნთქვა შეეკრა, ბოლოს პირბადიანს ქარქაში უსიტყვოდ ააცალა და ხმალი შიგ ჩააგო — ცას ახედა, ისე დაიძაბა, თითქოს ხელში მძიმე ცოდვის გასაღები ეჭირა.

კარგა ხანს გაქვავებული იდგა, უეცრად შეტრიალდა, ნიჩაბს დასწვდა და სოფლის სასაფლაოსკენ უკანმოუხედავად გაიქცა – მალე წინაპართა განსასვენებელს მიადგა და მიწის თხრას აქაც გულდაგულ შეუდგა.

მზე დასავლეთისკენ გადაიხარა და ვიდრე სხივებს შორეულ ჰორიზონტში ჩაწურავდა, კაცი წინაპრის ძვლებს შეეხო, ქარქაშიანი ხმალი აიღო და იქვე დაასვენა – დაუნანებლად მიაყარა მიწა და, საქმეს რომ მორჩა, დაუყოვნებლივ საყდარს მიაშურა, წინაპრის განადგურებისგან გადარჩენილ ღვთისმშობლის ხატთან ქედმოდრეკილმა დიდხანს ილოცა — გულმხურვალედ აღავლენდა ვედრებას და სინანულის ცრემლებს აფრქვევდა.

— ბენიამინ!.. – აგონიიდან ქალის ფრთხილმა შეხებამ გამოაფხიზლა.

ცოდვილი დინჯად წამოიმართა და მოულოდნელობისგან გაქვავდა, ბინდშემოპარულ სამლოცველოში მზის სხივივით შემოჭრილმა მშვენიერებამ დროისა და საკუთარი თავის შეგრძნება ერთბაშად წარსტაცა.

მანდილოსანს სახიდან პირბადე ჩამოეძარცვა.

— მარიამ, მარიამ, მარიამ!.. – შთაგონებით აღმოხდა კაცს და ამ სახელის ექომ თითქოს მისი არსებიდან ყველა ცოდვა განდევნა.

— წავიდეთ, ბენიამინ!.. – უჩურჩულა ქალმა.

წყვილმა საყდარი დატოვა.

— მარიამ, მემკვიდრე უნდა გამიჩინო!.. – კაცმა ღრმად ამოისუნთქა.

— ჰო, ჩემო ეშმაკის მომრჯულებელო!.. – ღიმილით დაამშვიდა მარიამმა და მხარზე თავი მიადო.

ბინდდებოდა.

ქალი და კაცი სოფლის შარაგზას ფეხაწყობით მიუყვებოდნენ.

ოდესღა ცეკვა-აკვანი

აპრილი

ბაბუანვერავ, საით გაფრინდი
ქარს ნუ აჰყვები, ქარი ანცია,
დედას მუცელით დაჰყავს აპრილი
და დედას ლურჯი კაბა აცვია.
თვალებში უდგას სურვილი აფრის
და დღე და ღამე ნატვრას უნდება,
დედა სადაცა გააჩენს აპრილს
და დედა უფრო გაზაფხულდება.

რას მამახსოვრებთ

მერე ფუტურო თავის ქალის ბოდვებს
გავცდები,
გააცინებენ ბილიკები დაღვრემილ
მთა-ველს,
მთვარე მამალი, ვარსკვლავები-ოქროს
მარცვლები
და მესიზმრება, როგორ კენკავს
ვარსკვლავებს მთვარე.
რა აგიხდებათ წამლეკავი წყევლა-
კრულვიდან,
წაღმა საქარგავს ბედისწერა უკუღმა
ქარგავს,
რას მამახსოვრებთ თვალცემული
საუკუნიდან,
ყოველ ნაბიჯზე გამოწვდილი ხელების
გარდა?

***

ვიქნები მერე უთქმელობა,
დარდი მარტოდენ,
ნუ წახვალ, რადგან უშენობა
სიკვდილს მატოლებს.

***

სოფელს მოხდენილი ფერი აფროდიტის
კუთვნილი ჰაერის სილბო და მანდილობა,
ის იყო ყოველთვის შენს გულს
დაყრდნობილი
და გახსოვს, რა დიდი იმედით დადიოდა.
როგორ ღონიერობს პურის ნედლი ღერო,
ვინ იცის რამდენჯერ ნაქარებ-ნანვიმები,
შუქი ცისფერობს და შენთან ნებიერობს
და მზისთვის იბრძვიან მამალი არწივები.
ან ვინ იმთლიანა ამ ხაზის გადაღმა,
რამდენის ხმაური სიჩუმეს ჩაუნთქავს,
გზები, ძუკნები და უარესთა გადაყრა,
დაფურცლავ იებს და გაძლებას ჩაუთქვამ.
დაფურცლავ იებს და გაძლებას ჩაუთქვამ.

***

ღრუბლებო, ღრუბლებო,
ფუმფულა ლოყებით
მარტის ქარს მოჰყევით
და ჩემი ფანჯრიდან
გიყურებთ მოწყენით.
ნეტავი შემეძლოს, ოთახში მოგიწვიოთ,
ნეტავი შემეძლოს, მკლავებში
მოგიმწყვდიოთ.
ცის თეთრო ბალიშებო,
ცის თეთრო ბალიშებო,
ცისგან განსხვავებით
მე ვერსად გაგიშვებდით.

***

ხემ გამოიხმო უმიზეზოდ კვირტი ნეკნიდან,
ახლა ყველაფერს გარეგნული სიმშვიდით

ვხვდები,
ეს ორი დღეა შენზე ფიქრი გადამეკიდა,
ჩაშლილმა თმებმაც მეჩვენება დაკბინეს
მხრები.
გაბზარულ მინას ნაკვალევი აჩნია წვეთის,
რა სიშორეა, ან უკეთესს როდის ველოდი,
ჯერ ვერ გაიგეს კვლავ არსებობ თუ არა
ჩემთვის,
ჯერ იბნევიან ფერფლადმქცევის
აუხსნელობით.

***

ძლივს დაამთავრა სახლის სხვენზე წვიმამ
ბანდალი,
გაამზეურეს აივანზე ძველი ნაბადი,
ეჰ, წნელის ღობეს თავს დაატყდა დრო და
ავდარი,
სულაც არ უნდა წნელის ღობეს მინას
ჩაბარდეს.
ეს სიყვარული გამოსასვლელს ჩემგან ვერ
აგნებს,
ეს მერამდენე ბაირაღი ცხვირწინ
დაფლითეს,
თეთრი პეპლები ახატია ღამის პერანგებს,
ო, ღმერთმაც ნუ ქნას, რომ მოსწყინდეთ და
რომ გაფრინდნენ.
მიწის პირიდან კბილებივით უშნოდ
გამოჩრილ
ჩალის ღეროებს უშიშვლდებათ წვრილი
ფესვები,
დღეს შენს მზერაში მერამდენედ აღარ
გამოვჩნდი,
თუმცა დრო იყო, ხშირად მთხოვდი მზერის
შევსებას.
თუმცა დრო იყო, მამაღლებდი, ახლა კი
მძირავ,
წვრილი ჭიქიდან ნება-ნება ისმება ღვინო,
თეთრ ოტომანზე აბრეშუმის საკაბეს ძინავს,
შემაძლებინე, გავაღვიძო და მოვიხდინო.

***

შენ იხედები ახლა იქითკენ,
სადაც მე დავრჩი,
მაგრამ იქ არ ვარ.
იასამნები მოაწყდნენ ფანჯრებს.
რაც გინდა ის თქვი,
ის იფიქრე,
ის მოიგონე,
ოღონდაც იქით ნუ იხედები!

***

დედას

თეთრი პეპელა დაასკუპდა მხარზე შავ
მოცხარს,
რა სასაცილო, საყვარელი ვნებით
ფარფალებს,
ველარ მოითქვა ფარდამ სული ისე ჩამოცხა,
სუსტი სხეულით ჩაიკეცა ფანჯრის რაფაზე.
არაფერს ვეძებ და ჭაობშიც არ ვიფოთნები,
ვიცინი, როცა აღმერთებენ მეძავს და
ჩერჩეტს,
კიბეს პალმების ააყოლეს მძიმე ქოთნები,
ვნატრობ, მარიამს ნაცრისფერი თვალები
შერჩეს,
შევცქერი მერე დოინჯიან უძველეს
ფინჯნებს,
გადანაწილდა ეზო ბნელში მსუბუქ
ხმოვნებად,
მე ახლა ვიცი შენზე უკეთ ვერავინ მირჩევს,
ღირს, თუ აღარ ღირს, ქვეყანაზე ასე
ცხოვრება.

***

რა გავაკეთე, თუ ვიცოდი, როგორ მელოდი,
დარდს, მოძალადეს, გული უხმოდ
მოვათელვინე,
შენ გაგამწარეს უჩემობის მოუთმენლობით,
მე, საყვარელო, უშენობა მომათმენინეს.
შინდმა გადახარა ტანი ხრამისკენ,
ფესვებს შეაპარა რყევა,
მან თუ ახლა სიყვარული გარისკა,
წავა და ხრამს შეატოვებს ყველა.
მე ვერაფერი ვერ გითხარი,
მაჯობა შინდმა.

***

ღრუბლებს ულიმის ჩემი და,
მე დღესაც შენი დარდი ვარ,
თავს მაბრალებენ — ვრჩები და,
თუ მიბრალებენ, — გავრბივარ.
ცის სადაფები მამშვიდებს,
როგორც იმედის ნაცვალი,
მე, წუთისოფლის ნაშვილებს,
დედისკენ გზას ვინ მასწავლის?

ნინო ყორასანია

ბოლო დღე

იჯდა და იქაურობას ათვალიერებდა, მართლა კარგი იყო. პატარა დარბაზი, ჩვენი უსაშველო, დიდი ქორწილების კვალობაზე ცოტა ხალხი, ლამაზი პატარძალი, სიძე და ახალგაზრდები. ხალისიანები, ენერგიულები, მოცინარები, იმედიანები, მართლა რაღაცა დიდისა და კარგის მომლოდინენი. მუსიკა, ცეკვები, მხიარული და აღგზნებული სახეები. სიამოვნებდა ამ ყველაფრის ცქერა.

ღიმილით აკვირდებოდა ამდენ ხალხს ერთი სიხარული რომ აერთიანებთ. აკვირდებოდა ყველას, ყოველ სახეს, გოგოსა თუ ბიჭს, მოცინარსა თუ მდუმარეს, ახალგაზრდასა თუ ხანდაზმულს, შემდეგ საკუთარ სუფრასთან მსხდომებს გადაავლო თვალი და უეცრად ცოლის გამოხედვა დაიჭირა, რაღაცნაირი, სევდიანი ღიმილით რომ შესცქეროდა.

„დღესაც ისეთივე ლამაზია, როგორც მაშინ". — გაიფიქრა მამა ზაზამ და ის დღე გაახსენდა, როდესაც პირველად ნახა. მაშინ ჯერ კიდევ სტიქაროსანი იყო, მაგრამ მისი აზრით, უკვე ყველაფერს დამშვიდობებული და გამორიდებული. ცხოვრების ბედი, უკვე რომ გადაუწყვეტიათ და ჰგონიათ, ვეღარაფერი მოაბრუნებთ უკან, ვერაფერი მოერევათ. მოერია და თან როგორ?! დაინახა თუ არა მაშინვე მიხვდა, რომ დამარცხდა, მის ერთი შეხედვით მიუვალ ციხეს ბზარი გაუჩნდა „თინიბექაურთ ციხესა კუთხე მარჯვენა სქდებისა", გაახსენდა ნაცნობი ლექსი. გოგო მარტო იჯდა, სიონის ეზოში, ერთ ძველ საფლავზე და ჩუმად ტიროდა.

ბიჭი მიხვდა, არ უნდა ენახა გოგოს ცრემლიანი თვალები (ისევე, როგორც არ უნდა ენახა მეგობრის ჭრილობა, რომლის სიღრმეშიც საკუთარი სიმხდალე და უსუსურობა დაინახა), იცოდა ეს საბოლოოდ დაუკარგავდა მოსვენებას, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, ამაზე ლამაზი მას არასოდეს არაფერი ენახა.

„არ ჩახედო თვალებში. საერთოდ არ შეხედო", კარნახობდა რაღაც, მაგრამ უკვე გვიან იყო. შეჰყურებდა გოგოს და გრძნობდა, როგორ იღვრებოდა მის გულში სასიამოვნო სითბო, როგორ იღვიძებდა ის გრძნობა, რომელიც ბუნდოვნად ახსოვდა და დიდი ხნის დაკარგული ეგონა.

ბევრი რამე გაახსენდა. გაახსენდა ხალისიანი და მოუსვენარი ბავშვობა, მშფოთვარე და ხიფათიანი ახალგაზრდობა, მეგობრები, თავს გადამხდარი ისტორიები, ქორწილი და რაც მთავარია ცოლის თმის სურნელი, სურნელი მოთიბული ბალახისა, რომელიც ასე უყვარდა და ასე ათრობდა. გაახსენდა და იგრძნო როგორ დასწყდა გული. იცის, ხვალიდან ყველაფერი მთავრდება, ის ბერად აღიკვეცება. ეს გზა თვითონ აირჩია. წლების წინ ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მოცდა ურჩიეს — „ნუ აჩქარდები, ჯერ მამა გახდიო."

და მამა ზაზასაც ნელ-ნელა გადააქვს მზერა პატარა, ქერათმიან გოგოზე, ვარდისფერ კაბაში რომ არის გამოწყობილი, როგორც პრინცესა და ახალგაზრდებით გარშემორტყმული ცეკვავს.

ბიჭებსა და გოგოებს წრე შეუკრავთ, შუაში პატარა მოუქცევიათ, მხიარული მუსიკის ფონზე დასტრიალებენ თავს, რიგრიგობით შედიან წრეში და ეცეკვებიან.

გოგონა თავიდან მორცხვობს, ერთ ადგილას დგას და ოდნავ შესამჩნევად ირხევა, მერე ხალისითა ჰყვება დიდებს და ნაზად დაფარფატებს. როცა მუსიკა მთავრდება ბიჭები სათითაოდ იყრიან მუხლს, პანანინა ხელზე ჰკოცნიან, და ეუბნებიან: — „გმადლობთ დედოფალო."

უკანმოუხედავად გარბის დრო. წინ, რომ დაუდგე, ალბათ გაგთელავს, წაგშლის და სახელსაც აღარ დატოვებს შენსას. არადა როგორ ახსოვს მისი დაბადება, პატარა, ვარდისფერი და ატირებული, რომ დაანახა დედამ სამშობიაროს ფანჯრიდან. პირველად როგორ გაიარა, როგორ დაუძახა „მამა," თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი და აი, ახლა ის უკვე ცეკვავს ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი, საკუთარი ზღაპრულ სამყაროში დაფრინავს და პრინცესაა, ნამდვილი პრინცესა.

ხვალიდან კი მამა მიდის, შორს, მონასტერში. ხვალიდან ყველაფერი სხვანაირად იქნება. ერთი ხელის მოსმით ემშვიდობება ყველაფერს. და ამის გაფიქრებაზე მამა ზაზას ბაბუას დასაფლავება უდგება თვალწინ.

ძალიან ნათლად ხედავს მწვანეში ჩაფლულ, მოვლილ, მაგრამ მაინც პირქუშ და მდუმარე სასაფლაოს. მის დიდ და მოუხეშავ ჭიშკარს, საშინელი ხმაურით რომ იღება. ხედავს ჩაფიქრებულ და შავებში გამოწყობილ ხალხს, ნელა რომ მიუყვებიან სადღაც შორს, სასაფლაოს სიღრმეში მიმავალ ბილიკს. ირგვლივ საფლავებია. ზოგი მოვლილი და გაწკრიალებული, ზოგი მიტოვებული, ბალახებით დაფარული და წარწერებწაშლილი. მას უფრო მიტოვებული საფლავები ხიბლავს, უფრო ლამაზია, თავისი პატარა საიდუმლო აქვთ. ვინ მარხია იქ? მისიანები ცოცხლები არიან თუ არა? ნელა მიაბიჯებს და ყველაფერს ათვალიერებს, ყოველ ქვას, ყოველ თარიღს, წარწერებს აკვირდება, სხვადასხვა სახელები, სახეები. აი, მაგალითად, ეს ჩოხაში გამოწყობილი ულვაშებიანი კაცი ოთხმოცი წლისა მომკვდარა, ეს მოცინარი ბიჭი კი თვრამეტისა. იქით ვიღაცას ძეგლი დუდგეს, აქეთ დიდი ჯვარი მოსჩანს და აი, ბაბუას საფლავიც, მიწა უკვე ამოუთხრიათ, ცოტა მოშორებით მესაფლავეები იცდიან. კუბო აქვე დგას და ხალხი რიგრიგობით, როგორც წესი და რიგია შუბლზე კოცნით ემშვიდობება მიცვალებულს. ბიჭისთვის ეს უცხოა, რადგან ბაბუა მკაცრი კაცი იყო, მოსაფერებლად და საკოცნელად არათუ სხვას, შვილსაც არ უშვებდა. ბიჭს არ ახსოვს მამას და ბაბუას რაიმე ზედმეტი გაპარვოდათ ურთიერთობაში, პირიქით ერთმანეთისადმი მეტისმეტად მომთხოვნნი იყვნენ და ხშირად ჩხუბობდნენ.

და აი, ახლა მან პირველად აკოცა ბაბუას შუბლზე, შემდეგ დედის ჯერიც დადგა. მამაც აქვეა, მაღალი, მხარბეჭიანი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი. ნელა უახლოვდება კუბოს, მშობელს შუბლზე კოცნის და სუდარას აფარებს, წელში იმართება, მაგრამ უეცრად სახე ეცვლება, სწრაფი მოძრაობით ხელმეორედ ხდის სუდარას, ერთი მაგრად აკოცებს მიცვალებულს ლოყაზე, ისევ გადააფარებს ნაჭერს, ისე, რომ არც კი იყურება კუბოსკენ, იტყვის „დამარხეთო" და გასასვლელისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვება.

ბიჭი უყურებს ბილიკზე მიმავალ მამის სილუეტს და ხვდება, რომ მან ამ ერთ კოცნაში ჩადო მთელი ის სიყვარული, მთელი ის განცდა, რომელიც გამოუთქმელი დარჩა ცხოვრებაში. ის უკანასკნელად დაემშვიდობა მამას.

და მამა ზაზაც ხვდება, რომ დღეს უკვე მისი ბოლო დღეა გამომშვიდობებისა, ბოლო საათები გატარებული ოჯახთან. ცოლი უხმოდ უყურებს ქმარს თითქოს მიმხვდარა რაშია საქმე და ეკითხება:

— ვიცეკვოთ?

— ვიცეკვოთ, — უყოყმანოდ პასუხობს იგი.

ისინი დარბაზის შუაგულისკენ მიიწევენ. მამას შვილიც აჰყავს ხელში და სამივენი ერთად ცეკვავენ. ყველა აღტაცებული და გაკვირვებული თვალებით შესცქერის, ცოტა მოუხეშავად, ცოტა მორცხვად, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზად მოცეკვავე მამა ზაზას.

მისთვის კი ირგვლივ არავინ არსებობს, ეს მისი ბოლო ცეკვაა, ეს მისი ბოლო დღეა. დღეს ის ღვინოსაც დალევს და ბოლომდე მოილხენს, შემდეგ კიდევ ერთხელ ჩაეხუტება ცოლ-შვილს, რათა სამუდამოდ გაჰყვეს მათი სურნელი მოთიბული ბალახისა, ხოლო დილით, ისევე როგორც მამა, ერთი კოცნით დაემშვიდობება ყველაფერს.

გუთა

ალექსი პაპა ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. მე და ჩემს ძმას ძალიან გვიყვარდა მასთან სიარული. სხვანაირი კაცი იყო, რთულ ცხოვრება გამოვლილი და ბევრის მნახველი.

ძმა მეორე მსოფლიო ომში დაეკარგა. დიდი ხანი ეძება და ბოლოს მის საფლავს უკრაინაში მიაკვლია. ყოველ წელს ჩადიოდა იქ. თვითონ მოსკოვიდან ბერლინამდე იარა, კავალერიის ლეიტენანტი იყო. შემდეგ იაპონიაშიც აგზავნიდნენ, მაგრამ რაღაც სასწაულით გადარჩა. უაღრესად წესიერი და მამაცი კაცი ყოფილა. ერთხელ დახვრეტასაც უპირებდნენ იმის გამო, რომ საკუთარი კაპიტანი სცემა კონდახით, რომელიც მშობლების თვალწინ ბავშვს აუპატიურებდა. შემთხვევით გადარჩა, რომელიღაცა გენერალმა იცნო და უშველა.

მაღალი, მხარბეჭიანი, თეთრი წვერითა და სვანური ქუდით - მე ის ასეთი მახსოვს, მანდილოსანს გაცნობისას აუცილებლად ხელზე რომ ეამბორებოდა, სულერთი იყო ვინ იქნებოდა ჩემი მეგობარი ჩვიდმეტი წლის გოგო, თუ ვინმე ასაკოვანი ქალბატონი.

სახლიც რაღაცნაირი ჰქონდა, მყუდრო და საინტერესო. საერთოდ არ ჰგავდა ჩვენს კარგად გარემონტებულ და გაჩახჩახებულ ბინას. იქ შესულს ძველი წიგნების და ნაცრის სუნი გეცემოდა ცხვირში. ორი ბნელი ოთახი, პატარა საძინებელი და მისაღები, რომელთა განათებასაც ერთი ფანჯარა ცდილობდა. კედელში დატანებული თაროები წიგნებით იყო გამოტენილი, მარცხენა კუთხეში ძველებური, წითელი აგურით ნაშენები ბუხარი იდგა, თავზე შამფურებითა და ჯიხვის რქებით. გაცვეთილი ტახტი, მაგიდა, სკამები, უამრავი საინტერესო შავ-თეთრი ფოტო და, რაც მთავარია, ამაყად წამოჭიმული მახვშის სკამი, საჩუქარი სვანეთიდან. აი, მთელი მისი ავლა-დიდება.

ყოველთვის მოეძებნებოდა კარგი ღვინო და საინტერესო ისტორიები. არაჩვეულებრივი მოყოლის უნარი ჰქონდა, თუ ლაპარაკს დაიწყებდა, ყველა მას უსმენდა. ბევრს გვიამბობდა ომზე, ომის საშინელებებზე კი — არასოდეს.

ერთ საღამოსაც ბუხართან ვისხედით და ღვინოს ვწრუპავდით, როდესაც საუბარი ძაღლებზე ჩამოვარდა.

— ძაღლი ძალიან კარგი რამეა, მაგაზე ერთგული მეგობარი ადამიანს მეორე არ მოეძებნება. ახლა ქალაქში ძაღლები უფრო სილამაზისთვის, ან მარტოობისგან თავდასაცავად ჰყავთ. აი, სოფელში კი ყოველთვის საჭირო იყო, განსაკუთრებით ადრე. მთაში ახლაც ყველა ოჯახს საკუთარი ოთხფეხა მცველი, ან მცველები ჰყავს, რომლებსაც ენდობიან და უვლიან, — თქვა ალექსი პაპამ და ცეცხლს შეშა შეუკეთა.

— ძაღლი მაგარია, — ჩავერთე მეც. — აი ის, რომ იყო სენბერნარი. რა ერქვა? ხო, ბარი. ორმოცი კაცი გადაარჩინა, ძეგლიც კი დაუდგეს. მაგათ ხომ სპეციალურად ამზადებენ მთაში დაკარგული ხალხის მოსაძებნად, ყელზე პატარა კასრივით რაღაცას ჰკიდებენ, რომელსაც თავისი ონკანი აქვს, ხოდა, ძაღლმა გაყინული ადამიანი თუ იპოვა, კბილებით მოუშვებს ამ ონკანს და სპირტიან სითხეს ჩაასხამს პირში. ამ ბარიმაც მეორმოცე კაცი რომ გადაარჩინა, იმ უკანასკნელმა, ზუსტად არ ვიცი, ალპინშტოკი ჩაარტყა თუ ესროლა, ადგილზე მოკლა. შეეშალა, მგელი ეგონა. წარმოიდგინე, თოვლში წევხარ გაყინული, თვალს ახელ და რაღაც უზარმაზარი ცხოველი გადგას თავზე. ძაღლი მოკლა, თვითონ კი გადარჩა.

— მაგ ამბებისა არაფერი ვიცი, — მითხრა ალექსი პაპამ. — მაგრამ მოგიყვები რა გადამხდა ბავშობაში. დედაჩემი სვანი თავადის, ალი გარდაფხაძის, შვილი იყო, რომელიც შერიგების შემდეგ თავის ბიჭთან ერთად მოსისხლეებმა ჩაცხრილეს. ყოველ წელს სვანეთში ვისვენებდი, ასეთი სოფელია — ლევშიერი. ლამაზი ადგილია. იმ სოფელში ერთი ოჯახი იყო, ავი ძაღლებით განთქმული. პატრონის გარეშე მათ ეზოში ვინმე თუ შედიოდა, შეიძლება ცოცხლად შეეჭამეთ.

სახლი სოფლიდან ოდნავ მოშორებით იდგა. ერთხელაც შეშაზე წასული ტყიდან ვბრუნდებოდი, თხუთმეტი წლისა ვიყავი მაშინ. იმ ეზოს რომ ჩავუარე, ის ორი ძაღლი, რომელიც შიშის ზარს სცემდა გამვლელ - გამომვლელს ჩემკენ გამოექანა და კუდის ქიცინს მოჰყვა. გაკვირვებულმა გავიხედე მათკენ და სახლიდან ამომავალი ბოლი შევნიშნე. უეცრად მივხვდი, რომ ხანძარია და ეს ორი ულმობელი მცველი შველას ითხოვდა. მაინც ფეხის კანკალით შევედი ეზოში, ძაღლებმა წკმუტუნით მიმაცილეს სახლამდე. სახლს მართლაც ცეცხლი წაჰკიდებოდა, შიგნით კი ორი ბავშვი დარჩენილიყო, ერთი ხუთი წლის გოგო, მეორე აკვანში მწოლიარე ბიჭი. მშობლები შეშაზე ყოფილან წასული. ცეცხლი ჩავაქრე, ბავშვები დავაწყნარე და სახლში წავედი, არავისთვის არაფერი მითქვამს მომხდარის შესახებ.

ლევშიერი პატარა სოფელია და როგორც ყველა სოფელში, იქაც არაფერი იმალება. მეორე დღეს იმ სახლის პატრონი ერთი ურემი ძღვენით მოგვადგა — დაკლული საქონელი, გოჭები, კუბდარები, ხაჭაპურები. ეს ტრადიცია წლიდან წლამდე გრძელდებოდა, ხანძრის დღეს ჩვენს ოჯახს აუცილებლად ძღვენით მოიკითხავდნენ. იმ ძაღლებს ჩემთვის ერთხელაც აღარ დაუყეფიათ.

— ჩვენც გვყავდა ძაღლი, "მასკოვსკაია სტარაჟივაია," კავკასიურისა და სენბერნარის ნაჯვარი, — დაიწყო ჩემმა ძმამ.

მე ავდექი, ბოდიში მოვიხადე, მეგობარი მელოდება-მეთქი და წამოვედი. საკვირველია, არა? ჩემს დაღუპულ ძმაკაცზე ლაპარაკი საერთოდ არ მიჭირს, პირიქით, თითქოსდა მსიამოვნებს კიდეც, აი, ჩემი ძაღლის გახსენება კი საშინლად არ მიყვარს. ბუთა ერქვა, ძაღლს ვამბობ, თორემ ოჯახის წევრივით იყო. მართლა ერთად გავიზარდეთ. მე და ჩემი ძმა პატარები ვიყავით, როდესაც მამამ მოსკოვიდან ჩამოიყვანა.

გუშინდელივით მახსოვს, როგორ ამოყო თავისი ბომბორა თავი „ადიდასის" სპორტული ჩანთიდან და მიმოიხედა, თითქოს არკვევდა ეს სად მოვხვდიო. პატარა ძალიან ბუთქუნა იყო, სწორედ ამიტომ დაერქვა ბუთა. მაგარი დაბნეული და საყვარელი ვინმე გამოდგა, როცა წამოიზარდა და ჩვენს სამოთახიან ბინაში ვეღარ დაეტია, სოფელში წავიყვანეთ. ორი წლით ჩვენც იქ გადავსახლდით, ერთად დავრბოდით მთასა და ტყეში.

ბუთასათვის არასოდეს არაფერი გვისწავლებია, ყველაფერი თავისით აითვისა. ძალიან დიდი და ღონიერი საერთოდ არ იყო ავი. პირიქით, ყველას ელაქუცებოდა. თავისზე სუსტებს არ ეჩხუბებოდა, თუ არ ჩავთვლით ღორებს, რომლებსაც ვერ იტანდა.

მეორე ძაღლიც გვყავდა, გამხდარი და პატარა, ერთხელ სოფლის დიდმა ნაგაზმა ძალიან დაგვიჩაგრა, ის იყო, ჩარევა დავაპირეთ, რომ ღობეს ბუთა გადმოევლო და ძლივს გამოვტაცეთ ის უბედური პირიდან. მეტი მე ბუთას ჩხუბი არ მინახავს.

ძალიან უყვარდა წყალი. ხშირად დავცურავდით ერთად მდინარეში. ცალი თვალი სენბერნარისა ჰქონდა, დიდი და დარდიანი, მეორე — კავკასიური ნაგაზისა. ვერ იტანდა, როდესაც კუდზე აბიჯებდნენ, მამაჩემსაც კი უკბინა, რადგან აკრძალულ ადგილას დაადგა ფეხი. მხოლოდ ბავშვებს ჰქონდათ ამის უფლება, რომლებისთვისაც არ მახსოვს, ოდესმე დაეღრინა.

მერე, თბილისში დავბრუნდით. ბუთა ბე-

ბიასთან დარჩა, სოფელში. ჩვენ ზაფხულობით ჩავდიოდით. ერთ რამედ ღირდა ბუთას დახვედრის ნახვა, აქეთ-იქეთ დახტოდა, გვლოკავდა, გვეთამაშებოდა. თუ სასეირნოდ გავდიოდით, ჭიშკარამდე გვაცილებდა, მაგრამ თბილისში გამგზავრების დღეს, სადღაც იკარგებოდა. ბებიაჩემმა მითხრა, ერთხელ, როდესაც წახვედით, ბევრი ვეძებე და ბოლოს ჩვენს ეზოში ბაბუას ძველი სახლის უკან ვიპოვე, თავი თათებში ჩაერგო და ასე იწვაო.

რამდენიმე წელში ბებიასაც უმტყუნა ჯანმრთელობამ და თბილისში ჩამოვიყვანეთ. ბუთა მარტო დარჩა. როგორც მიყვებოდნენ მთელი დღეები ჭიშკართან იწვა და წკმუტუნებდა. მისი დღესასწაული ორი კვირით, ზაფხულში დგებოდა, როდესაც ჩვენ — ოჯახი სოფელში ჩავდიოდით დასასვენებლად, შემდეგ კი მთელი წელი ისევ მარტო რჩებოდა.

არ მახსოვს, ვის გაუჩნდა პირველად ეს საშინელი აზრი, გავაჩუქოთო, მაგრამ იმდენად უგულოები და სულელები ვიყავით, რომ ყველანი დავთანხმდით. არასოდეს არ ვაპატიებ ამას საკუთარ თავს. ის რომელიღაცა ძაღლების ფერმაში წაიყვანეს, სადაც, ალბათ, მოკვდა კიდეც მარტო და ყველასგან დავიწყებული.

ამას წინათ, ხევსურეთში ვიყავი და უპატრონო ნაგაზს ვეფერებოდი, უეცრად დამიძახეს, მეც მოფერება შევწყვიტე, ძაღლმა თვალი გაახილა, თავისი დიდი თათი ხელზე დამადო, თითქოს მეუბნებოდა გააგრძელეო, მაშინვე ბუთა გამახსენდა. სწორედ მან იცოდა ასეთი რამ. თავისი სხვადასხვა თვალით ამოგხედავდა, თათს ხელზე დაგადებდა და ასე შემოგყურებდა, სანამ დამსახურებულ მოფერებას არ მიიღებდა. დედას ვფიცავარ, ცრემლები მომადგა. გოგოები რომ არ ყოფილიყვნენ, ნამდვილად ვიტირებდი. უეცრად გავიფიქრე, დავავლებ ახლა ამ ნაგაზს ხელს და თბილისში, სახლში, წავიყვან-მეთქი, მაგრამ ისევ ბუთა გამახსენდა, გამახსენდა როგორ მოვექეცით და საკუთარი თავის შემრცხვა. სწორედ მაშინ მივხვდი, მე ძაღლი არასოდეს აღარ მეყოლება.

ალექსი პაპა ერთ წელიწადში გარდაიცვალა. უბედური კაცი იყო, ისე იცხოვრა, საკუთარი ორი შვილის სახელი არ უხსენებია, მხოლოდ ლოგინად ჩავარდნილმა, როდესაც უკვე გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას, ისიც მარტო ჩემი და ჩემი ძმის თანდასწრებით გაიშვირა თავისი უკვე გამხმარი და ძარღვიანი, ადრე კი, ალბათ, რკინასავით ღონიერი ხელი, კედელზე დაკიდებული სურათისკენ, რომლიდანაც ლამაზი ქალი და ორი ბავშვი დაგვყურებდა და ჩუმად გვითხრა:

„აი ეს ბავშვი თერთმეტი წლისა მომიკვდა, ეს კიდევ ორისო." აქედან გავიგეთ, რომ ოჯახი ჰყოლია.

მახსოვს, როგორ ვნახე ბოლოს. მე და დედაჩემი ვიყავით მისულები. მაშინ მითხრა, "ბაბუ, კაცურად მიცხოვრია და კაცურად მივდივარო."

როდესაც გარდაიცვალა, ოთახში არ შევსულვარ, ერთი შევიხედე და ზეწარგადაფარებული, რაღაც უცნაურად და საცოდავად დაკრუნჩხული სხეული რომ დავინახე, უკან გამოვედი. იგი სრულებით არ ჰგავდა იმ წარმოსადეგ და საინტერესო ადამიანს, რომელთანაც ასე მიყვარდა სიარული.

მონასტერი

მონასტერში ზარის რეკვა გაისმა. „რა მოხდა?" გაუკვირდა მამა იოანეს. წირვის დღე არ იყო, რაღაც სხვა ამბავი ტრიალებდა.

— მამაო! — დაუძახეს გარედან. ერთ-ერთი ბერი იყო, გიორგი.

— რა ხდება? — იკითხა მამა იოანემ.

— მგონი კვდება და თქვენ გიხმობთ.

— ვინ?

— მამა ანტონი.

მამა იოანემ ანაფორა გადაიცვა. ერთად გაემართნენ ბერების სამყოფელისკენ. სენაკში ბნელოდა, ბერები ჩუმად იდგნენ, იქვე, ხის უბრალო ლოგინზე კი, გაფითრებული და ღონემიხდილი მომაკვდავი ესვენა. მამა იოანეს დანახვაზე მან თავის წამოწევა სცადა, მაგრამ ძალა არ ეყო.

— ძმებო, დაგვტოვეთ, — თქვა მამა იოანემ. ბერებიც დაემორჩილნენ.

— შემინდე, მამაო, — დაიწყო ანტონმა, — ცოდვილი ვარ. რა არ ჩამიდენია საკუთარი ამპარტავნობის გამო, მომიკლავს, მიღალატია, ამიწიოკებია, დამინგრევია, ძელზე გამისვამს, დამიმახინჯებია. ახლა კი მარტო დავრჩი, ვგრძნობ რომ მივდივარ და მეშინია, საშინლად მეშინია. შემინდე მამაო, შემინდე.

— უფალი შეგინდობს.

— არ შემინდობს. ვიცი, არ შემინდობს, — აღმოხდა ანტონს.

მამა იოანე უხმოდ დასცქეროდა მომაკვდავს, მხოლოდ მან იცოდა, თუ ვინ იმალებოდა სახელ ანტონის უკან. იყო დრო, როდესაც იგი ფაქტიურად მართავდა ქვეყანას, მისი ჯარების ფეხქვეშ ზანზარებდა მიწა, ხოლო მისი სახელის ხსენებისას ძრწოდნენ მეფენი და დიდებულები. ახლა კი მარტო და შეშინებული, იწვა ბნელ სენაკში და სიკვდილს ელოდა.

ათონის ივერთა მონასტერში ლიპარიტ ბაღვაში კვდებოდა.

ქიმერ ბერიანაშვილი

როცა სამშობლო ასე შორს არის!

უკვე არ მახსოვს სულის მგოსანი, -
ოცნება ლაღად ფრთებს როდის შლიდა?..
როცა სამშობლო ასე შორს არის,
რა დამაძინებს ლოგინში მშვიდად!..

კვლავ მესიზმრება მტკვრის სანაპიროს
გაღმა-გამოღმა ლამაზი ხედი
და დავიწყება რომც დავაპირო,
გავხდე მორჩილი საკუთარ ხვედრის –

გამექცევიან გზაში ფიქრები
და მიმატოვებს ვიცი, ოცნებაც.
უსაქართველოდ მე ვინ ვიქნები, -
ვარსკვლავი ჩემი ციდან მოწყდება...

დე, ჩემი ფიცი ყველამ იცოდეს:
უცხოობაში შვებას არ ველი!
სწორედ იმიტომ მიყვარს სიცოცხლე,
რომ დაბადებით მე ვარ ქართველი...

გულს მიბნევია ნაზი შროშანი
და სევდიანად ისევ გაწვიმდა.
როცა სამშობლო ასე შორს არის,
რა დამაძინებს ლოგინში მშვიდად!

ემიგრანტის სევდა

მიჯობს ისევ კაცი მერქვას
მართალი და უბრალო,
ჩემი წილი ცოდვა მეც მაქვს,
მომიტევე უფალო!

ვერ გავყვები კაენის გზას,
ვკიცხავ ცრუს და უგვანოს,
სული სხეულს გაემიჯნა,
ისევ მამულს უგალობს.

ჰე, მამულო! რატომ მრიყავ?
ველარ გავძლებ უშენოდ!
ქაჯებს ისევ ნესტანი ჰყავთ,
რამე უნდა ვუშველოთ!

ისევ მიხმობს გლოვის ზარი,
ძმები ისევ მელიან.
ჰოი, სამღერ ხმაში ბზარი
რა დროს შემომერია!..

მჯეროდა და რა გზაც ვკვალე,
უიმედოდ ხუნდება.
გამითენე, ღმერთო, ხვალე,
ჩემი კვლავ დაბრუნება...

მიჯობს ისევ კაცი მერქვას,
მართალი და უბრალო.
ჩემი წილი ცოდვა მეც მაქვს,
მომიტევე, უფალო!

„შერის!"

როგორ არ გითხრა, რა მინდა,
როგორ არ გკითხო, რა გსურს?
ფერი იცვალა ამინდმა,
ჰგავს ქალს, სახლიდან წასულს...

არ ვიცი, ფიქრმა დამღალა,
თუ გზა გამიხდა შორი,
ასე მგონია, აღარ ვარ
ცასა და მიწას შორის.

არ ჭიკჭიკებენ მერცხლები,
ველარც ბეღურებს ვამჩნევ,
ვგრძნობ, რომ ხელიდან მეცლები,
გთხოვ, ისევ ჩემთან დარჩე!

საღამომ ღამე დაღვარა
და ცა ფერია გიშრის,
სარკიდან ვიღაც ჭაღარა
კაცი კვლავ ნერვებს მიშლის...

წამომეზარდნენ შვილები,
ეცვალათ სახის ფერი,
ბექა გულამოჯერებით
ისევ ქართულად მღერის:

„ლა-ლე, ლა-ლე, დივლი, დალა,ლა-ლე,
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
შენ კი გენა-ცვა-ლე!..”

იქ, სადაც ცელქი ბავშვობა დარჩა!

ცას გარიჟრაჟის ალმურმა დაჰკრა
და გადიყარა ნისლი ქალაქმა,
მე მხოლოდ ახლა ვიგრძენი დაღლა,
ახლა შევძელი ტკივილის აღქმა.

მე უშენობა ძილშიც მაბოდებს,
ამ სიზმრის ბოლოც არა და არ ჩანს,
ეჰ, რას ვუდგავარ, დროა, გავრბოდე
იქ, სადაც ცელქი ბავშვობა დარჩა!

სადაც ოცნებას შეესხა ფრთები
და სიყვარული ცამდე ამაღლდა,
მზესავით მხოლოდ იქ ავენთები.
იქ გავიშლები მხრებში ამაყად.

იქ არის ჩემი ფუძე, კერია,
ბებიას სახლი და ძველი თონე,
აქ კი ოცნებაც გამომელია,
დროა, ნამდვილად გავიქცე, თორემ...

ველარ ვუყურებ ნაცნობ ფასადებს,
მოვწყდი ფესვებს და დასაყრდენს ვეძებ.
სახლში, რომელშიც მე გავიზარდე,
დღეს სულ სხვა ფერად ღებავენ კედლებს.

შენი სიშორე ძილშიც მაბოდებს,
ამ სიზმრის ბოლოც არა და არ ჩანს.
ეჰ, რას ვუდგავარ! დროა გავრბოდე!
იქ, სადაც ცელქი ბავშვობა დარჩა!

მე სხვა სამყარო აღმოვაჩინე

ამ ღრუბლებს მიღმა
მე სხვა სამყაროს
ვხედავ და მხიბლავს ცა მისი მიწის,
და მე მივყვები ვარდისფერ ქაოსს
და საუკუნე ღრუბლებში იწვის.

არ ვიცი რატომ, მაგრამ მე ახლა
გამოვეკიდე გრიგალს და მტირალს,
მომიხდა სულ სხვა დღეებთან შეხლა
და ვგრძნობ, სამშობლოს ტკივილი მტკივა...

და ვარსკვლავები მიუწვდომელნი
ისევ გაექცნენ ღამეს საშინელს
და ცას შევყურებ, ღმერთო, რა მელის!
მე სხვა სამყარო აღმოვაჩინე!

ზოსიმე ბერის დაბრუნება (მონოლოგი)

გულია ჩემი ფიქრის მისანი,
მღვიძავს თუ მძინავს, ის მუდამ ღელავს.
მოვედი, მაგრამ ველარ გიცანი,
ერთად – ცალ-ცალკე „ღრეობდა” ყველა.

და მსურს, ვიყვირო მთელი არსებით:
- რა გვემართება, რა გვჭირს ქართველებს?!
რისთვისაც გვცემდნენ თურქნი, სპარსები,
დღეს ჩვენივ ნებით ფეხით გავთელეთ!
ხმა ღვთისა ჩვენგან ეშმამ განთესა,
ვქიშპობთ, ერთმანეთს ჭირშიც არ ვუძმეთ.
ეჰ, გორგასალო! დედავ ქართვლისავ!
თბილისის მზერას რა გული უძლებს...

ერთი საქმისთვის ნანთები ცეცხლად
გული გულს, მითხარ რით ვერ მიუდგა?!
ოცდაათ ვერცხლად, ოცდაათ ვერცხლად
დღეს ისევ ყიდის სინდისს იუდა...

ღია წერილი უცნობ ქალიშვილს

მე მიხარია თქვენი დანახვა,
პეპელასავით მსუბუქი რხევა,
აჰ! უკაცრავად, ღმერთმა დალახვროს!
გამოწვდილ ხელს ძლივს შეჰბედა ხელმა.

მარტი კვლავ იას დაიბნევს მკერდზე
და მოიხატავს თვალებს აპრილი,
მე თავს მოვიკლავ ვაშლოვნის ქედზე,
თუ ვერ ვიპოვე გულის ნაპირი...

და მომიტევეთ, თუ შემხვდით კვლავაც,
(საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ)
თუ უნებლიედ აგზიდათ მკლავმა
და დაგიკოცნათ თვალები ბაგემ.

ბუკა ასათიანი

პირველი სეანსი

დაისი ზეცის მწვავე ტრავმაა,
ღამე მიიკრა, როგორც სალბუნი...
ქუჩას იცვამს და იხდის ტრამვაი,
ავი ძაღლივით მოკლედ დაბმული.

მზეს აჯავრებდნენ, ადრე დილიდან:
(ბუზმა სიმშვიდე ორად მიაპო).
გახუნებული ჩემი ცილინდრი
და ვარდისფერი შენი შლიაპა.

მაგ თეძოების ვხატავ კონტურებს,
მაგრამ ილევა ჩვენი სეანსი
და ძუძუებით სავსე კორსეტის,
ვხედავ მსხვერპლი ვარ, ალბათ,მეასე.

თეთრი ზეწარი ტილოდ გაძლიე,
დავხატოთ ვნებისფერი ესკიზი...
რომ არ გაკოცო, არ შემიძლია
და დაგპატიუებ მერე ვისკიზე.

მწვავე დაისი ცამ მოირჩინა
(მკერდს რომ მიფარავს, შენი თმებია).
და ცდილობს კარგად გამოიძინოს,
სანამ აისი ასტკივებია.

სიზმარი მესამე

დედამიწამ ენასავით ამოიდგა
ქარი, მერე აულოკა მთებს ნისლები...
მარცხენა მხრით უშენობას გამოვედე,
მოწყენილი შენი სუნთქვით ვერ ვივსები.

ხევსურეთში მზეა ბუტაფორიული,
სითბოდაცლილს ცაზე ყოფნა ევალება...
აღარ მსტუმრობს ფიქრში შენი ორეულიც,
გულზე კანი ამცვენია ემალივით.

მორჩა! თოფი გადავტენე და ამასწრო
გაბრაზებამ უნაგირზე ორი წამით,
ვერ ისვენებს ხმალი წელზე მინაბაწრი
და ულაყის მარდი მუხლი მოვიწონე.

ვისვრი ზუსტად, ტყვია უკვე მეხუთეა,
ბანზე გდია მომაკვდავი შენი ქმარი,
ცახცახებ და დაბნეული მეხუტები,
სიყვარულით გული მაგრად შეგიკარი.

ტოლს არ ვუდებ მგელიკებს და აპარეკებს,
თეთრი სახე ხევსურულად შემებურა...
დედამიწა ისევ ქარით ლაპარაკობს,
მე სიყვარულს გეფიცები ჩემებურად!

„ეზოში ბავშვი ძაღლებმა ლოკეს...”

ეზოში ბავშვი ძაღლებმა ლოკეს,
მე — ბავშვის დედის დამწველი შარმი.
ჩემი შარვალი სარეცხის თოკზე
დაკიდებული ჩაიცვა ქარმა.

ვნება — ნასროლი ბუმერანგივით
დამიბრუნდა და ვისვრი თავიდან.
ქარი მეზობლის თეთრი პერანგით
და ჩემი შარვლით სადღაც წავიდა.

***

ღმერთმა ქვეყანა ქარით დატუქსა,
მთვარეს სხივები მოჰყვა კარებში.
მაინც დაჩხვლიტა ღამე კაკტუსმა —
ხათრის გარეშე.

***

მიწისქვეშა გადასასვლელში
ღამეა დაკონსერვებული...

***

ვაკეში მათხოვარმა მითხრა, რომ
ძალიან ვგავდი მის აფხაზეთში დაღუპულ ბიჭს.

მაშინ ღრუბლისგან მზე გაიქურდა
და წააშველა წვიმამაც ხელი.
პეშვში გეყარა მცირედი ხურდა,
გულისჯიბეში — სამოცი წელი.
ეს მერამდენედ გამზირზე შემხვდი,
ერთხელაც ჩუმად გამიხმე განზე
და გამხელილი ფიქრი და სევდა,
მზერასთან ერთად შემაშრე ტანზე.
მთვრალს შენი ბიჭის ძალიან მშურდა,
თურმე მწყემსავდა მგლებს და ავაზებს.
მე დაგიტოვე გული და ხურდა,
სხვა ვერაფერი შემოგთავაზე.

***

თუთას გააძრო ცხრაპირი ტყავი
და გააღვიძა ქარმა მძინარე.
მუხლისთავები გადაიტყავა
წვეტიან ქვებზე მღვრიე მდინარემ.
მუხლებნატკენი თავდება ზღვასთან,
მერე იწყება ისევ თავიდან...
მგონი ღამეა ჩამოსახვეტი
ბეღლის ხავსიან სახურავიდან.

***

წუხელ სიბნელე ვისუნთქე ხარბად
და მთვარის შუქი ჩალპა გუბეში.
ღამეს ნაფლეთი რომ მოვახიე,
დილით ვიპოვნე შარვლის უბეში.

***

ვერ მოვაცილე ქმარ-შაბათს კვირა-
ცოლი. მასავით არ მემეტები,
მოიწვიმა და ნიავმაც დილით,
მინა მოკენჭა წვიმის წვეთებით.
ასე ღამეებს ვათევდი ადრე,
ვფანტავდი ლექსებს სიბნელის ტევრში,
მერე დრომ წლების აიკრა ჩადრი,
ქალაქის მტვრიან ღამეებს შევრჩი.
მონატრებული წარსულს მზერა და
ნათითურები შევაშრე კარებს
ოდის სიბნელე ააფერადა,
ალუბალს წვერი ატრუსა მთვარემ.

„მერცხალმა ეზო ასჯერ გაზომა...”

მერცხალმა ეზო ასჯერ გაზომა,
ერთხელ ვერ გაჭრა კუდით-მაკრატლით,
ამ თვეში თავი მეც არ დავზოგე,
ლექსებს ფურცლებზე ბეჭით ვაკრავდი.
ვიგონებ მაგ შენს თვალების სეტყვას,
გიგონებ მწვანეთვალებდაშნიანს...
სიტყვა და ვნება, ვნება და სიტყვა
შენს სურათს აკრავს ცისფერ არშიად.
ორშაბათი და მზე მიილია,
ბლებმა ფოთლები ჩუმად დახურეს,
სულ ცოტა ხანში ღამე მილიონ
ციცინათელას ააფახულებს.

„მასპინძელივით მზეს ფეხზე დავხვდი...“

მასპინძელივით მზეს ფეხზე დავხვდი.
აისმა ვარდზე სული განაბა...
ჩვენი სიშორე ვიცი, რომ გახდა
ამ მონატრების დიდი საბაბი.
შენი სახელი გულზე მეფინა,
თვალებმა ძველი სიმკაცრე დათმეს...
როცა გაკოცე, შენ დაიბენი
და შეეფაკლათ ლოყები ატმებს.

„გაზაფხულს უკვე სული წამოცდა...”

გაზაფხულს უკვე სული წამოცდა,
მე — ნამცეცები ძველი ვნებისა.
ვერ ჩააბარე შენ ეს გამოცდაც-
აღარ მოხვედი გასვენებაზე.
იქნებ ვიღაცას სულ სხვა ჰგონია
და იქნებ კვდება ცნობის წადილით,
ლექსში უბრალოდ მოგიხსენიებ,
გამოვიგონე შენი მანდილიც...
მე ულექსოდ ხომ მუნჯი და ბრმა ვარ,
შენ არ არსებობ და ვეღარ მშველი...
ასე მგონია სიკვდილშიც გავალ,
როგორც მდინარე ფაცერში წნელის...

„შენმა ტრფიალმა უკვე კბილები...”

შენმა ტრფიალმა უკვე კბილები,
მაგ შენმა დამ კი თვალები მომჭრა
და უნებლიე ჩემი ქმნილება —
ბრმა სიყვარული, შენს ხმაში მოსჩანს...
ჩემი პერანგი ბრაზით აიკლე,
ჩვენმა თვალების დაგწვა ფერებამ,
ამაღამ, კარგო, შენი დაიკოც
და ჩემი უბეც დაიკერება.

ოთარ სამსონაძე

მეხუთე პერსონაჟი

კომედია ორ მოქმედებად

მოქმედი პირები:

ასმათი — ტელესტუდიის გენერალური პროდუსერი, ამ თანამდებობისთვის თვალშისაცემად ახალგაზრდა ქალი.

ვახო — მწერალი, სცენარისტი.

გიგი — რეჟისორი, სტუდიის თანამშრომელი.

ნონა — 30-იოდე წლის წინ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ნამუშევარი ქალბატონი.

პირველი მოქმედება

მყუდრო სამზარეულო. რამდენიმე სკამი. კედელზე სარკე. მარჯვენა კუთხისკენ ბარის მაღალი მაგიდა, რომელიც ამავდროულად მოფარებულ კუთხეს ქმნის ოთახში.

მარცხენა კუთხიდან ჯერ ხმაური გაისმება, შემდეგ კი გიგი შემოქანდება, მობილური მიუდევს ყურთან.

გიგი — ფუ, შენი!.. წამოვედე რაღაცას!.. */ეცინება/*, გამიჩაღეს აქ რემონტი... მეთქი, ბომჟია, ვინ არის, თურმე მოკრივის მუთაქა... კარგი, კარგი, მერე დაგირეკავ.. */მობილურს გამორთავს. შემოსასვლელში ჩადგება/*, გაათრიეთ რა, ეს აქედან, კინაღამ კისერი მოვიტეხე! */ფეხს წაკრავს რაღაცას, გამოტრიალდება, ოთახს მოათვალიერებს, სარკეს მიუახლოვდება, ერთხანს უძრავად უცქერს თავის გამოსახულებას, შემდეგ დიდხანს, გუდასმით ივარცხნის თმას. ამ სცენის განმავლობაში გიგი ხან მარცხენა პროფილში აკვირდება საკუთარ თავს, ხან მარჯვენა პროფილში, დროდადრო სავარცხელს გადაიტარებს ხოლმე თმაზე, ფართოდ აღებს პირს, გეგონება კანს იჭიმავსო, ერთი ნაბიჯით უკან იხევს, ანდა პირიქით, ლამის სარკეზე აბჯენს ცხვირს. მობილურის ზარი, გიგი თან სარკეში კოპწიაობს, თან ლაპარაკობს/*. ჰო, გენაცვალე! სად უნდა ვიყო, სამსახურში. არა, არა, ვერ დამირეკავდი ჩემს ოთახში, რემონტია სტუდიაში, სამზარეულოში მოგვიჩინეს კუთხე, არ არის აქ ტელეფონი, გეფიცები! */მარჯვენა კუთხიდან ასმათი გამოჩნდება, გიგისთვის უჩუმრად ჩამოჯდება სკამზე./* ნოკია? რომელი ნოკია იყიდე?! ახალი ვნახე ჟურნალში... როგორია, იცი, ნეტა დამაპატარავა და მობილურში მაცხოვრაო, იფიქრებ. */ილიმება/*, ჩემი გოგო – რას ჰქვია დაგივიწყე – მოვაწყობთ ტოტალურ აღვირახსნილობას მე და შენ, პირობას გაძლევ! */ილიმება/*, ტო—გითხრა! რატომ გიყვარს ასე ჩემი—ტო?! მოგენატრე? რა ვიცი, ჩვეულებრივად ვამბობ... კარგი, გკოცნი, საქმე მაქვს ახლა. ჰო, დაგირეკავ. */მობილურს დახედავს, ამოიხვნეშებს, ისევ სარკეს მიუბრუნდება. ძალიან მოკლე ხანში კვლავ მობილურის ზარი ისმის/*, ჰოუ, ჩემი გოგო! ახლა ვფიქრობდი სწორედ შენზე.. სად ხარ, სად დამეკარგე! რამდენჯერ დაგირეკე... გეფიცები... იცი, როგორ გხედავ ახლა?! თითქოს კადრში ზიხარო.. */ცერა და საჩვენებელ თითს ისე მოხრის, გეგონება ტელეკამერაში იცქირებაო, ამგვარად შემოტრიალდება და ასმათს შენიშნავს/*. მერე დაგირეკავ, საქმე გამომიჩნდა... */მობილურს შეინახავს, ასმათს გაულიმებს/*, ასმათ!

ასმათი — ილაპარაკე, ილაპარაკე...

გიგი — */ილიმება, ბართან მიდის სადულარას მისწვდება/*, — ვილაპარაკე უკვე... ყავა, ჩაი?!

ასმათი — */ხელს გაასავსავებს. გაწელილად ამბობს/*, — არაა! */მიმოიხედავს/*,მშვენივრად მოეწყობით...

გიგი — */სადულარას შეაერთებს/*, — აქა? კი, რატომაც არა.. */მიმოიხედავს/*, დროებით რა უჭირს... თუკი სხვები არ შეგვაწუხებენ, ჩემთვის და ვახოსთვის უკეთესიცაა... */საათზე დაიხედავს/*, აქამდე მოსულიყო უნდა. */ასმათს გაულიმებს/*, ალბათ მოვა სადაცაა...

ასმათი — გიგი, ხომ იცი...

გიგი — ვიცი, ასმათ, ვიცი, გენაცვალე, ამ

ტერიტორიაზე არ დავლევთ... და საერთოდაც, არ ვსვამ მე, ვერიდები მანქანაზე.. /*ყავას მოურევს* /, ისე, რომ იცოდე, ხანდახან ძალიან მაგარი იდეები ჩნდება სუფრასთან... აი, მაშინ, შენს მოსვლამდე...

ასმათი — /*აწყვეტინებს* /, — ჰო, მართლა, შენი კლიპი რომ არ მოეწონათ...

გიგი — ვის არ მოეწონა?

ასმათი — გამოკითხვა ჩავატარეთ.

გიგი — /*აგდებულად* /, — ასე, ბევრი რამ არ მოსწონებიათ თავიდან, მერე დააფასეს...

ასმათი — /*უნდო მზერით მიცქერილი* /, — გამაგებინე, გიგი, რა დანიშნულება აქვს კლიპს, თუ თავიდანვე არ მოგეწონა?...

გიგი — ასმათ, გენაცვალე...

ასმათი — კარგი, მოვეშვათ ამას, სხვა საქმისთვის მოგაკითხე. მაქსიმესი თუ წაგიკითხავს რამე?

გიგი — /*ამოხედავს* /, — ვინ არის მაქსიმე?

ასმათი — მაქსიმე, მაქსიმეა... არ გაგიგია მაქსიმე?...

გიგი — აა, მაქსიმე... იმ საშინელ ჟურნალებში რომ იბეჭდება? ღმერთმა დამიფაროს.

ასმათი — /*პაუზის შემდეგ* /, — სულ ტყუილად.

გიგი — რა, საინტერესოა?!

ასმათი — ტყუილად ხარ ასე თავდაჯერებული... ყავას მიხედე!

გიგი — /*სადულარას გამორთავს*/, — ო, შენი!..

ასმათი — და ნუ იგინები!..

გიგი დაკვირვებით ამოხედავს ასმათს, შემდეგ ფინჯანს მოიძიებს. ყავას ისხამს ფინჯანში.

ასმათი — მოკლედ გეტყვი, მაქსიმეც უნდა ჩავრთოთ თქვენს პროექტში...

გიგი — ეს როგორ... რა ფუნქციით...

ასმათი — სცენარის თანაავტორად.

გიგი — ასმათ, გენა...

ასმათი — /*ცივად აწყვეტინებს* /, — შენი ჭირიმე, რა... მოეშვი ამ ფამილარულ გენაცვალეს. ასე მგონია, აეროპორტი ქუდი გახურავს თავზე.. ორი კვირაა, რაც ერთმანეთს ვიცნობთ.

გიგი — /*ცდილობს, იხტიბარი არ გაიტეხოს*/, — ასე ძველი გგონივარ?აეროპორტი ქუდი.. /*ჩაიცინებს, ჩაფიქრდება* /, — გაგიუდება, ასმათ, ვახო. სად ვახო, სად მაქსიმე!..

ასმათი — ყავას მიხედე!..

გიგი — /*ფინჯანიდან ყავა გადმოექცა*/, — რა ჯანდაბა დამე...

ასმათი — /*მკვეთრი მოძრაობით წამოდგება, კარისკენ გაემართება* /, — რა უბედურებაა, ყოველ ორ სიტყვაში ლანძღვა!..

გიგი — /*გამოეკიდება, ნაჩქარევად* /, — ასმათ, ასმათ, მომისმინე! სინოფსისი ხომ მოიწონეს... დეტექტური მელოდრამა... ირონიული ქვეტექსტი... მისტიკაშიც გავედით მე და ვახო...

ასმათი — მძიმეა... სიმსუბუქე აკლია.

გიგი — სიმსუბუქე ეს... /*პაუზა* /, მეტი სიმსუბუქე როგორ...

ასმათი — /*მკაფიოდ ამოთქვამს* /, — გადავწყვიტეთ უკვე... ან მაქსიმესთან ერთად, ან საერთოდ დაიხურება პროექტი. /*ასმათი საათზე დაიხედავს*/, უნდა მოსულიყო... /*გიგის გაულიმებს* /, მოვა, ალბათ, სადაცაა. /*მიდის* /.

გიგი — /*ერთხანს კარს შესცქერის, მექანიკურად მოსვამს ყავას, პირი გამოეთუთქება*/, — ო, შე... /*ფინჯანს მაგიდაზე დადებს, მობილურზე რეკავს* /, სადა ხარ, ვახო?! სად, აქ? აქ თუ ხარ, რატომ ვერ გხედავ?! ა, ხო, გხედავ...

ვახო გიგისგან მკვეთრად განსხვავებული ტიპაჟია. ასეთებს შეუძლიათ, ერთი და იგივე "ბათინკი" ატარონ ზამთარ-ზაფხულ. ეს არც ახირებაა მათი და არც ჩაცმის მანერა, უფრო უდიერი დამოკიდებულება ეთქმის საკუთარ-თავთან.

შემოსვლისთანავე მოწყვეტით ჩამოჯდება სკამზე.

გიგი — /*ყურადღებით შეათვალიერებს, ერთგვარი სიფრთხილით ხმაში* /, — მოხდა რამე?!

ვახო — /*თვალგაციებული*/, — მარი თხოვდება! ჩემი ყოფილი ცოლი თხოვდება... /*პაუზის შემდეგ გამოხედავს*/, — წარმოგიდგენია, მართლა თხოვდება.. /*პაუზის შემდეგ* /, ჩემმა ბიჭმაც ახლა მოინდომა...

გიგი — იმასაც ცოლი ხომ არ მოყავს?

ვახო — უცხოეთში გაშვებას მთხოვს. /*გიგის გამოხედავს* /, რა ვქნა, გასაყიდი რაც მქონდა, გავყიდე. რით გავუშვა... ავანსს არ მომცემენ, როგორ ფიქრობ?!

გიგი — სინოფსისში? ის გოგო? გამორიცხულია..

ვახო — საზიზღარი შეგრძნება მაქვს, უსუსურობის, უსარგებლობის.. ზედმეტი ხარ თითქოს; მიდი, ჯღაბნე და იკითხე, ჯღაბნე და იკითხე... დაუჯექი ახლა ამ განწყობით სერიალს...

გიგი — /*პაუზის შემდეგ* /, — ვახო, მაქსიმეს ხომ არ იცნობ?

ვახო — /*მოხედავს* /, — ვინ არის მაქსიმე?

გიგი — გეცოდინება! აი, იდიოტურ ჟურნალებში რომ აცხობს რომანებს.

ვახო — /*მხრებს აიჩეჩავს* /, — რატომ უნდა ვიცნობდე მაქსიმეს... /*გამოხედავს გიგის*/, ცისფერია?

გიგი — საიდან მოიტანე?

ვახო — მაზალო სახელია რაღაცნაირი. ახალცისფრული... რატომ მეკითხები?

გიგი — არ მინდოდა, მაგრამ... /*პაუზა*/,

გაიგებ ისედაც...

ვახო — თქვი, ნუ გამტანჯე..

გიგი — მაქსიმეს გთავაზობენ თანაავტორად.

ვახო — ვინ მთავაზობს?

გიგი — ასმათი.

ვახო — ასმათი ვინ არის?

გიგი — ახალი გენერალური პროდუსერი.

ვახო — კიდევ რას მთავაზობს ასმათი?

გიგი — */უეცრად წამოენთება/*, — კბილებით ვიჭერდი გინებას, ძმობას გეფიცები. როგორი ასატანია, ამ „გოგოშკას" რომ წამოგასვამენ თავზე. საქმე მაინც იცოდეს... კლიპი დამიწუნა... ჩაატარებენ, ბიჭო, თინეიჯერულ გამოკითხვას და ამით მსჯელობენ პროფესიაზე. — კომპოზიცია, ესთეტიკა, კადრის დაყენება, — არ არსებობს ამათთვის. რეიტინგი, მარტო რეიტინგი.

ვახო — */თანდათან გაიაზრა /*, — მოიცა, ერთი წუთით!.. ტენდერში ხომ ჩემმა სინოფსისმა გაიმარჯვა?

გიგი — იმ ტენდერში კი...

ვახო — რას ნიშნავს იმ ტენდერში? გაიმარჯვა თუ არა?

გიგი — ყოფილი გენერალური პროდუსერის მიერ მოწყობილ ტენდერში გაიმარჯვა, მაგრამ ახალია ეს, ახალი მოვიდა! წამოიწყეს ტოტალური რემონტი, შემოგვყარეს აქ, ახლა მაქსიმესაც შემოგვიგდებენ...

ვახო — სტუდია ხომ ძველია, გიგი, რას მეუბნები! სტუდია სტუდიად ხომ დარჩა?!

გიგი — სტუდია ძველია, ძმაო, მაგრამ გენერალური პროდუსერია ახალი, რით ვერ გაიგე?!.

ვახო — */პაუზის შემდეგ /*, — და მე ვინ გამოვდივარ, ამ შემთხვევაში...

გიგი — რა კითხვაა, არ მესმის. შენ ვახო იყავი, ვახოდ დარჩი...

ვახო — მადლობთ!

გიგი — არაფრის...

ვახო — მერე, ვახოდ თუ დავრჩი, მაქსიმე რა შუაშია ჩემთან? ვიცნობ, მიცნობს, ოდესმე გვიმუშავია ერთად თუ რა?! მაქსიმეზე გადამიწყვიტეთ დამყნობა? რა დამოკიდებულებაა ეს ავტორთან, სად წერია ეს?!

გიგი — */უეცრად აფეთქდება /*, — აქ წერია, ამ ტვინგადაბრუნებულებთან წერია! ამ „გოგოშკებთან" წერია, წარმოდგენა რომ არა აქვთ საქმეზე და საიდანღაც, როგორღაც, ვიღაცის ნებით შემოგვასხდნენ კისერზე! შეიძლება, ბიჭო, გინება გეხამუშებოდეს სტუდიაში, შეიძლება?! სტუდია იმისაა — დალევ კიდეც, გაიხუმრებ კიდეც, შეიგინებ კიდეც და საქმესაც გააკეთებ. დადის აქ სარგადაყლაპულივით, თვალებს აბრიალებს, რეიტინგს მიმონმებს აქ...

ვახო — თქვენს სტუდიაში რა ხდება, ნაკლებად მაინტერესებს; მე მაინტერესებს ვინ გადამიწყვიტა მაქსიმეზე დამყნობა?!

გიგი — მე მეკითხები?!

ვახო — ჰო, შენ გეკითხები!..

გიგი — და მე რატომ მეკითხები, ვერ გავიგე, კითხე ასმათს!

ვახო — მაშინ, თუ ასეა, შენ ვინა ხარ?

გიგი — მეე? დაგავიწყდა, ვინც ვარ?! გიგი ვარ!...

ვახო — ეგ ვიცი; პროდუსერი არ ხარ ამ პროექტის?!

გიგი — */ხელის აქნევით/*, — მოიცა, რა, თუ ძმა ხარ, რა პროდუსერი, რის პროდუსერი, გადმოიღეს საიდანღაც! პროექტის წარდგენისთვის გვჭირდებოდა პროდუსერი და ამიტომ შევისახელე თავი, თორემ, კინორეჟისორი ვარ მე, */ცერა და საჩვენებელ თითს ტელეკამერასავით მოაქცევს, იქიდან გახედავს ვახოს /*, კინორეჟისორი, რომელსაც კინო ვერ გადაუღია, აი, ვინ ვარ!

ვახო — რა ვიცი, შენ გაიძახდი, პროდუსერიც და რეჟისორიც მე ვარო! მე მხოლოდ სინოფსისის დაწერა მევალებოდა, დავწერე – გაიმარჯვა, ახლა კეთილი ინებე და ნუღარაფერში გამრევ!... ანდა, მე რატომ უნდა ვარკვიო შენი სარკვევი, ვერ გავიგე! ეს... ეს... ეს არის დაცინვა, ბიჭო! რა, ფერმის კურდღელი ვარ, რომ მეწყვილე შემომიგდონ გალიაში და ბაჭიებივით მაყრევინონ სერიალები?! აი, აქ მადგა ისედაც ეგ სერიალი! კისრამდე ვარ ქაქში! ახლა მაქსიმეღა მაკლდა! ვინ არის, საერთოდ, მაქსიმე?! ფსევდონიმია?! რა სახელია, საიდან გამოიძერწა, ვიღას ქვია, ბიჭო, დღეს მაქსიმე?!

გიგი — */დამნაშავედ გრძნობს თავს/*, — რა ვიცი, მაგის სიმონა დედაც... */მობილურის ზარი, გიგი მობილურს მიიტანს ყურთან/*, მერე დაგირეკავ. */გამორთავს/*.

ვახო — */თითქოს ბოლომდე ვერ დაიხარჯაო, თუმცა ცდილობს მშვიდად ილაპარაკოს/*, — გიგი, მომისმინე, ვიყავი ჩემთვის, ხომ ვიყავი? ავად თუ კარგად ჩემს საქმეს ვაკეთებდი...

გიგი — რაშიც, ფაქტობრივად, არაფერს გიხდიდნენ...

ვახო — თავი დავანებოთ ამას... ჩემს ასაკში ცხოვრების წიგნს წერენ, თუ უკვე არ აქვთ დაწერილი; გესმის, რაზე გელაპარაკები?! ამან გამაძლებინა, ამან მომიყვანა აქამდე... ესღა შემრჩა, — აღარც ოჯახი, აღარც არაფერი... ვის უხარია, მითხარი, სერიალზე მუშაობა, რომელ იდიოტს უხარია!.. ბიჭი რა ხანია სასწავლებლად წასვლას ფიქრობს... რა ქნას იმანაც, სწავლა უნდა, პერსპექტივა უნდა, თავის გატანა უნდა ამ დაბურულ, უსიერ ტყეში... ამ დროს მოდიხარ შენ... */გიგისავით მოხრის ცერა და საჩვენებელ თითს, თითქოს კამერაში იცქირებაო/*, ვახო, ჯიგარო, ნისლში მიმავალ კაცს ვხედავ კადრშიო... შენ მარტო ნისლში მიმავალ

კაცს ხედავდი! მოვწყდი ჩემს საქმეს, დავჯექი, დავწერე კინოსცენარი... ვერ გაიმარჯვა კონკურსში... დრო დავხარჯე ფუჭად, ნერვები დავიწყვიტე, ვიოცნებე უკანასკნელი დეგენარიტივით... ისევ მოდიხარ... ახლა ამ კინოსცენარიდან ტელესერიალის სინოფსისი დამიწერეო. მოვიფიქრე რაღაც სისულელე, დავწერე — გაიმარჯვა. ბიჭს ვეუბნები, — შვილო, იმედი გამიჩნდა! გაუხარდა. იცი როგორ გაუხარდა! გენახა ერთი, როგორ გაუხარდა! */თითქმის ყვირილით/*, დღემდე უხარია, სხვათაშორის!!! მეც ვიფიქრე—ამის გამო ღირდა-მეთქი ამ მსხვერპლზე წასვლა... დღეს კი ვიღაც მაქსიმეს მჩრი პირდაპირ ღრანჭში, თანაც გულგრილად იგინები მაგის სიმონა დედაცო?!

გიგი — მოიცა, მოიცა, გულგრილად ვიგინები, რას ჰქვია?!

ვახო — */ხელის აქნევით/*, — მომეშვი ახლა...

გიგი — არა, ძალიან მაინტერესებს, რას ჰქვია გულგრილად ვიგინები!

ვახო — გიგი, თავი დამანებე! წავალ, სადმე ჩავსკდები, მერე კიდევ ჩავსკდები, კიდევ და ამასაც გადავაგორებ როგორმე...

გიგი — დალევა გინდა?! */მკვეთრი მოძრაობით გაემართება ბარის მოფარებული კუთხისკენ, იქიდან არყის ბოთლს გამოიტანს, ნერვიულად ხსნის, ჭიქაში ასხამს/*, — აჰა, თუ დალევა გინდა! დალიე, მიირთვი, ჩასკდი, მაგრამ იმაზე კი გამეცი პასუხი – რას ნიშნავს გულგრილად ვიგინები.

ვახო — რასაც ნიშნავს...

გიგი — რას, მაინც, რას?!

ვახო — ისე იგინები, რა, გულსგარეთ, ჩემს გასაგონად. */ჩილაპარაკებს/*, მაქსიმეს სიმონა დედაც.. წადი და ასმათს შეაგინე!..

გიგი — აჰა, ესე იგი ასმათს შევაგინო?! მე შევაგინო ასმათს... */ვახოსთვის დასხმულ არაყს სულმოუთქმელად გადაჰკრავს /*, მე უნდა შევაგინო, ესე იგი ...

ვახო — ახლა მიხვდი? აბა, მე რა საქმე მაქვს ასმათთან, შენი წამოწყებულია ეს ყველაფერი. */თავისთვის დაისხამს, გადაჰკრავს, რატომღაც ერთი ჭიქიდან სვამენ/*.

გიგი — წამოვიდე, ესე იგი, სამსახურიდა. */ არაყს დაისხამს, დაფიქრდება, გადაჰკრავს, იმწამსვე შეავსებს და ჭიქას დაეყრდნობა /*, ესე იგი, უნდა წამოვიდე! კარგი ბატონო, ამათი დედა არ ვატირე */ჭიქას მიეტანება/*.

ვახო — */ჰაერში აზიდულ ჭიქას ჩამოართმევს/*,— დედა ატირე არა, ის კიდე...

გიგი — გეუბნები, კაცურად რომ მივუდგეთ..

ვახო — მოიცა, რა! მე მკითხე, რას ნიშნავს უჯამაგიროდ ცხოვრება...

გიგი — მერე, შენ თუკი ცხოვრობ, მე ვერ ვიცხოვრებ?!

ვახო — და მე ვიღას იმედად დავრჩე? ვინ ჩამიდებს ხოლმე ჯიბეში ფულს... იქით იქნები სათრევი. */პაუზის მერე/*, მე წავალ; ყოველ შემთხვევაში, მაქსიმეს გალიაში არ ჩავჯდები, კომპრომისსაც აქვს საზღვარი. */გადაჰკრავს/*.

გიგი — */ჩამოჯდება, ჭიქას მიაჩერდება, ვახოს ახედავს, გაელიმება/*, — ბლიცტურნირს ვთამაშობთ, ტო!..

ვახო — */ღიმება/*, — ჩაკარი!

გიგი — */გადაჰკრავს, ვახოს ჩამოუსხავს/*, — იმან დამირეკა, ძველი ნაშაა ერთი.. შენ რომ ტო-ს ამბობ, ის მომენატრაო... მე ვიცი, როგორი ტო-ც მოენატრა მაგას. ამოვიდა ყელში... */ვახოს მიაცქერდება/*, ვისზე თხოვდება მარი?

ვახო — */ნერვიული ჟესტი/*,— რა ვიცი... რა მნიშვნელობა აქვს... */ჭიქას მიეტანება /*, უცნაურ რამეს გეტყვი — ხო ამდენი წელია დავშორდით, მაინც ჩემად მეგულებოდა აქამდე... საქმეს შევწირე, გესმის, ესენი... ეს საქმეც, რა? ეფემერა... არაფერი... წერის პროცესში თითქოს არა უშავს, დაასრულებ, წაიკითხავ, ნეტა არ დამეწერაო, — ფიქრობ. სიგიჟეა... პარადოქსი... იმიტომ ტანჯავ შენთვის ყველაზე ძვირფას ადამიანებს, რომ საბოლოოდ დარწმუნდე საკუთარ სიბითურეში. */გიგის გამოხედავს/*, — არ არის სიგიჟე?

გიგი — ჰო, ალბათ...

ვახო — გაგვიმარჯოს! */გადაჰკრავს/*.

გიგი — */ჭიქას შეავსებს/*, — იცოცხლე... /პაუზის შემდეგ /, ისე, კინორეჟისორი კადრით აზროვნებს.

ვახო — რა შუაშია?..

გიგი — ის კადრი რომ გაიხსენე... აი, ნისლში რომ მიდის კაცი.. ჩემი სულის მდგომარეობაზე მიგანიშნე. ცხოვრება მიდის... არ ცალიათ აქ კინოსთვის, არც ლიტერატურისთვის ცალიათ! პოლიტიკისთვის მოიცალეს მარტო! შენ შვილი მაინც გყავს, ხარ შენთვის, წერ... მე ვინ მყავს, მითხარი?! რამდენიმე გადამწიფებული ბოზის ხელში ვარ ჩავარდნილი და ამათი შემადგენლობაც ვერ გადამიხალისებია... აღარც დროა, აღარც ენერგია, აღარც სურვილი, სიმართლე გითხრა – ამ ბოლო დროს მუხლებში სისუსტე ჩამიდგა...

ვახო — ვწუწუნებთ?..

გიგი — ეგრე გამოდის... */მობილურის ზარი. გიგი ნომერს დააცქერდება, იერი გამოუყოჩაღდება, შეცვლილი ხმით/*, ჰოუ, ჩემი გოგო!.. შენს სადღეგრძელოს ვსვამდი ახლა... მაგარი ხარ... */ღიმება/*, საღამოს შეგეხმიანები. ტოტალური აღვირახსნილობა უნდა მოვაწყოთ მე და შენ... გკოცნი... */უცნაურად გაღიმებული /*, კარგი გოგოა ეს... */მობილურს ჯიბეში შეინახავს/*.

ვახო — წელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგი — */თავის ფიქრებში, ჯერ კიდევ ილიმეტბა/*,— რა წელი?

ვახო — წელს არ იტკიებ, ხერხემალთან?

გიგი — */გამოცოცხლებული /*, — რა წელი, რის წელი, რა დროს ჩვენი წელის ტკივილია.. იცი, როგორ ვარ? — კაჟივით! ამათ, ბიჭო, ამ საიდანღაც მოვლენილ დაპროგრამებულ პაწაწუკა ადამიანებს, გინდა საქმით, ვახო, გინდა ჯანით, გინდა სიცოცხლის სიყვარულით, რას ვუზამ იცი?! იცი რა დღეში ჩავაგდებ? ხორცის მანქანაში გავატარებ, ბიჭო, მე ამათ! გულსგარეთ შეიგინაო ჩემზე ამბობ?! ახლა, მისმინე,— მაქსიმეს სიმონა დედაც, იმ ცანტრაკუშკა ასმათას დედაც და ვინც ეგ გენერალურ პროდუსერად დანიშნა იმის ხო, საერთოდ, დედის დედა!.. */ასმათის შენიშნავს/*, — ოჰ, ასმათ! რა კარგ დროს მოხვედი, ვახოს გაგაცნობ... ბავშვობის მეგობარი ჩემი... */ასმათის რეაქციას აკვირდება /*, სცენარისტი ჩვენი, ჩვენი მწერალი... */ყურადღებით მისჩერებია ასმათს, თითქოს მექანიკურად ამოთქვავს/*, სასიქადულო...

ასმათი — */ვახოზე გადაიტანს მზერას /* — ... წამიკითხავს. */შემდეგ გიგის მიაცქერდება/*, რა ხმაური იყო?

გიგი — სადა, აქა? როდის?

ასმათი — ჩემს შემოსვლამდე.

გიგი — აჰ, ახლა? სცენას ვთელავდით მე და ვახო, პერსონაჟის ხასიათს ვამუშავებდით...

ასმათი — ასმათი ქვია პერსონაჟს?

გიგი — ჰო, ისე, პირობითად.. იშვიათი სახელია... ბიბლიური... ვახო ჩაახველებს, უხერხულად შეიშმუშნება. ასმათი არყის ბოთლს შენიშნავს.

ასმათი — გიგი, მე ხომ გთხოვე!

გიგი — ასმათ, არ შემშალო, სმას ეძახი ახლა შენ ამას?! ეს რა სმაა? აი, მაშინ...

ასმათი — მაშინ რაც იყო, ამ ტელევიზიის რეიტინგზე დღემდე მოქმედებს, გიგი!... ბატონო ვახტანგ, მაპატიეთ, თქვენი თანდასწრებით რომ ვსაუბრობ ამ თემაზე... მინდა თავიდანვე გავცხადდე...

ვახო — ბატონო?

ასმათი — დიახ, დიახ, გავცხადდე! ჩვენი სტუდიისთვის არ არის მაინცდამაინც პრიორიტეტული თქვენი პროექტი. მერწმუნეთ, ვიცი, სოციოლოგიური გამოკითხვა ჩავატარეთ... მიუხედავათ ამისა, თქვენ მოგიჩინეთ ეს კუთხე.იცით, რემონტის გამო რამდენი თანამშრომელი გავუშვით უხელფასოში? ძალიან ბევრი. მე არ მინდა ვიღაცამ თქვას, რომ სტუდია დემორალიზებულია... რომ საქმე არ კეთდება.. საქმის მეტი რა არის, აგე, ახალი ბადეა შესადგენი. */ვახოს უცქერს, მაგრამ გიგის მიმართავს/*, ამიტომ, გიგი, ყურადღება მიაქციე ხოლმე ჩემს თხოვნას, ტყუილად მე არ ვლაპარაკობ. */პაუზა/*, მაქსიმე არ მოსულა?

ვახო — მაქსიმესთან დაკავშირებით...

ასმათი — */ხაზგასმული ყურადღებით /*, — დიახ!

ვახო — სერიალთან დაკავშირებითაც...

ასმათი — დიახ, დიახ!...

გიგი — ვახო, მოდი, მე ავუხსნი...

ვახო — */გიგის ხელით აჩუმებს/*,— მადროვე! */ღელავს/*, ასმათ, შვილო...

ასმათი — ერთი წუთით! */პაუზა/*, შეგიძლიათ სახელით მომმართოთ, ქალბატონოს გარეშე.

ვახო — */ასმათს მიცქერილი /*, — გასაგებია... მივხვდი! ველაფერი გაცხადებულია, როგორც თქვენ ბრძანებთ, კარგათ მეყოლეთ, მე წავედი!..

ასმათი — */მოულოდნელად შერბილებული ტონალობით ხმაში /*, — და სად, რატომ, ბატონო ვახტანგ!

ვახო — */იქნებ ხელების ქნევითაც, ყოველ შემთხვევაში, მძაფრი რეაქციით /*, —არ მოგწონთ თქვენ ჩემი სინოფსისი, არ მოგწონთ ეს სისულელე; არც მიკვირს, ჩემო ბატონო და არც მწყინს, რომ არ მოგწონთ; ისიც ვერ გამიგია, რატომ უნდა ვტანჯოთ ერთმანეთი, მაგრამ ჩემს ღირსებას ვერავინ შეეხება... ვერავინ!..

ასმათი — */გიგის გადახედავს, შემდეგ ვახოს, ისევ გიგის /*, — ვინ გითხრათ, რომ არ მოგვეწონა, ბატონო ვახტანგ! რა, გიგიმ გითხრათ?! რა უთხარი, გიგი, ამ პატიოსან ადამიანს, რატომ არის აღელვებული?!

ვახო — გიგი რა შუაშია! მაქსიმესთან რატომ დამაწყვილეთ ჩემს უკითხავად! რა დამოკიდებულებაა ეს ავტორთან!..

ასმათი — ბატონო ვახტანგ, ბატონო ვახტანგ!.. როგორც ჩანს, გიგიმ ვერ გადმოგცათ ჩემი სათხოვარი...

ვახო — სათხოვარი? სათხოვარს ეძახით ამას?!

ასმათი — ერთი წუთი დამითმეთ, ბატონო ვახტანგ და ყველაფერი გასაგები გახდება თქვენთვის. მხოლოდ დამშვიდდით, ძალიან გთხოვთ... არაფერია სანერვიულო, მერწმუნეთ...

ვახო — მშვიდად ვარ, ბატონო, ძალიან მშვიდად ვარ... ძალიან მშვიდად!..

ასმათი — ჩვენ არავის ვატანთ ძალას, ბატონო ვახტანგ! ამის არც სურვილი გვაქვს და არც უფლება, მაგრამ სტუდია საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას დებს ამ პროექტში, ხომ ასეა, არა? ნუთუ არ შეგვიძლია სავარაუდო თანაავტორი შემოგთავაზოთ... ჩვენ ხომ არ მოვითხოვთ, ჩვენ მხოლოდ გთავაზობთ. შეხვდით, დაილაპარაკეთ, იქნებ საინტერესოც იყოს თქვენთვის, თუ არადა, ცივილურად, ადამიანურად გავარკვევთ ჩვენს ურთიერთობას... ისიც გაითვალისწინეთ, რომ თქვენს ჰონორარს ერთი თეთრიც არ მოაკლდება. რატომ არის ასეთი ვნებათაღელვა, არ მესმის, ჯერ შეხვდით

და მერე ვილაპარაკოთ.

ვახო — */ჩაფიქრდება /*, — ესე იგი შეხვედრის შემდეგ ვიმსჯელოთ, -ან ისე, ან ასე...

ასმათი — დიახ... რა მოხდა მერე, ვინ გვაჩქარებს...

ვახო — */პაუზის შემდეგ /*, ასე შეიძლება... */პაუზა/*, კი, შეიძლება...

ასმათი — */გიგისკენ გაიხედავს, თავს გადააქნევს /*, — გიგი, გიგი, ამაზე მარტივი რა უნდა გთხოვო?

ვახო — */ცოტა შემცბარი/*, — არა, არა, გიგი არაფერ შუაშია, რთული დღე მქონდა...

ასმათი — და ერთიც, თუ უფლებას მომცემთ... მე მგონი, პოლიტიკური მინიშნებები ზედმეტია, იცით!

ვახო — საიდან მოიტანეთ, არც კი მიფიქრია...

ასმათი — */ყურადღებას არ აქცევს, თავისას განაგრძობს /*, — ამძიმებს! სოციალური თემატიკაც შესარბილებელია. იცით, რა მოთხოვნილებაა დღეს მაქსიმეზე? და რატომ, როგორ ფიქრობთ? დაიღალა ხალხი – პოლიტიკითაც, ყოფითაც! ამიტომ მსუბუქად, ბატონო ვახტანგ, რაც შეიძლება მსუბუქად, ლაღად, მაქსიმესავით... */ასმათის მობილურის ზარი /*, — ჰო, ჯეკო! */ისტერიულად/*, ჯეკო, შენ ხარ უნამუსო ადამიანი! კმარა ამდენი ტყუილები, ჯეკო! ხომ იცოდი, ჯერ პრეზენტაციაზე მივდიოდი, მერე სასამართლოში! დაბრძანდები სტუდიის ბენზინით აღმა-დაღმა! კმარა-მეთქი, საკმარისია თავის მართლება! */გამორთავს მობილურს/*, მანქანა გაფუჭებია ამ იდიოტს...

გიგი — გაგიყვან, ასმათ, გენაცვალე!

ასმათი — მყავს მე საკუთარი მანქანა! */აგრესიით /*, და ამ ფამილარულ მიმართვასა მოეშვი-მეთქი, რამდენჯერ მიგითითო! კმარარა! კმარა, ამოვიდა ყელში! ბოდიში, ბატონო ვახტანგ, დროებით! */ასმათი ნაჩქარევად ტოვებს ოთახს/*.

ვახო — */პაუზის შემდეგ /*, — ეს გოგო ყოფილი კმარელია!

გიგი — ეს არის პატარა, გაავებული მხეცუნია ძალიან ბასრი კიჭუნიებით... გაიგონა ყველაფერი... ნიჩაბზე ვარ... სად წავიდე? ყველგან ასეთები მოჯდნენ ახლა.. სკაუტები... ამათთვის მე და შენ პენსიონერები ვართ... შენ კიდე ისტერიკას მიწყობ ნაშასავით... მელოდრამა, სერიალი, მაქსიმე გულყრა გემართება. უკადრისობ — გეგონება, ვალში ვიყო შენთან.

ვახო — ჰო, ჰო, მაგრამ რომ წარმოვიდგენ ვიღაც მაქსიმესთან ერთ გალიში! ფუჰ...

გიგი — ნუღარ ართულებ... მეც თქვენს გალიაში ვიქნები, თუ ამ სკაუტმა არ მომისროლა... */ჭიქას მისწვდება /*, ჩვენს ბავშვობას გაუმარჯოს – ისეთია რა, სუფთა — */გამოხედავს /*, სხვა დრო იყო, არა? ხო, კედელი, ხო, საშინელება, მაგრამ რაღაც იყო... როგორ ვახერხებდით აკრძალულიწიგნების კითხვას, აკრძალული ფილმების ნახვას, ახლა რაღაცნაირები წამოვიდნენ, ტვინდაკომპიუტერებულები... მაშინ სხვა იყო...

ვახო — სულიერი სამშობლო იყო... ახლა აღარ არის... მასკულტურამ ლტოლვილებად გვაქცია...

გიგი — ქუჩა, ბიჭო! იმასაც რომ თავისი ხიბლი ქონდა. ახლა სასამართლოებში ჩივიან ეს სკაუტები, იქ არჩევენ საქმეებს – მოკლედ, მართლაც გვამყნობენ, რა... სკაუტები გვამყნობენ... ორ ეპოქას შორის გავიხირეთ, ჩვენი გაგვჭირებია, ესენი კი უმოწყალოდ გვამყნობენ...

ვახო — დალიე, მეც მინდა...

გიგი — */ვახოს გამოხედავს /*, — ნუ ვიწუწუნებთ, გეთანხმები. */გადაჰკრავს/*.

ვახო — ჰო, ნუ ვიწუწუნებთ... */დაისხამს/*.

გიგი —*/თითქოს ხმამაღლა ფიქრობს /*, -- ეს ასმათაც ვინ არის?! თბილისში რომ ამას ვერ გაიგებს ჩემისთანა კაცი. მარტო ცხოვრობს. ქმარი არ ყავს. */ვახოს გამოხედავს /*, საყვარელი ხომ მაინც უნდა ყავდეს ამ ასაკში. ვერც ეგ გავიგე... იქნებ ლესბოსელია, ე!

ვახო — */მხრებს აიჩეჩავს, უინტერესოდ/*, — შეიძლება... რატომაც არა... დღეს ყველაფერი შეიძლება...

გიგი — რაღაცა აქვს ისეთი, მოუხელთებელი... არ მოგეჩვენა, რომ სექსუალურია ძალიან?...

ვახო — */უინტერესოდ/*, — არა...

გიგი — კი... სექსი ფეთქავს, ფეთქავს სექსი, ფეთქავს... გიჟი იქნება ეგ...

ვახო — ნეტა შენ, რა... */გადაკრავს/*.

გიგი — ბიჭო, ბიჭო, ბიჭო, ბიჭო, მაქსიმეს ნაშა ხომ არ არის?! */ვახო გიგის გამოხედავს/*, ჰა, ვახო, როგორ ფიქრობ, მაქსიმეს ნაშაა?

ვახო — */მხრებს აიჩეჩავს /*, — რა ვიცი, ან რატომ უნდა ვიცოდე...

გიგი — */დარწმუნებით /*, — კი, ნაღდად მაქსიმეს საყვარელია, ჰა, ვახო?!

ვახო — */უინტერესოდ /*, — შეიძლება, კი... რატომაც არა... შეიძლება საყვარელიცაა.

გიგი — სულ არაფერი წაგიკითხავს მაქსიმესი? ერთი აბზაციც არ ნაგიკითხავს? ნავიკითხოთ, რა, დამაინტერესა...

ვახო — რა წაკითხვა უნდა, გიგი, მაქსიმეს?! ჰაერშია მაქსიმე გაფანტული... სუნთქავ ჰაერთან ერთად... ყოველ ჩასუნთქვაზე მაქსიმე გიძვრება გულგვამში. ეს... ეს იდიოტიზმი... ეს თავაწყვეტილი სისულელე... ხალხიც დაქლიავდა თუ შეგნებულად დააქლიავეს მაქსიმეთი... სადღაც მივექნებით, უწონადობაში, მაქსიმეს სამკვიდროში... მხოლოდ იმაზე ფიქრი, დღე გადააგორო როგორმე!.. დაივიწყო, დაშტერდე, სტაგნაციამდე მიხვიდე!.. ამისთვის მაქსიმე გჭირდება... ისიც აქვეა - სერიალებში, გულისამრევ მელოდრამებში, ჯღანავში, საიდან-

ღაც ჩამოთრეულ შოუებში... მერე მიდის ამაზე მსჯელობა და ავტობუსში თავშერგულს მაქსიმეს სახელი გესმის ისევ... მიგეჩქარება შინ, რომ ჩაიკეტო, განმარტოვდე... ცდილობ წაიკითხო რაღაც ღირებული, მაგრამ რატომღაც მაქსიმეზე ფიქრობ... მოგენატრება ადამიანის ხმა, ჩართავ ტელევიზორს, ყველა არხიდან მაქსიმე გელაპარაკება... ლუკმა, რომელსაც ღეჭავ მაქსიმეს ლუკმაა, იმიტომ რომ, თუკი გინდა ლუკმა მოიპოვო, მაქსიმე უნდა გამოწურო როგორმე შენი სულიდან... ჰოდა, მეც ვზივარ და მაქსიმეს ველოდები შენთან ერთად... ნაღდად არ ვწუწუნებ, საწუწუნოც არაფერია, განსაკუთრებული არაფერი ხდება, მაქსიმეს ველოდები...

გიგი — /*ცოტა შემკრთალი*/, — ჰო, მაქსიმეა მხოლოდ და მხოლოდ, მართლაც რა დაგვემართა.

ვახო — ჰოდა, მაქსიმე როა, მეც ველოდები... ალბათ მოვა...

გიგი — ვიღაც სიმონა... რა მიდის ჩვენი, შევხვდეთ...

ვახო — არაფერიც არ მიდის... შევხვდეთ...

გიგი — ხომ არ შეგვჭამს, არა?

ვახო — არა, შეჭმით როგორ შეგვჭამს, კაცი-ჭამია ხომ არ იქნება, მაქსიმეა...

გიგი — ისე, რომ დაფიქრდეს კაცი, კარგიც უნდა იყოს შენთვის... ასმათმა ჰონორარს არაფერი დააკლდებაო... დავსვათ, ძმაო, ეგ მაქსიმე და ვამუშაოთ. მე თუ დამტოვეს, საერთოდ, – არა, ე?!

ვახო — /*მოხედავს*/, — რა?

გიგი — მაქსიმემ იმტვრიოს-მეთქი თავი...

ვახო — ჰო, კი...

გიგი — /*ეჭვის თვალით მიცქერილი ვახოს*/, — ეგეთი მომწონხარ...

ვახო — როგორი?..

გიგი — ეგეთი... მომართული... სამუშაოდ... მოვა ვიღაც სიმონა, შევუცურებთ ქალაქურად, იმან იკითხოს, თორე ჩვენ რა... /*მხარს გაკრავს*/, ჰა?

ვახო — /*გამოხედავს*/, — რა გინდა?

გიგი — იმან იკითხოს მეთქი, თორემ ჩვენ რა...

ვახო — ჰო, იმან იკითხოს...

გიგი — მაგის სიმონა...

ვახო — /*მკვეთრად წამოდგება*/, — არა!

გიგი — რა, არა?!

ვახო — აი, ახლა ზუსტად ვიცი, რომ არა! შენ და მაქსიმე უფრო შეეწყობით, მე ზედმეტი ვარ...

გიგი — მართლა ასე ფიქრობ?

ვახო — კი...

გიგი — შენი ჭკუაც ვატირე, ასე თუ ფიქრობ...

ვახო — ჩემი არა, შენი! შენი ნისლებით და ბურუსებით... ანდა, ჩემიც, ჩემი ჭკუაც ვატირე, რომ აქამდე შევრჩი ამ სტუდიას; მაგრამ წასვლის წინ მაინც ვიტყვი ჩემსას... ყველაზე მეტად მაქსიმეს ბოზი დედა!..

გიგი კარში ჩამდგარ ნონას შენიშნავს და მაჯაზე წაეტანება ვახოს.სურათი მეორე; შემოდის ნონა.

გიგი — /*ვახოს*/, — ჩუ!.. /*ნონას გაუღიმებს*/, უკაცრავად, ქალბატონო, სცენას ვთელავთ, რეპეტიციასავით გვაქვს, ასე ვთქვათ...

ვახო მოტრიალდება და ნონას მიაცქერდება. ნონა ჰაერს შეისუნთქავს, შემდეგ დეზადორს ამოიღებს ხელჩანთიდან.

ნონა — /*დეზადორი მიმოაშხურა*/, -- არა, ამას არ ქვია არაყი!.. აცეტონი... დენატურატი... /*ჰაერი შეისუნთქა, ერთხელაც მიმოაშხურა დეზადორი*/, წამლავენ ხალხს... /*დაიძვრება ვახოსკენ*/, უკაცრავად!.. /*სულერთიანად გალუმპავს ვახოს დეზადორით, შემდეგლა შეაცქერდება*/, ვახო?! ვახტანგ, ეს შენ?!

ვახო — /*დაბნეული*/, — ... ნო—ნა?!

ნონა — /*ილიმება*/, — ვახო!.. /*ლოყა ზე მიასხურებს დეზადორს. სადაც მიასხურებს ზუსტად იმ ადგილ ზე აკოცებს*/.

ვახო — /*შემცბარი, გარიდებულიც ნონას*/, -- ... რამდენი წელია!

ნონა — /*თითის ანევით, გაღიმებული*/, — ასაკი არ ვახსენოთ... ძალიან გთხოვ!

ვახო — /*გიგი ზე უთითებს*/, — გიგი, ბავშვობის მეგობარი...

ნონა — /*გიგის მიუახლოვდება*/, — ნონა, სასიამოვნოა...

გიგი — ჩემთვისაც... ასევე... თუ შეიძლება?! /*დეზადორს ჩამოართმევს, თავად მიმოიშხურებს, შემდეგ გაუწვდის ხელს ნონას*/, გადასარევი სუნი აქვს...

ნონა — /*ხელს ჩამოართმევს*/, — მოგეწონათ, არა? თქვენი იყოს...

გიგი — არა, რას ბრძანებთ...

ნონა — ძალიან გთხოვთ, გამეხარდება... /*ერთხანს დააკვირდება გიგის*/, უიმე, ახლა გამახსენდა, ის კლიპი ხომ თქვენ გადაიღეთ, აი, ნისლში რომ მღერიან? სასიამოვნოდ ბუნდოვან განწყობილებას ქმნიდა, იცით... ბიჭებო, თქვენ სვამდით აქ, რაღაც საშინელებას, რაღაც გოიმობას... /*დაფიქრდება*/, ვაი, მგონი უადგილოდ ვიხმარე ეს სიტყვა... თუმცა, ეს არაა არსებითი... იმის თქმა მინდოდა, რომ ძალიან კარგი კონიაკი მაქვს, ნაღდი, პირდაპირ იქიდან...

გიგი — საიდან?!

ნონა — /*გარემოს ათვალიერებს*/, — იქიდან, იქიდან, პარიზიდან... ოღონდ ჭიქები უნდა გამოვრეცხოთ გულდასმით. ვახო, გენცვალე, არ გამოვრეცხოთ? /*ვახო გაბეზეებული შესცქერის ნონას*/, ვახო, რა დაგემართა?

ვახო — რაო?

ნონა — ჭიქები გვინდა, რა, სუფთა ჭიქები...

ძალიან გთხოვ!

ვახო — /*მიმოიხედავს, ბარზე შემოდებულ ჭიქებს დასწვდება*/, — ჰო, ჭიქები, აი, ჭიქები.

ნონა — /*ეჭვის თვალით ჩააშტერდება ჭიქებს*/, — ნამდვილად სუფთაა? თორემ ბაქტერიები, ბაქტერიები, ყველგან ეს ოხერი ბაქტერიები. /*ხელჩანთიდან ვერცხლის მოოქროვილ მათარას ამოიღებს*/, მე პირდაპირ მათარიდან ვსვამ, ასე მიყვარს, მეკობრესავით... /*უცნაურად გადაიკისკისებს*/, დაგისხათ ამ ჭიქებში, ბიჭებო?

გიგი — დიახ, გავრისკავთ!

ნონა — გარისკავთ...

ვახო — ნონა, დაასხი!..

ნონა — რა გაეწყობა, კეთილი, გარისკეთ... /*ჩამოასხამს*/, ვახო, სხვათაშორის, ამასწინათ დავიწყე შენი წიგნის კითხვა, ოღონდ, არ გეწყინოს და ვერ წამიყოლია, იცი... ხომ არ გეწყინა, ვახო!..

ვახო — /*ერთ მოსმაზე გადაჰკრავს*/, — არა!

ნონა — ვაიმე, რა გოიმივით დალია, არა, გიგი?! ვახო, ეს უნდა დალიო წრუპვით, ვახო, შეხედე გიგის, აი, ასე... /*ჩამოუსხამს*/, ხედავ... რა დაგემართა, ვახტანგ, რა ფერი გადევს?

ვახო — მძიმე დღეა... რატომღაც ყველა ჭკუას მარიგებს... ამას ისიც დაუმატე, რომ ახლა ვიღაც მაქსიმე მოეთრევა... /*ჭიქას მიიტანს ტუჩთან*/.

ნონა — ჩვენ შეხვედრას გაუმარჯოს!

გიგი — შესანიშნავი კონიაკია... /*დაგემოვნებით მოსვა*/.

ნონა — /*მათარა მოწყვიტა ტუჩს, პაუზის შემდეგ*/, — მაგრამ იცით რა, ბიჭებო! მაქსიმე რომ უკვე მოვიდა, ეს ხომ მე ვარ მაქსიმე.

გიგის ჭიქა შეაცივდება ხელში. ვახოს ხველა აუტყდება.

ნონა — ფსევდონიმია ჩემი... ასმათმა მითხრა ვიღაც ორ.. /*პაუზა*/, აჰა, ესე იგი ეს თქვენა ხართ, არა? ვახო, რა დაგემართა, ვახო?!

ვახო — /*ვახო სულის მოთქმას ცდილობს*/, — არაფერი... არაფერი!..

გიგი — /*აშკარად ოხუნჯობის ხასიათზე დგება*/, — როგორ გამეხარდა, რომ იცოდეთ, როგორ ძალიან გამეხარდა, ქალბატონო... ო, როგორ...

ნონა — რა გაგეხარდათ ასე ძალიან, გიგი?..

გიგი — როგორ თუ რა გამეხარდა; სწორედ თქვენ რომ ბრძანდებით მაქსიმე, აი, ეს გამეხარდა...

ნონა — /*ეჭვის თვალით მიაცქერდება გიგის, შემდეგ ვახოს გახედავს, თვალების ფახულით*/, — რასაც ვერ ვიტყვი ვახოზე, არა, ვახო?!

ვახო — მადროვე, ნონა... /*სულს მოიბრუნებს, ნონას მიაცქერდება*/, რატომ ასეთი ფსევდონიმი, რატომ მაქსიმე?

გიგი — დიახ, დიახ, მეც დამაინტერესა, რატომ ასეთი შოკისმომგვრელი არჩევანი...

ნონა — /*გიგის გახედავს*/— შოკისმომგვრელი არჩევანი... /*დაფიქრდება*/, მე მგონი კარგია... მაჩუქებთ, გიგი, ამ ფრაზას...

გიგი — სიამოვნებით... თქვენი იყოს...

ნონა — დიდი მადლობა... იცით, გიგი, მე კომკავშირის ცეკაში ვმუშაობდი მაშინ...

გიგი — მაშინ, როდის?

ნონა — /*გიგის მიცქერილი*/, — მაშინ, მაშინ, იმ წლებში... აი, ვახომ იცის... დიახ... მერე დაიწყო – მიტინგები, კარვები, გადატრიალება, გადმოტრიალება, ომები, გაუთავებელი რევოლუციები... მოკლედ, წავედი!..

გიგი — უკაცრავად, სად წახვედით?

ნონა — იქით, იქით, დასავლეთში...

გიგი — აჰა, საინტერესოა...

ნონა — ია-ვარდით ნამდვილად არ ყოფილა ჩემი გზა მოფენილი, მიჭირდა კიდეც, ისე არ გეგონოთ, მაგრამ ღმერთი ჩემთან იყო მუდამ, ღმერთმა არ მიმატოვა, არ გამწირა ღმერთმა, იცით... ბევრი ვიმოგზაურე, მერე აქეთაც გადმოვინაცვლე...

გიგი — ბოდიში, აქეთ სად?!

ნონა — აქეთ, აქეთ, ჰუმანიტარული მისიით, აღმოსავლეთისკენ. ნუთუ გაუგებრად ვლაპარაკობ?

გიგი — არა, რას ბრძანებთ, მე უნდა მივმხვდარიყავი. აქეთ, ესეიგი აღმოსავლეოისკენ, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, უფრო სწორედ; დიახ, ბუნებრივია...

ნონა — /*გიგის მიაცქერდება*/, — გიგი, ხომ არ მაშაყირებთ?

გიგი — როგორ გეკადრებათ, ნონა, ვიკითხე უბრალოდ...

ნონა — /*გაილიმებს, შემდეგ გადაიკისკისებს*/, — კი, კი, მაშაყირებთ! ღმერთო ჩემო, მეც რა გოიმურად ვთქვი, — იქით, იქით, მერე, — აქეთ, აქეთ... რა სულელი ვარ, არა?! არადა, მართლაც ასე იყო, ხან იქით ვიყავი, ხან აქეთ ვიყავი, ვარდის ფურცელს ხომ აიტაცებს ქარი, გადაისვრის იქით, გადმოისვრის მერე აქეთ... /*დაფიქრდება, ხელჩანთიდან უბის წიგნაკს ამოიღებს, წერს წიგნაკში*/, ამას ჩავინიშნავ, /*სახეამრე ზილ ვახოს გახედავს*/, ვახო, არ მოგწონს? ვარდის ფურცლის სიმსუბუქით!..თუმცა შენ არ მოგწონს ეგეთი რაღაცეები, ვიცი, ვიცი... /*გიგის გამოხედავს*/, მაგრამ მე ხომ მწერლობაზე არ მაქვს პრეტენზია... მე ისე ვარ, იცით, გიგი, რაც უცებ მომივლის თავში, გამტარივით ვარ მე, დიახ, მოდის-ვატარებ, მოდის-ვატარებ...

გიგი — აა...

ნონა — /*მიაცქერდება გიგის, გადაიკისკისებს შემდეგ*/, -- გიგი, თქვენ ცუდი ბიჭი ხართ, კი, კი, თქვენ მე დამცინით, გიგი! აღიარეთ, აღიარეთ!..

ვახო — /*შუბლშეჭმუხნული*/, — ფსევდონიმს რაც შეეხება...

ნონა — /*თვალების ფახულით მიცქერილი ვახოს*/, — მერე, ფსევდონიმზე არ ვლაპარაკობდი? რა უცნაურია, არ ესმით, თითქოს, ჩემი ლაპარაკი... /*პაუზის შემდეგ*/, რატომ გაქვს, ვახო, ასეთი გამომეტყველება? წითელქუდას

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მგელი შეხვდა, იმას გავხარ...

ვახო — ნონა, შენ არა ხარ წითელქუდა; მე, მითუმეტეს არა ვარ მგელი, უბრალოდ დამაინტერესა, ნონა, რატომ დაირქვი მაქსიმე... ამან დამაინტერესა მხოლოდ!..

ნონა — */გიგის მიუბრუნდება/*, — აი, ასეთი იერი ჰქონდათ მაშინაც... რაღაც გაუგებარ სამხედრო აღჭურვილობაში ეს ხალხი! პირდაპირ რუსთაველზე!.. ფარაჯებით... „ტელნიაშკებით“... ღმერთო ჩემო, მახნოს ბანდა, ჩემი ლაღი ხალხი კი არა... ცოტაოდენი ფული მქონდა, დავაფუძნე ჟურნალი, გამოიხედონ-მეთქი ამათაც თვალში... კინოვარსკვლავები თხოვდებიან, ერთმანეთს შორდებიან და ზუსტად თხუთმეტ წუთში ისევ თხოვდებიან! სამყაროს ახალ-ახალი ბაქტერიები უტევენ! ლოკალური და საერთაშორისო მასშტაბის სკანდალები ხდება წამდაუწუმ! უცხოპლანეტელები ლამის შინ შემოგვეჭრან, საკუთარ ბინებში! ათასი ჭორია, თვალსა და ხელს შუა იბადებიან ახალ-ახალი ვარსკვლავები, სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს, ბრიტნი სპირსი, მოგეხსენებათ, ქვედა საცვალის გარეშე, გალეწილი მთვრალი...

ვახო — */გაღი ზიანებით, ხმამაღლა/*, — ფსევდონიმს-მეთქი! ფსევდონიმს რაც შეეხება!..

ნონა — */თვალების ფახულით/*, — ვახო, წნევა ხომ არ გაწუხებს?

ვახო — არავითარი წნევა არ მაწუხებს! */თითქმის ღრიალით/*, მაინტერესებს უბრალოდ, ფსევდონიმს რაც შეეხება-მეთქი!!!

ნონა — */შემკრთალი/*, — ა, ფსევდონიმს? */გიგის გახედავს, ვახოს გამოხედავს, თვალების ფახულით/*, მერე ფსევდონიმზე არ გელაპარაკები?

ვახო — არა! არა! არ მელაპარაკები ფსევდონიმზე! სად შენ და სად მაქსიმე-მეთქი, */ნერვიული წიკით/*, რატომ მაინცდამაინც მაქსიმე, ეს მაინტერესებს მე!

ნონა — */გაღიმებს/*, — მაქსიმე... რაღაც ნოსტალგიური არის ამ სახელში, არ გეჩვენება?

გიგი — დიახ, პირადად მე „მაქსიმკა“ გამახსენდა, „პულიმიოტს“ ეძახდნენ წითელარმიელები...

ნონა — აი, სცოდნია!..„ტაჩანკაზე“ შემოდებულ „პულიმიოტს“! */ღიმება/*, გავარტყი, ათიანში გავარტყი... და საერთოდ, თუკი იმ სერიალში ქვია მშვენიერ გოგონას ნიკიტა, რატომ არ შეიძლება, ვითომ, მე დავირქვა მაქსიმე, რა ცხოველი ინტერესია ამ სახელის მიმართ, არ მესმის! ვახო, შენ საწინააღმდეგო გაქვს რამე?

ვახო — */სკამზე დაემხობა/*, — არაფერი... */თავს ხელებში ჩარგავს, ზურგს შეაქცევს ნონას და გიგის/*, არაფერი... */ასე გაყუჩდება/*.

გიგი — */ნონას უახლოვდება/*, — ნონა, ესე იგი, თქვენ ავტორი კი არა, დამფუძნებელი ყოფილხართ ჟურნალის?

ნონა — რატომ ჟურნალის? ჟურნალების...

გიგი — */ინტერესით/*, — აჰა, ჟურნალების... საინტერესოა...

ნონა — დიახ, ავტორობა ჰობია ჩემი... ეს ახირებაა, გიგი, მარტოხელა ქალის ახირება... */წამით დაფიქრდება/*, მე მგონი კარგია...

გიგი — რა არის, ნონა, კარგი?

ნონა — */ხელჩანთიდან უბის წიგნაკს ამოიღებს, წერს/*, — რომანის სათაურად... არ მოგწონთ, — მარტოხელა ქალის ახირება... ინტრიგა არ დევს ამაში?! ქალი ხომ ფაქიზი არსებაა... ერთიანად გახვეული იდუმალ საბურველში... მეტსაც გეტყვით, ქალი ვალდებულიც კია, საიდუმლოს ატარებდეს... და აი, მარტოხელა ქალი და მისი ახირება... */ვახოს გახედავს/*, ვახო! */ვახო არ იცქირება ნონასაკენ, თითქოს ჩაეძინაო/*, თუმცა, ამას მაინც არ მოსწონს ასეთი რაღაცეები... არც თქვენი მოგწონთ, გიგი?!

გიგი — მე მგონი, შესანიშნავია...

ნონა — ხომ გულწრფელი ხართ ახლა, ხომ არ მაშაყირებთ, გოიმიაო, — ხომ არ ფიქრობთ ჩემზე, გიგი!

გიგი — ნონა, როგორ გეკადრებათ, ნონა...

ნონა — გი—გი!..

გიგი — დიახ!

ნონა — თქვენ მასაჟი იცით?!

გიგი — მასაჟი? მასაჟი როგორ არ ვიცი... დიახ, ვიცი... ძალიანაც კარგად...

ნონა — გიგი, გამიკეთეთ რა, მასაჟი, თორემ სულ მიდი-მოდის ახლა ჩემში ეს დენი – წზზ.. წზზ.. ლამის დაიწვას სადენი...

გიგი — */უახლოვდება/*, — მასაჟი... როგორ მასაჟი, ანუ */ვახოს გახედავს/*, რა გაგებით, მასაჟი?..

ნონა — აი აქ, აი, ბეჭებზე თუ შეიძლება... აქ განსაკუთრებით მიდი-მოდიან...

გიგი — */ბეჭებს უზელს ნონას/*, — ასე?

ნონა — ჰო, ჰო... გიგი, რა სჭირს ვახოს, გიგი, რატომ არის ასე, ეკლიანი ზღარბივით?

გიგი — მგონი, მარტოხელა ქალის ახირებაზე უნდა გვესაუბრა, ნონა... პოზიცია ხომ არ შევცვალოთ?

ნონა — არა, პოზიცია კარგია. მე კი ვახო მაფიქრებს, იცით, გიგი!

გიგი — ვახო? არაფერია ისეთი, ნონა, ჩვეულებრივი, ყოფითი ამბავი... მაშ, ჟურნალების დამფუძნებელი ყოფილხართ, არა?

ნონა — რატომ მხოლოდ ჟურნალების... რამდენიმე გაზეთისაც...

გაგრძელება იქნება

ანდერძი ჩაფლინოვი

სახელმწიფოებრივი კაცი

ხანდაზმულ კაცს ტრანსპორტი კოოპერატივებისა და მომავალ მშენებლობათა პერსპექტივის თანაბრად უყვარდა. დილით გუშინდელი ვახშამის მონარჩენით წაიხემსებდა, რის შემდეგაც გასახედ-გამოსახედად და თვალ-გულის დასატკბობად გაეშურებოდა. თავდაპირველად ვაგზალს მოინახულებდა, უპირატესად ტვირთების მოსაკრებ საბარგო ბაქნებს დაივლიდა და დაგროვილი საქონლის ხილვით გაიხარებდა. ორთქლმავალი მშვიდობიან ძალთა ბლოქვ-ბლოქვად გამოქშენით თავ-თავის ადგილას ნელ-ნელა მიაგორებდა საზოგადოებრივი ნედლეულით: გოგირდმჟავას ბოცებით, თოკების ზვინებით, სადაწესებულებო საგნებით და უთუოდ რაიმე სასარგებლოთი სავსე, უწარწერო ტომრებით გაძეძგილ ვაგონებს. ხანდაზმული კაცი, პიოტრ ევსეევიჩ ვერეტენნიკოვი, იმით კმაყოფილი, რომ მათი ქალაქი მარაგდებოდა, გამშვებ ბაქანზე გადიოდა, რათა ენახა იგზავნებოდა თუ არა მატარებლები რესპუბლიკის შორეული მხარეებისკენ, სადაც ხალხი შრომობდა და ტვირთებს ელოდა. მატარებლები ჩადრეკილი რესორებით მიემართებოდნენ, იმდენი აუცილებელი ტვირთი მიჰქონდათ. პიოტრ ევსეევიჩი ამითაც კმაყოფილდებოდა: იქაურნი, ვისთვისაც ეს საქონელი იყო განკუთვნილი, უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ.

სადგურის მახლობლად საცხოვრებელი დაბა შენდებოდა. პიოტრ ევსეევიჩი ყოველდღიურად თვალს ადევნებდა ნაგებობათა ზრდას, რადგან ამ სადგომთა სითბო ათასობით მშრომელ ოჯახს შეიფარებდა, მათი დაბინავება კი ქვეყნიერებას უფრო გააპატიოსნებდა და გააბედნიერებდა. პიოტრ ევსეევიჩი მშენებლობისა და სამშენებლო მასალების თვალიერებით დატკბებოდა და იქაურობას გულაჩუყებული ტოვებდა. ერთობლივი შრომის შემწეობით მთელი ეს განამზადი ქონება მალე შემოდგომისა და ზამთრის უამინდობისგან დამცველ მკვიდრ სამყოფლად გადაიქცეოდა, რათა თვით სახელმნიფოს არსი, მისი მოსახლეობის სახით, უვნებელი და მყუდროება შეძენილი ქმნილიყო.

პიოტრ ევსეევიჩს გზა შემდგომ სოფლის საზოგადოებისგან უკვე გაკაფულ-გახმარებულ ტყეზე ედო, სადაც სამშენებლოდ გამოსადეგი, ოლონდ მობერებული თითო-ოროლა ფიჭვი აქა-იქ კიდევ იდგა. ამ მცირე ტყის სამიჯნო თხრილში მიწისმზომელს ეძინა. იგი არცთუ ხანშიშესული, მაგრამ მოტეხილი, ალბათ მიწათმოწყობაში ჯაფისგან ღონემიხდილი კაცი იყო. ძილისგან მოთენთილს პირი გაეღო, ფიჭვის ფისის სურნელით გაჯერებული, ცხოველმყოფელი, მღელვარე ჰაერი სხეულის სიღრმეში ეჭრებოდა და აჯანსაღებდა, რათა პურეულის მხვნელ-მთესველთა მიწათმოწყობა კვლავ შესძლებოდა. კაცი ისვენებდა და მყუდროების თანამგზავრი ბედნიერებით გულს ივსებდა. მისი ხელსაწყოები — თეოდოლიტი და საზომი ლენტი ბალახში ეწყო, რომელთაც ფაცა-ფუცით ამოწმებდნენ ჭიანჭველები და სიძუნწის გამო მუდამ განმარტოებით მცხოვრები, გამხდარი ობობა. პიოტრ ევსეევიჩმა თხრილში ბალახი მიგლეჯ-მოგლიჯა, დააგუნდავა და მძინარეს თავქვეშ ფრთხილად ამოუდო, რითაც ოდნავ კი შეაწუხა, მაგრამ მოამყუდროვა. მიწისმზომელს არ გაუღვიძია, საბრალო ობოლივით რაღაც ამოიკვნესა და თავი კვლავ ძილს მისცა. „რბილ ბალახზე თავმიდებული ახლა უკეთ დაისვენებს და გამოძინებული მიწას უფრო ზუსტად გაზომავსო“, — გაიფიქრა სასარგებლო ნამოქმედარით კმაყოფილმა პიოტრ ევსეევიჩმა და შემდგომ საქმეთა მისახედად გასწია.

ტყე მალე ჩათავდა, ხის ძირებს იქით კი აქა-იქ დახრამული მიწა და ზოლ-ზოლად ჩარიგებული ჭვავის ყანები იწყებოდა. ჭვავის ყანებს მიღმა მწირი სოფლები მოჩანდა, ხოლო მათ მაღლა ჰაერის უკიდეგანო სივრცე. პიოტრ ევსეევიჩს ჰაერიც ქონებად მიაჩნდა — მთელი სახელმწიფო ხომ ჰაერით სუნთქავდა. თუმცაღა უქარო დღეთა გამო წუხდა. გლეხები მარცვლეულს

ვერ ფქვავდნენ, ქალაქის თავზე კი მოწამლული ჰაერი დედდებოდა, რაც სანიტარულ ვითარებას აუარესებდა. მაგრამ პიოტრ ევსეევიჩისთვის ეს წუხილი სატანჯველი კი არა, საზრუნავი გალხდათ, რაც მის სულს ერთიანად მოიცავდა და ამის გამო საკუთარი არსებობის ტვირთს ვეღარ შეიგრძნობდა. პიოტრ ევსეევიჩს ახლა გულს ოდნავ უფორიაქებდა ორთქლმავალი, რომელიც აღმართზე რაღაც უხეშ ტვირთს სულშეხუთული მიაჩოჩებდა. პიოტრ ევსეევიჩი შეჩერდა და წინსვლის შემაბრკოლებელი ტვირთისგან ძალაგამოლეული მანქანის სატანჯველი თანაგრძნობისა და შემწეობის სურვილით წარმოისახა.

— ოღონდაც გადასაბმელებში რაიმე არ ჩაუწყდეს, — კბილებში გამოსცრა პიოტრ ევსეევიჩმა, — ოღონდაც ცეცხლი იმყოფინოს და წყალი არ ჩაუშრეს! ცოტა ხანსაც გაუძლოს, ახლა ხომ ცოტაღა დარჩა...

ორთქლმავალი აღმართს ბანდაჟების ღრჭიალითა და ბუქსაობით მიუყვებოდა, რელსებს მიწებებულ შემადგენლობას არ ნებდებოდა. ორთქლმავალმა უეცრად საყვირი საგანგაშოდ, გაბმით აახმიანა, გამჭოლი გასასვლელი მოითხოვა: სემაფორი ალბათ გადაკეტილი იყო. მემანქანე შიშობდა, მატარებელს თუ გავაჩერებ, მერე აღმართისკენ ვეღარ დავძრავო.

„ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება!“ — ჩაივიშვიშა პიოტრ ევსეევიჩმა და ვაგზლისკენ მარდად გასწია, რათა თვალი ედევნებინა, იქ რა ხდებოდა.

ორთქლმავალმა გაჩერების მაუწყებლად სამჯერ დაუსტვინა, ხოლო ვაგზალი პიოტრ ევსეევიჩს უშფოთველი დაუხვდა. იგი მესამე კლასის დარბაზში დაჯდა და წუხილს შეუდგა. „სად არის აქ სახელმწიფო? — ფიქრობდა პიოტრ ევსეევიჩი. — სად არის აქ ავტომატური წესრიგი?“

— შეპოტკო! — გასძახა მოძრაობის მორიგე აგენტმა მატარებლების შემდგენელს. — ორმოცდამეთერთმეტე მერვეზე ჩააყენე. მექანიკოსსა და მთავარს აღუნიშნე, რომ ტრანზიტით გაგვავსეს. იქ ცისტერნები გადაზიდე?

— დიახ! — უპასუხა შეპოტკომ. — ახლა ნუღარაფერს მიიღებთ, ვეღარსად დავაყენებ. ჯერ ორმოცდამეთერთმეტეს უნდა მივხედო.

„ყველაფერი უკვე გასაგებია, — დამშვიდდა პოიტრ ევსეევიჩი. — აქ სახელმწიფოა, რადგან ყველაფერზე ზრუნავენ. ოღონდ მოსახლეობას უნდა უთხრან, წყნარად იარსებეთო, თორემ მოთხოვნილებათა სიჭარბე მანქანებს დაამსხვრევს“.

პიოტრ ევსეევიჩმა რკინიგზის კვანძი წუხილდაკმაყოფილებულმა დატოვა, რათა მახლობელი სოფელი მოენახულებინა, რომელსაც კოზმა ერქვა.

კოზმაში ოცდაოთხი კომლი ცხოვრობდა. სახლები ხრამის კალთებზე ედგათ და, სამოცდაათი წელია, ამას მოთმინებით უძლებდნენ. ხრამის გარდა სოფელს წყურვილიც ტანჯავდა, მწყურვალენი უმადოდ ჭამდნენ და როგორც საჭიროა, ისე ვერ მრავლდებოდნენ. კოზმაში წმინდა და წყურვილის მომკვლელი წყალი არ იყო: სოფელს ქვემოთ, ხრამის ძირას, პატარა ტბორი იდგა, მაგრამ ტბორს კაშხალი ნაკელისა ჰქონდა, ხოლო წყალი იქ სახლებისა და სამეურნეო ნაგებობათა ქვემოდან ჩაედინებოდა. მთელი ნაკელი და ადამიანთა ყოფიერების მკვდარი ნარჩენები ტბორის ღრანტეში ჩაირეცხებოდა და იქ ყვითელ-ყავისფერ, ბლანტ წვენად ილექებოდა, რაც წყურვილის მოსაკლავად არ გამოდგებოდა. საერთოსამოქალაქო დაავადებათა, სახელდობრ, ქოლერისა და ტიფის ჟამს, ანდა იქაურ ნაკლებპოხიერ ნიადაგზე მოწეული პურის მცირე მოსავლისას კოზმელები თბილ ღუმლებზე წვებოდნენ და ბუზებსა და ტარაკანებს მანამდე უცქეროდნენ, სანამ სულს არ განუტევებდნენ. ამბობდნენ, რომ კოზმაში უწინ ასამდე კომლი ბინადრობდა, მაგრამ ახლა წარსული მჭიდრო დასახლების კვალი აღარსად ჩანდა. უპატრონო საბინადროებს მცენარეულობა გადაჰფარებოდა და ამ მცენარეულობის ქვეშ აღარ მოიძებნებოდა არც ნაცეცხლური, არც აგურისა თუ კირის ნარჩენი. პიოტრ ევსეევიჩმა იქაურობა ბევრგან მოჩიჩქნა — ვერ დაეჯერებინა, რომ შეიძლებოდა, სახელმწიფო შემცირებულიყო. ის ხომ წესრიგისა და სოციალურობის მატება-გამრავლებას შეიგრძნობდა და ყველგან საზოგადოებრივი ბედნიერების ავტომატურ ზრდას ხედავდა.

კოზმელი გლეხები პიოტრ ევსეევიჩს პატივს სცემდნენ იმის გამო, რომ იგი მათ იმედს უღვივებდა. კოზმელებს მიაჩნდათ, რომ სასმელზე მათი გასაჭირი მთელ რესპუბლიკას უნდა სცოდნოდა. პიოტრ ევსეევიჩი ყველას ამხნევებდა:

— სასმელს გაგიჩენენ, — ჰპირდებოდა იგი გლეხებს, — ჩვენ ხომ სახელმწიფო გვაქვს. სამართლიანობა, მით უმეტეს, სასმელი, ავტომატურად წარმოიქმნება! ეს კანის დაავადება ხომ არ არის? შინაგანი ამბავია: ყოველ მოქალაქეს ჭკუა-გონების თანაბრად წყალიც ესაჭიროება!

— მაშ რა! — კვერს უკრავდნენ კოზმელები. — წყლის ამბავში საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენ პირველ რიგში ვყავართ აღრიცხულნი. რიგი მოგვიწევს და წყურვილს მოვიკლავთ! წყალი განა არასოდეს დაგვილევია? ხომ ვსვამთ, ქალაქში როცა ჩავდივართ.

— მართალია, — დაასკვნიდა პიოტრ ევსეევიჩი, — დამატებით ისიც უნდა ითქვას, რომ მწყურვალის სიცოცხლე უფერულად, ძუნწად მიედინება. ტანჯვისას სიცოცხლეს უფრო მძაფრად შეიგრძნობ.

— უწყლოდ სიცოცხლე შეუძლებელია, — ეთანხმებოდნენ გლეხები, — გგონია, რომ მუგუზალი გაქვს გადაყლაპული.

— ეს მხოლოდ გეჩვენებათ, — განუმარტავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პიოტრ ევსეევიჩი, — მწყურვალეს რაღა არ მოეჩვენება. მზეც ცეცხლი გვგონია, მაგრამ სამოვრის ორთქლი თუ გადაეფარება, ჩაქრება და სუფრაზე უმალ აგრილდება. ასეთი რამ მხოლოდ გონებაში წარმოგვესახება...

კოზმაში პიოტრ ევსეევიჩს საჭმელს ყოველთვის შესთავაზებდნენ ხოლმე — ხელგაშლილობისა და სიუხვის გამოისობით კი არა, ჩვეულების გამო. მაგრამ პიოტრ ევსეევიჩი სხვის წილს არასოდეს გაეკარებოდა. პურს ხომ თითოეული იმკიდა და თითოეულისთვის იყო განკუთვნილი და არა ორისათვის. მაშ პიოტრ ევსეევიჩს არაფერი ერგებოდა. მზეც ძუნწად და სოციალურად ანათებს: თითოეული მშრომელისა და მჭამელის წილ პურს აღმოაცენებს, მეტისას — არა, მაშასადამე, სახელმწიფოში საჭმელად მისული სტუმრები არ უნდა იყვნენ.

ზაფხულობით კოზმელებს, ისევე, როგორც სხვა სოფლების ბინადართ, ფაღარათი შეეყრებოდათ ხოლმე, იმიტომ რომ ბუჩქნარში კენკრა მნიფდებოდა, ბოსტნებში კი მწვანილეული წამოიზრდებოდა. ეს ნაყოფი ტბორის ბლანტი წყლის ხელშეწყობით კუჭის აშლილობას იწვევდა. ამგვარი საზოგადოებრივი სატანჯველის აღსაკვეთად კოზმელი კომკავშირელები ჭების თხრას ყოველწლიურად იწყებდნენ, მაგრამ გაქვავებულ ქვიშრობთან ჭიდილი ქანცავდათ და ფუჭი შრომისგან დაუძლურებულნი მიწაზე დაეყრებოდნენ ხოლმე.

— ასეთ რამეებს შეუთანხმებლად რატომ აკეთებო? — უსაყვედურებდა კომკავშირელებს თავადაც დამწუხრებული პიოტრ ევსეევიჩი. — გრუნტი ხომ სახელმწიფოსია. მაშ ჭასაც სახელმწიფო გაგიმართავთ — ავტომატურად. მოიცადეთ, მანამდე კი წვიმის წყალი სვით! თქვენი მოვალეობა თქვენი წილი მიწების მოხვნაა.

პიოტრ ევსეევიჩი კოზმიდან ერთგვარად დანაღვლიანებული მიდიოდა იმის გამო, რომ მოქალაქეებს წყალი არ ჰქონდათ, მაგრამ ბედნიერებას შეაგრძნობინებდა მოლოდინი, აქეთკენ სახელმწიფოებრივი ძალები რომ უნდა დაძრულიყო და ეს ძალები გზად შემოეყრებოდა. ამას გარდა, პიოტრ ევსეევიჩს მცირე ეჭვის საშუალებით სულიერი სიმშვიდის შესუსტების ხარჯზე თავის გამოცდა უყვარდა. სახელმწიფოს მიმართ ეს მცირე ეჭვი კოზმიდან გამოჰყვებოდა ხოლმე უწყლოდ დარჩენილი სოფლის გამო. შინ ავსტრო-უნგრეთის ძველ რუკას ამოიღებდა და დიდხანს ჩაფიქრებით ათვალიერებდა. მას ავსტრო-უნგრეთი კი არ ეძვირფასებოდა, არამედ საზღვრებით შემოფარგლული სახელმწიფო, ერთგვარი არსი შემოზღუდული და დაცული მოქალაქეობრივი ცხოვრებისა.

სევასტოპოლის ბრძოლის ამსახველი სურათის ქვემოთ, რომელიც პიოტრ ევსეევიჩის თბილ, უშფოთველ ბინას ამკობდა, ერთიანი საბჭოთა კავშირის პოპულარული რუკა ეკიდა. ამ რუკას პიოტრ ევსეევიჩი უფრო მეტად შეფიქრიანებული აკვირდებოდა: სასაზღვრო ხაზის ურყევობა აღელვებდა. საზღვარი რა არის? გაშეშებული ფრონტი ცოცხალი და ერთგული არმიისა, რომლის ზურგს უკან წელმოდრეკილი ჯაფა მშვიდობიანად ხვნეშის.

შრომა თვინიერად დახარჯული სიცოცხლეა. სამაგიეროდ, ეს დახარჯული სიცოცხლე თავს სახელმწიფოდ იყრის და იგი განუყოფელი სიყვარულით უნდა გიყვარდეს, რადგან ცოცხალ და გარდაცვლილ ადამიანთა არსებობა ხელშეუხებლად სწორედ სახელმწიფოშია შემონახული. შენობები, ბაღები და რკინიგზები ხომ ხანმოკლე შრომითი ცხოვრების ხანგრძლივი გამოსახულებაა და სხვა არაფერი? ამის გამო პიოტრ ევსეევიჩს სწორად მიაჩნდა, რომ წარმავალ ადამიანებს კი არ უნდა თანაუგრძნო, არამედ მათ ნაღვაწს, რაც სახელმწიფოს სახითაა გამყარებული. მით უმეტეს, აუცილებელია მოვლა-პატრონობა ყოველგვარი შრომისა, რაც სახელმწიფოს ერთიან სხეულად გარდაიქმნება.

„ფეტვის ყანაში ჩიტები ხომ არ იქნებიან? — მღელვარება დაეუფლა პიოტრ ევსეევიჩს. — ნედლ მარცვლებს თუ ამოკენკავენ, მოსახლეობამ რიღათი ისაზრდოოს?“

პიოტრ ევსეევიჩი ფეტვის ყანისკენ უმალ გაეშურა და ნახა, რომ ჩიტები მარცვლეულს მართლა შესეოდნენ:

„ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება? ყოველნაირ სარჩოს მოსვენება თუ არ ექნება, რაღა უნდა გადარჩეს? გამაწამა ამ სტიქიონებმა — ხან წვიმებია, ხან წყურვილი, ხან ბეღურები, ხან მატარებლები ჩერდება! სახელმწიფო ამას როგორ უძლებს? ხალხი კი სახელმწიფოზე მაინც განაწყენებულია. განა ისინი მოქალაქეებად ჩაითვლებიან? ურდოს შთამომავალნი არიან!“

პიოტრ ევსეევიჩმა ფეტვის ყანიდან ჩიტები გარეკა და მერე თავის ფეხებწინ ძალაგამოლეული მატლი დაინახა, რომელსაც ვერ მოესწრო, ნესტს მიწის ქვეშ ჩაჰყოლოდა.

„ესეც რომ არსებობს და ნიადაგს ნთქავს! — ბრაზი მოერია პიოტრ ევსეევიჩს. სახელმწიფო უამისოდ ვეღარ იარსებებს, ხომ იცი!“ მან მატლი ფეხით გასრისა: დაე, ახლა მარადისობაში იარსებოს და არა კაცობრიობის ისტორიაში, აქ ისედაც ტევა არ არისო.

პიოტრ ევსეევიჩი შინ შეღამებისას დაბრუნდა, ბეღურებიც დაშოშმინდებოდნენ და ფეტვის საკენკად აღარ მიფრინდებოდნენ. ღამით კი მარცვლები თავთავებში უფრო მეტად მომწიფდებოდა და გამაგრდებოდა. ხვალ ამოკენკვა გაუჭირდებოდათ. ამგვარ დამამშვიდებელ ფიქრს მიცემულმა პიოტრ ევსეევიჩმა დილის საუზმის ნარჩენები მოსმუსნა, მერე კი თავი დასაძინებლად მიდო, მაგრამ ვერა და ვერ და-

იძინა: ხან რა ეჩვენებოდა და ხან რა წარმოესახებოდა, ყურს გაიმახვილებდა და კოოპერატივებიდან თაგვების ფხაკუნი შემოესმებოდა. ყარაულები კი საჩაიეებში ისხდნენ და რადიოს შესცქეროდნენ. სადღაც, განაპირებულ ველზე, სადაც ადამიანი იშვიათად გამოჩნდება, კულაკები სოფლის კორესპონდენტს გაჰკიდებიან. უმწეო სახელმწიფოებრივი კაცი გაფიჟვინებულთა მძლავრი დარტყმებისგან ისე დაეცემა ძალაგამოლეული, როგორც დამთრგუნველ ქარტეხილში სასიკვდილოდ განერთხმება პური არსობისა.

თუმცაღა, მახსოვრობა გულმოწყალეა: პიოტრ ევსეევიჩს გაახსენდა, რომ ურალთან თუ ციმბირში — გაზეთში ჰქონდა ამოკითხული — რთული სალეწი მანქანების დამამზადებელი მძლავრი ქარხნის მშენებლობა დაიწყო. ამ ფიქრში წასულს ძილმა თავი წაართვა.

დილით მისი ფანჯრების წინ ზურგზე მასალააკიდებული მეშუშე და სამუშაოდ მიმავალი მესახურავეები ჩაივლიდნენ ხოლმე, კოოპერატივის საზიდრით კი ძროხის ხორცს ჩაატარებდნენ. პიოტრ ევსეევიჩი თითქოს დანაღვლიანებული იჯდა, თუმცაღა, სახელმწიფოს მყუდროებითა და მშრომელ ადამიანთა თვალყურის დევნებით ტკბებოდა. აგერ, სამომხმარებლო ფურნისკენ გაემართა თვინიერი, სიტყვაძვირი ბერიკაცი ტერმორეზოვი, საუზმისთვის ფუნთუშას ყოველდღე რომ ყიდულობდა, მერე კი სამუშაოდ სამრეწველო კოოპერატივის ფარდულში მიდიოდა, სადაც ქერელისგან თოკებს ამზადებდნენ გლეხობის საჭიროებისთვის.

ფეხშიშველ გოგონას თოკჩაბმული თხა ეზოებს გადაღმა საძოვრისკენ მიჰყავდა. წვერცანცარა, ყვითელთვალება თხას თავ-პირი ეშმაკს მიუგავდა, მაგრამ ნებას აძლევდნენ, რომ საძოვარზე ებალახა. მაშ ისიც პატივდებული გახლდათ.

„თხამაც უნდა იარსებოს, — ფიქრობდა პიოტრ ევსეევიჩი, — ვითომ პატარა მოზვერი ყოფილა“.

ბინის კარი ნაცნობმა კოზმელმა გლეხმა ლეონიდმა შემოაღო და ოთახში შემოვიდა.

— გამარჯობა, პიოტრ ევსეევიჩ, — მიესალმა იგი მასპინძელს — რა იქნებოდა, გუშინ ჩვენთან დარჩენილიყავი, შინ რას მიგეჩქარებოდა?

პიოტრ ევსეევიჩი შეშფოთდა და გულში შიშმა გაჰკრა.

— რა იყო, რა მოხდა? ჰა? სოფელი ხომ თავის რიგზეა, ხომ არაფერი დაშავებია? დავინახე, ერთმა გლახაკმა ნამწვი რომ გადააგდო. სოფლის ქონება ხომ არ გადაუწვია?

— ნამწვისგან სოფელს არაფერი დაჰკლებია... ხოლო შენ წახვედი თუ არა, სოფელში მეორე მხრიდან ორი საზიდარი შემოვიდა. საზიდრებს უკან ეტლი მოჰყვებოდა, რაშიაც ბერიკაცი იჯდა. ბერიკაცმა გვითხრა: „მოქალაქენო, მინის სიღრმიდან ამოყვანილი წყალი არ გინდათო?“ ჩვენ ვუპასუხეთ: „გვინდა, მაგრამ ვერ ამოგვიყვანია, ძალა არ გვყოფნისო“. ბერიკაცმა კი გამოგვიცხადა: „კარგი, მე სახელმწიფოს გამოგზავნილი პროფესორი ვარ და უღრმესი ფენიდან წყალს ამოგიყვანთო“. ღამე ჩვენთან გაათია, დილას გაემგზავრა და ორი ტექნიკოსი დაგვიტოვა. მათ ინსტრუმენტებით ნიადაგის ჩხრეკა უკვე დაიწყეს. პიოტრ ევსეევიჩ, დარწმუნებული იყავი, რომ სასმელი წყალი გვექნება. ამის გამო ქოთნით რძე მოგიტანე: შენ რომ არ გვყოლოდი, ან ფუჭად უნდა გვეთხარა, ან მწყურვალენი ვმსხდარიყავით. ხოლო შენ მოდიოდი და გვეუბნებოდი: სახელმწიფოს მოუცადეთ, მას ყველაფერი წინასწარ აქვს დასახულიო. ჰოდა, შენი ნათქვამი აგვიხდა კიდევაც. ამის გამო, პიოტრ ევსეევიჩ, ჩვენი რძე მიირთვი...

პიოტრ ევსეევიჩი განბილებული იჯდა, რადგან მის თვალს სახელმწიფოს ფიცხელი ქმედება კვლავ გამოეპარა.

— ხედავ, — უთხრა მან ლეონიდს, — ის გამოგვეცხადა და წავიდა. ხრიოკი ადგილიდან წყალს ამოგიყვანთ. აი, იმას რა შეუძლია!

— ის ვინ არის? — მოკრძალებით ჰკითხა ლეონიდმა.

— ის! — განყენებულად თქვა პიოტრ ევსეევიჩმა. — თავადაც არ ვიცი, ვინ, მაგრამ გულში ვაღმერთებ, რადგან მე და შენ მხოლოდ მოსახლეობა ვართ. ლეონიდ, მე ახლა ყველაფერს ვხედავ და იმედიანად გავყუჩდები. არა უშავს, ჩიტებმა ფეტვი კენკონ, კოოპერატივის ყარაულები რადიოს შესცქეროდნენ, თაგვები კი კოოპერატივის ქონებას ხრავდნენ, — სახელმწიფო იმათაც უეცრად მიეჭრება, ჩვენ კი უნდა მოთმინებით ვიცხოვროთ.

— მართალს ამბობ, პიოტრ ევსეევიჩ, სასიკეთო რამ ყოველთვის წამოგეწევა; თუ თავად არაფერს გაეკარები.

— ნამდვილად, ლეონიდ! — დაეთანხმა პიოტრ ევსეევიჩი — სახელმწიფო თუ არ იქნებოდა, ძროხის რძესაც ველარ დალევდი.

— რძე როგორღა გაქრებოდა? — შეშფოთდა ლეონიდი.

— ნიადაგი, ლეონიდ, მთავარი ნიადაგია. ნიადაგი ხომ სახელმწიფო ტერიტორიაა. ჰოდა, მაშინ არც ტერიტორია იქნებოდა! ბალახი სადღა ამოვიდოდა? არარსებულ ალაგას ბალახი არ ამოვა. ბალახს ტერიტორია და მიწათმოწყობა ესაჭიროება. აფრიკის საჰარაში სახელმწიფო არ არის, არც ყინულოვან ოკეანეშია სახელმწიფო. ამიტომაც იქ არაფერი ხარობს. ქვიშა, სიცხე და უსიცოცხლო ყინულია!

— შემირცხვენია ასეთი ადგილები! — მტკიცედ თქვა ლეონიდმა და უმალ გაჩუმდა, მერე კი ჩვეულებრივი ადამიანური ხმით დაუმატა: — პიოტრ ევსეევიჩ, გვეწვიე ხოლმე, ძალიან გვაკლიხარ.

— მკაცრი მოქალაქეები თუ იქნებით, მაშინ ყველაფერს იმყოფინებთ, — უთხრა პიოტრ ევ-

სეევიჩმა.

ლეონიდს გაახსენდა, რომ კოზმაში წყალი ჯერ არ ჰქონდათ და პიოტრ ევსეევიჩის ვედროს დაეწაფა, რათა კუჭში მარაგი ჰქონოდა.

გლეხის წასვლის მერე პიოტრ ევსეევიჩმა ნაჩუქარი რძე მოსვა და ქალაქის ჩამოსავლელად გასწია. გზადაგზა სახლების აგურებსა და მესრებს ხელებს უთათუნებდა, ხოლო რასაც ვერ მისწვდებოდა, მადლიერებით ჭვრეტდა. ამ აგურებისა და მესრების მკეთებელნი, შესაძლოა, კიდევაც დაიხოცნენ სიბერისგან და ჯაფით გამოფიტვისგან, მაგრამ მათი სხეულების სანაცვლოდ აგურები და ფიცრები დარჩა — ის საგნები, რომელთა ჯამი სახელმწიფოს აღნაგობას შეადგენს. პოიტრ ევსეევიჩმა თავისდა სასიხარულოდ, დიდი ხანია, აღმოაჩინა, რომ სახელმწიფო სასარგებლო რამ არის როგორც დახოცილთათვის, ასევე ცოცხალთათვის, გარდასული და ამჟამად მყოფი მშრომელი მოსახლეობისთვის. სახელმწიფოს წარმოუქმნელად მოსახლეობა უმიზნოდ ამოწყდებოდა.

გზის გასრულებისას პიოტრ ევსეევიჩი ვაგზალში თავისდაუნებურად შევიდა, — იგი მაინცდამაინც არ ენდობოდა რკინიგზას, საიდანაც ორთქლმავალთა საგანგაშო შეკივლება მოისმოდა. ახლაც შესვლისთანავე აღშფოთდა. მესამე კლასის დარბაზში ერთი ბიჭი ზაფხულის პაპანაქებაში ღუმელს სახაზინო ძელებით აგუგუნებდა.

— შე უკეთურო, საწვავს ფუჭად რატომ ანადგურებ? — ჰკითხა ბიჭს პიოტრ ევსეევიჩმა.

ბიჭს არ სწყენია, რადგან თავის ყოფას შეგუებული გახლდათ.

— დამავალეს, — უპასუხა ბიჭმა. — ამის სანაცვლოდ სადგურში ღამეს მათევინებენ.

პიოტრ ევსეევიჩი ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა, ზაფხულში ღუმლის გახურება რა საჭირო იყო. გაუგებრობის გაქარწყლებაში თვითონ ბიჭი დაეხმარა. სადგურში დამპალი შპალები ხვავებად იდგა და გაზიდვა რომ არ დასჭირვებოდათ, ნაბრძანები ჰქონდათ, შენობათა შიგნით, ღუმლებში დაეწვათ, დაგროვილი სითბო კი გაღებული კარიდან გაენიავებინათ.

— ძია, ორი კაპიკი მომეცი! — სთხოვა ბიჭმა პიოტრ ევსეევიჩს, მოყოლა როცა დაამთავრა.

დარცხვენით კი სთხოვა, მაგრამ მის მიმართ პატივისცემა არ გამოუხატავს. ხოლო პიორტ ევსეევიჩს საფიქრალად ახლა ეს ორი კაპიკი კი არ ჰქონდა, იმის გარკვევა უნდოდა, ამ ბიჭს სახელმწიფოში რა ადგილი ეკავა. სახელმწიფოს იგი სჭირდებოდა თუ არა? ამაზე ფიქრმა გულ-გონება აუფორიაქა. ბიჭმა უხალისოდ უამბო, რომ სოფელში დედა და გასათხოვარი დები ჰყავდა. ყველგან მხოლოდ კარტოფილით საზრდოობდნენ. დედამ ბიჭს უთხრა: „საითმე წადი, იქნებ სადმე თავის სარჩენი მონახო. ჩვენთან ერთად რატომ უნდა იტანჯო — მე ხომ მიყვარხარო“. შვილს საგზლად კარდაკარ ჩამოთხოვილი პურის ნატეხები გაატანა. ბიჭმა პურის ნატეხებიანი აბგა წამოიკიდა, რკინიგზის ასაქცევზე გავიდა და ცარიელ ვაგონში ჩაჯდა. მას მერე სულ გზას ადგია: იყო ლენინგრადში, ტვერში, მოსკოვში, ტორჟკაში, ახლა კი აქ არის. სამუშაო არსად მიუციათ. ეუბნებოდნენ, მუშაობისთვის ძალ-ღონე არ გეყოფა, ობლები კი შენს გარდა ისედაც ბევრნი გვყვანანო.

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა პიოტრ ევსეევიჩმა. — როგორმე უნდა იარსებო და ელოდო, სახელმწიფო როდის მოგხედავს.

— ვერ დაველოდები, უპასუხა ბიჭმა. — მალე დაზამთრდება და მეშინია, არ მოვკვდე. ხალხი ზაფხულშიც კი იხოცება. ლიხოსლავლში ვნახე, ერთი კაცი ნაგვის ყუთში დასაძინებლად ჩაწვა და იქ მოკვდა.

— დედასთან წასვლა არ გინდა?

— არა. იქ საჭმელი ცოტაა, დები კი ბევრნი არიან. ყველა პირნაყვავილარია და ცოლად არავინ თხოულობს.

— ყვავილის აცრა დროულად რატომ არ ჩაიტარეს? ფერშლები ხომ სახაზინო ხარჯზე უცრიან?

— არ ვიცი, — გულგრილად თქვა ბიჭმა.

— არ იცი, ხომ, — უთხრა გულმოსულმა პიოტრ ევსეევიჩმა, — კაცმა შენზე როგორ უნდა იზრუნოს! ყველაფერში დამნაშავე შენი ოჯახია: სახელმწიფო ხომ ყვავილის აცრას უფასოდ ატარებს. შენი დები დროულად რომ აცრილიყვნენ, დიდი ხნის წინვე გათხოვილები იქნებოდნენ და სახლში ადგილი მოგეძებნებოდა! სახელმწიფოებრივი ცხოვრება რაკიღა არ გინდათ, რკინიგზებზე წანწალი მოგიწევთ. ყველაფერში დამნაშავენი თავად ხართ, წადი დედაშენთან და ეს მოახსენე. ამის მერე ორი კაპიკი როგორ მოგცე? არაფერსაც არ მოგცემ. მოქალაქევ, ყვავილის აცრა დროულად უნდა ჩაიტაროთ, რომ მერე გზებზე არ ინანწალოთ და მატარებლებით მუქთად არ იმგზავროთ!

ბიჭი ხმას არ იღებდა. პიოტრ ევსეევიჩი მას გაშორდა, დამნაშავე აღარ ებრალებოდა.

შინდაბრუნებულს უწყება დახვდა: ხვალ შრომის ბირჟაზე უნდა მისულიყო მორიგი ხელახალი რეგისტრაციისთვის. იქ ვაჭრობის მოსამსახურეთა კავშირის სიით უმუშევრად იყო აღრიცხული. პოიტრ ევსეევიჩს შრომის ბირჟაზე გამოცხადება უყვარდა, რადგან თავი ამ სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურედ მიაჩნდა.

თარგმნა **გივი კიკილაშვილმა**


სოსო პაიჭაძე

ნინო ქუთათელაძე

გრძნეული წვიმისქვეშეთი

ღმერთო, შენ დაიფარე ცოდვილი
საქართველო!

ს.პაიჭაძე

როგორც დიადი იდეიდან, ანუ უფლის მიერ შეიქმნა კაცობრიობა, როგორც დედის საშოდან იბადება სიცოცხლე, ისე აზრთა წიაღიდან იბადება პიროვნება. უცნაურია, მაგრამ, როცა ადამიანზე ამბობენ, პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდაო, მეცინება, რადგან გუმანით ვხვდები, რომ მას ყველაფერი წინ აქვს, რომ ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში გარდამავალი წამი ნებისმიერს, ცეტს და უსუსურსაც კი, პიროვნებად აქცევს. ოღონდ ეგ არის, ყველას არ ძალუძს აზრთა გამომზეურება, არც პიროვნებად ქცევამდე და არც — მერე... რა გუყოთ!.. ზოგი აზრს სულში იგუბებს, ზოგს აზრი მორევივით ჩაიხვევს, ზოგი კი — მზესავით სხივებად ამოტყორცნის. მე ასე ვხედავ, სოსო პაიჭაძეს დედის საშოდან დაჰყვა აზრის კორიანტელი და მისთვის რომ გეკითხათ, იმ პირველ დღეებსაც გაიხსენებდა, რომელიც არავის არ ახსოვს ამქვეყნად. (რა თქმა უნდა, გალაკტიონს არ ვგულისხმობ, რომელსაც რუსთაველიც კი ახსოვდა ბავშვი).

ცხოვრების შთაბეჭდილებები თუ შთაბეჭდილებები ცხოვრებაზე, მწერალმა რომ გაიარა — აი, რა არის მთელი მისი შემოქმედება. დიახ, სოსო პაიჭაძე იმპრესიონისტია, თუმცა არა ტრადიციული გაგებით. მისი შემოქმედება სიტყვებთან და სიტყვებს შორის პაუზებთან კი არ ასოცირდება, არამედ წინადადებებთან, ხშირად უსაშველოდ დიდ წინადადებებთან, რომელიც მთელ გვერდებს მოიცავს და მაინც იმდენ საფიქრალს გიტოვებს, ტკივილად რომ ედება მთელ არსებას. სოსო პაიჭაძის შემოქმედების ენა პროფესიული ენაა, ხელოვანთა ენაა. აქედან გამომდინარე, ის ელიტარული მწერალია (აქ კულტურულ ელიტაზეა საუბარი).

პირველი ნაწარმოები, რომელსაც მე გავეცანი, „ბაქანი ბოტანიკური ბაღი“ იყო. ეს გახლავთ მოთხრობა პირველ სიყვარულზე, იმ გაუცნობიერებელ ჟინზე, სითბოსა და ვნებაზე, იმ უხილავ ნართზე, თორმეტი წლის ბიჭსა და ოდნავ უფროს გოგოს შორის რომ შეიძლება გაიბას... და ოცი წლის შემდეგ ხელახალ შეხვედრაზე. ეს ოცი წელი უცებ შეიკუმშა, უცებ აზრი დაკარგაო, — გვეუბნება მწერალი. ამბავი ბავშვობის სურათების მძაფრი განცდით არის აღბეჭდილი: „ამ სითეთრეში, ამ სისუფთავეშია მოქცეული კობასათვის (ასე ჰქვია მთავარ პერსონაჟს) რაღაც მაგიური განცდა ზღვისპირა ქალაქისა, მისი მიუწვდომელი სიწმინდე და იდუმალება... და უცებ კობას ეჯახება რბილი, საამური სიმძიმე და შეაქვს მასში თავისი გაფიცხებული სხეული, როგორც ყუათიანი სურნელით გაჟღენთილ თივის ზვინში...“ ეს ორი ადამიანი, კაცი და ქალი, ოცი წლის შემდეგაც ძლივს უტყდება ერთმანეთს, რომ მათ ახსოვთ წარსული, მოულოდნელად, ბედისწერასავით ხელახლა შეფეთებული ცხოვრების გზაზე. ორივეს თავში ტრიალებს კითხვა: „რატომ ჩამოვიდა?“ „რატომ ჩამოვედი?“ და მაინც რატომ შედგა ეს პაემანი, როცა არცერთს არ სურდა წარსული სიწმინდის შებღალვა? მერე ისინი წვანან ღამის ბინდში უკაცრიელ პლაჟზე და მათ შორის ხანჯალივით დევს წარსულის პირველყოფილი მშვენიერება.

კარგა ხნის შემდეგ მამაკაცების საუბარს შევესწარი, რამდენიმე ერთად უტევდა სოსოს, დამაჯერებელი არ არის — ასე ერთად, ასეთი სიყვარული და მხოლოდ განშორებისთვის? მაშინ ის იცინოდა და სარკეესავით ირეკლავდა რეალობის ტყვეობაში ჩავარდნილი კაცების შემოტევას. უჩუმრად გარეთ გამოვედი და ვფიქრობდი: განა ყველაფერი, რაც ტიპურია, რეალურია? ახლა თქვენც გეკითხებით ამას. ეს ხომ სოსო პაიჭაძის მოთხრობა იყო, მას კი არ შეეძლო არც ბავშვობის შებღალვა, არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერი სიწმინდის, სპეტაკი სიყვარულის უარყოფა.

მისი მოთხრობების სიუჟეტი სულ ზღვისპირა ქალაქში ვითარდება. ის ბათუმში დაიბადა და გაიზარდა, შემდეგ კი წელიწადში ერთხელ თუ მოახერხებდა დედის ნახვას. გამუდმებით თბილისში ტრიალებდა. მართალი გითხრათ, ბევრსაც არ წერდა... მხოლოდ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ამოიზრდებოდა ხოლმე ცხოვრებისეული უაზრო ჭაობიდან აზრისა და ტკივილის ყვავილი.

ყოფის თავბრუდამხვევი ორომტრიალიდან თავდაღწევის ერთადერთი საშუალება სოსოსთვის თევზაობა იყო. არაერთხელ დამინახავს ავტობუსის ფანჯრიდან ორი გამხდარი სილუეტი, მტკვარში ანკესები რომ ჩაეშვათ და გაყუჩებულიყვნენ: სოსო პაიჭაძე და გიორგი ბაქანიძე. ზამთარ-ზაფხულ, როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდნენ, მცხეთაში მიდიოდნენ. იქ, ძველი ქალაქის მთრთოლავი სუნთქვით გარემოცულნი, ანკესებს ფიქრსაც მიაყოლებდნენ და ტალღებზე თევზივით ასხმარტალდებოდა თავისუფლების სიხარული. რატომ მაინც და მაინც მცხეთაში? — ვკითხე ერთხელ. იქ მტკვარი უფრო წმიდაა, თან ორი მდინარეა... ხან ზევით ავუყვებით, ხან ქვევით მივდივართ... — მიპასუხა დამაჯერებლად. თევზი იქ უფრო მოდის-მეთქი? — ჩავეკითხე. ხან მოდის, ხან არაო... სამაგიეროდ, თევზაობისას ფიქრი იოლია... — მითხრა და თავის ოთახში შევიდა, ალბათ, კიდევ არაფერი მკითხოსო.

როცა მისი მოთხრობები, — „მეთევზე“ და „თბილი, გრძნეული წვიმა“ წავიკითხე, ეჭვიც არ შემპარვია, რომ ის სამყარო, რომელზეც წერდა, ყველაზე ახლობელი იყო მისთვის. მწერალმა ხომ ის საქმე, რაზეც წერს, აუცილებლად საუკეთესოდ უნდა იცოდეს. მან კი ყველაზე უკეთ იცოდა მეთევზის ფსიქოლოგია, საიდან მოედინებოდა მისი ფიქრი და სად მიედინებოდა, როგორ ჩნდებოდა დაუოკებელი ჟინი გამარჯვებისა, სტიქიის უსაშველო სიყვარულს რომ მოითხოვს შენგან.

სტიქიის სიყვარული-მეთქი... ეს სიყვარული კი ისევე წამლეკავი და გამანადგურებელია, როგორც თვითონ სტიქია. მოთხრობაში „თბილი, გრძნეული წვიმა“ პერსონაჟებს სახელები არ აქვთ, უბრალოდ, სამნი არიან, ტრადიციული სამკუთხედის მსგავსად: ქალი, კაცი და მოხუცი... ჰო, კიდევ თევზი, რომელიც სტიქიაში, თავისუფლებაში დასაბრუნებლად იბრძვის. თევზი და ქალი — ამ მოთხრობის ორი სტიქიაა. დიახ, ქალიც იბრძვის სტიქიაში დასაბრუნებლად და უბრუნდება კიდეც ქალურ სტიქიას. ზოგს შეიძლება ამ მოთხრობამ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“ მოაგონოს, მაგრამ ეს რადიკალურად სხვა რამეა! „ქონით გალოპრილი, თევზის წვენითა და ქერცლით გაზინტლული კაბა“ ეცვა ქალს, „მზით გარუჯული, გამოქარული სახე“ ჰქონდა, „ნაღვლიანი თვალები, ლოთობისა თუ რაღაც სენისაგან შეშუპებული უპეები უფრო ასაკოვანს აჩენდა, ვიდრე იყო“. თევზიც მას ჰგავდა. — „ხავსიანი ჯილეების საყდრულ მყუდროებაში ცხოვრობდა ვეებერთელა ოქროს თევზი, რომელსაც ჯავშნადაქცეულ ქერცლსა და გარკინებულ ფარფლებში ბალახები ამოსვლოდა და ჩარკინული იარებით დაკორძილი სხეული წვრილ-წვრილი ნიჟარებით მოკენჭვოდა“. თვითონ ქალიც კითხულობს: „მე მგავს?! თვითონაც კოკისპირულ წვიმაში ეგდო თევზივით, გამწარებული ფართხალებდა, წვალობდა... მოხუცს უვლიდა, თევზის გაყიდვაშიც ეხმარებოდა და სხეულსაც ყიდდა, თუმცა იმ კაცს, რომელიც მის გამო იყო სათევზაოდ წამოსული, უსასყიდლოდ დანებდა. მოხუცი პირშიც ეუბნებოდა ქალს: „ნაღდი ძუკნა ხარ!“ ლანძღავს, აგინებს მას და თან შიში ჰკლავს, არ მიატოვოს ხეიბრის ეტლს მიჯაჭვული და უსუსური. კაცები, ჩვეულებისამებრ, ეხმარებიან ერთმანეთს. ახალგაზრდა ცდილობს, მღვრიე ტალღებს გამოსტაცოს ეტლიანად წყალში გადაძალული მოხუცი. ის კი მაინც არ უშვებს ხელიდან ანკესს. ამაშიც ეხმარება ახალგაზრდა, ბადესაც მიაშველებს, მაგრამ... თევზი ბადეს გახევს, ქალიც გაწყვეტს ჯაჭვს და მერე ორივე თავისუფალია... მამაკაცები კი თავის ვნებასა და სიჯიუტეში რჩებიან, სააქაოს მიბმულნი და უსასონი.

„მეთევზეში“ კი მხოლოდ მოთხრობის ბოლოს გამოჩნდება მეთევზე. ის არის ერთგვარი დასასრული იმ ყოფის, რომელშიც ორი შვილმკვდარი ადამიანი ჩავარდნილა. მეთევზე თითქოს უხეშია, თავისი საქმით გატაცებული, თავის თავში ჩაძირული და მაინც ნათელი. ქალი შვილივით უღიმის მას, მაგრამ სიბნელე ფარავს მის ღიმილს, თუმცა ღიმილი მაინც შვებაა, ამ უთავბოლო დარდის მარწუხებიდან თავდასახსნელი. მეთევზეც ხომ წყლის სტიქიას ებრძვის, ისევე, როგორც ეს ორი დროული ადამიანი — დარდს.

...და კიდევ ორ სევდიან მოთხრობას მინდა შევეხო — „უკანასკნელ დუბლსა“ და „იროდიონს“. სევდიანი-მეთქი იმიტომ არ ვამბობ, რომ ორივე ნაწარმოები სიკვდილით მთავრდება. სიკვდილი ხომ ჩვეულებრივი რამ არის და მართლმადიდებლური რელიგიის თანახმად, მარადიული სიცოცხლის დასაწყისიც. ორივე მოთხრობაში მთავარი საკუთარ თავთან, ან უფრო სწორად, ვითომ კეთილგანწყობილ გარემოსთან, ჭიდილია. „იროდიონში“ მწერალი ამბობს კიდეც: „ყველა სიკეთეს პატივმოყვარეობის საცობი ახურავს“, მაგრამ ეს ტირდა კი არ არის, უფრო კითხვაა, როგორ გავარჩიოთ გულწრფელი, უანგარო სიკეთე ანგარებიანისაგან. თუმცა აქვე უნდა ითქვას, ოღონდ ვინმემ სიკეთე აკეთოს და აქვს კი დღევანდელობაში მნიშვნელობა, პატივმოყვარეობის გამო სჩადის

ამას, თუ ისე, უანგაროდ?!.

„უკანასკნელი დუბლის“ მთავარი პერსონაჟი, ანგია, ერთადერთი კაცია, ვინც ერთ-ერთ საავტომობილო კატასტროფას გადაურჩა, მაგრამ რა გადარჩენაა, თუკი ავადმყოფი ცნობიერება ათასგვარ სურათს ამოგიტივტივებს და ყველა რაკურსიდან დაგანახვებს საკუთარ განცდებსა და შეცდომებს. ის თავისი ცხოვრების სწორედ იმ ეპიზოდებს იხსენებს, როცა დაარღვია თავისივე დადგენილი ჩარჩოები, უარყო დოგმები და სიგიჟის ზღვარზე უთქმელობის აღთქმა დადო. ავტორი გვეუბნება, რომ ანგია პროფესიით მსახიობია, მაგრამ არის კი მსახიობი? ნაწარმოებში ის შიშველია, უნიღბო, არაფერს არ თამაშობს — შვილი ეზრდება, ქალდება და განიცდის, ცოლი უკვდება და განიცდის, საკუთარ ამბოხებასაც განიცდის, მაგრამ რეჟისორს მაინც თანხმდება გადაღებაზე, ცდილობს, შეასრულოს მისი მითითებები, მაგრამ... არ გამოსდის? არა, უფრო არ უნდა, ვინმეს დაემორჩილოს! მან დიდი ხანია მიატოვა მორჩილების მარწუხები და გულით სურს, დაუბრუნდეს შეჩვეულს, მაგრამ... დასაბრუნებელ გზას ვეღარ პოულობს და ეწირება ამ ჭიდილს.

წერილის დასაწყისში აღვნიშნე, ლიტერატურაში იმპრესიონიზმის მთავარი იარაღი სიტყვაა-მეთქი. „უკანასკნელ დუბლშიც“ აჟღერდა ის ერთადერთი სიტყვა, რომელმაც მკითხველი ნაწარმოებში ჩართულობის მორევიდან უნდა გამოიყვანოს და დააფიქროს. ეს სიტყვა გახლავთ — „მასა“. ანგია-ინდივიდი მასაში მოექცა, ჩვეულებრივი გახდა, მათნაირი. იქნებ ეს სიტყვა იყო მისთვის ყველაფრის დასასრული? მაგრამ იმპრესიონისტი რისი იმპრესიონისტია, თუ სიტყვას დუმილიც არ მოაყოლა?!.

„ეროდიონშიც“ უდიდესი პრობლემა დგას — სიკეთის პრობლემა. ღირს კი სიკეთის კეთება, თუ არ დაგინახავენ? — თან მაშინ, როცა სიკეთის, თუ პატიოსნების გამო საკუთარ ბედნიერებაზეც კი ხელს იღებ და მხოლოდ კეთილშობილებას იტოვებ ნუგეშად?.. ღირს! — თავისი საქციელით და არა სიტყვებით გვეუბნება ეროდიონი.

და ყველაფერი ერთი შემთხვევის გამო ხდება... როცა მას დაამუნათებენ, საყვედურობენ: სად ეგდე, სად იყავი, მე რომ მჭირდებოდიო და სილასაც გააწნავენ. იმასაც ეტყვიან, ის ქალი შენ მოჰკალიო, იმ ქალზე ეტყვიან, რომელიც მთელი სიცოცხლე უყვარდა, მაგრამ მათ შორის მუდამ ბონდო იდგა, იმ ქალის ქმარი. ეროდიონი ექიმი იყო, სოფლის უბრალო ექიმი, სიმარტოვით დაღდასმული, ათასგვარუბედურებაგამოვლილი და მაინც სიკეთით აღმატებული სხვებზე. აქ საინტერესოა დეპრესიაში ჩავარდნილი კაცის უცნაური განდობა: „არავის არ უნდა შენი კაიკაცობა, შენი სიყვარული! არავინ დაგიჯერებს, რომ შენი სიკეთის უკან რაღაც არ იმალება! არავინ არ ირწმუნებს, რომ მარტო სიყვარული გამოძრავებს და სხვა არაფერი! ერთ შეცდომასაც არ გაპატიებენ, ყველაფერს წყალში ჩაგიყრიან, მთელი ცხოვრება ერბოკვერცხი რომ უწვა უტაფო ხელისგულზე, ერთ წამში დაგივინყებენ... რატომ უმალავდნენ ამ ღვარძლსა და სიძულვილს?“ ვინ იცის?! და ამას მწერალმა პასუხი თვითონ გასცა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, უზარმაზარ წინადადებაში მოყოლილი ფრაზით: „თბილად, მიწიერი სევდით სუნთქავდა ადამიანის ნაკვალევში ჩამდგარი მღვრიე წყალი“.

საოცრად ექსპრესიულია მოთხრობის ფინალიც, მაგრამ ამაზე სხვა დროს... ახლა კი იმ რომანს მინდა შევეხო, რომელმაც ლიტერატურულ წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. „სადაით დაეცი“ სოსო პაიჭაძის ბოლო ნაწარმოები გახლავთ. ეს არის დაფლეთილი ნერვების სამყარო, ტრაგიკული, როგორც ჩვენი სამშობლო და ჩვენი არსებობა; ეს არის ცნობიერების ნაკადი, ლიტერატურული ტერმინი რომ ვიხმაროთ, რომელსაც აღარ უნდა, იყოს ნაკადი, სურს მდინარესავით მოსკდეს და გაარღვიოს დაუნდობლობის, გულგრილობისა და ბედისწერის ჯებირი. აქ გულის გამაწვრილებლად, ჟანგიანი ზარივით ჟღრიალებს ყველა ინტელიგენტისთვის საძულველი სიტყვა — რევოლუცია, რომელსაც ისე, ოდნავი ელფერისთვის იყენებს მწერალი. მოთხრობის მთავარ გმირ ქალს, მართას, პირდაპირი გაგებით, გადაუვლის მთელი ხროვა: რევოლუციონერი, თეთრგვარდიელი, წითელარმიელი, არისტოკრატი და სიყვარულიც, რომელიც ისევე გათელავს ფეხქვეშ, როგორც ნებისმიერი, „იქითა სიზმარში“ რომ დარჩა. ყველაზე საშინელი მაინც ისაა, რომ დაუნდობლობაც გამოიღებს თავის ნაყოფს და ეს სიბინძურეში ამოზრდილი ნაყოფი, მართას შვილი, ვიქტორია. ის ისეთივე ბინძური და აუტანელია, როგორც ამ ქალის გვერდით ჭაობივით დამყაყებული სამყარო, ყროლის სუნითა და უღირსებობით დაღდასმული. ვიქტორი შურისმაძიებელი კაცია. ის შურს იძიებს: დედაზე, საყვარელ ქალზე, შვილებზე, მეგობრებზე, უფრო სწორად იმათზე, ვინც მას ენდობა და ყველაზე საოცარი ისაა, რომ სამშობლოზეც...

ჰო, სამშობლო ამ ნაწარმოების ცალკე თემაა. ამ თემით სპეკულირებს ყველა ავაზაკი, რომელსაც შეუძლია სხვა, ვითომ მისნაირი პატრიოტის მიმართ დაუნდობელი იყოს... გამაოგნებელია ასევე ექვსგვერდიან აბზაცში ჩაკარგული სიტყვები: „მის გვერდით“ „სამშობლო“ იყო ატუზული...“ ვიქტორს უნდოდა ეს სიტყვა თუ ცნება თავიდან მოეშორებინა და ნადირივით თვითგადარჩენის ინსტინქტით ემოქმედა, მაგრამ აქ მთავარი მაინც ის სიტყვაა — „ატუზული“... წარმოიდგინეთ, კუთხეში დასჯილი ბავშვივით ატუზული ის, ვისაც ყველაფერი უნდა აპატიო; ის, ვისაც უნდა შეეწირო; ის, ვისაც საკუთარი შვილები უნდა ანაცვალო. მთელი უბედურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ისაა, რომ სოსო პაიჭაძის მიერ დანახული საქართველო დღესაც ყველა ქართველის კართანაა ატუზული და შველას ითხოვს, შველას ითხოვს ჩვენივე თავის გადასარჩენად.

სხვათაშორის, ამ მონაკვეთის დასაწყისში პირველად ვიხმარე სიტყვა „გმირი". იმიტომ, რომ ტკივილითა და ცხელებით გათანგულ სამყაროში გმირი იშვიათი მოვლენაა და ყოვლის მომცველი ფრაზა რომანტიკოს ბაირონს რომ წამოსცდა:, I წანტ ა ჰერო, დღესაც აქტუალურია. აქ გმირი მხოლოდ მართაა. ღვთის შენევნით, მან შესძლო ისეთი ცხოვრებით ეცხოვრა, რომელსაც ვერცერთი ვერ შევეგუებით. ყველასგან გაწირული, ის ჯერ დამუნჯდა, შვილის ამაზრზენი აღსარების შემდეგ დაბრმავდა და ის საშინელება რომ არ მოესმინა, რაზეც მის სახლში საუბრიბდნენ, დაყრუვდა კიდეც. რა არის ეს? სიგიჟე? მისტიკა? თუნდაც... ჩვენ ხომ გვჯერა უფლის სასწაულების... მასაც უფალი დაეხმარა და იხსნა მისი სული სატანჯველისაგან და სამყაროსთან მარადი გაუცხოების გზაზე შეაყენა.

მართა თითქოს საქართველოს სიმბოლური სახეა, იმ საქართველოსი, რომელსაც თითოეული ჩვენგანი მოევლინა შემაძრწუნებელი ცოდვებითა და ნახევარწმენით.

თქვენ ალბათ მკითხავთ, ნუთუ ნაწარმოებში ნათელი წერტილი არ არისო? არის! და ეს გახლავთ უჩინარი გოგონა, ვიქტორის გერი, ნინო, რომელზეც მხოლოდ ფიქრობენ და ლაპარაკობენ, თვითონ კი არ ჩანს. ის დღედაღამ სიძველეებში იქექება, არქეოლოგია... და ცდილობს, არ გაწყდეს წარსულ-მომავლის ძაფი, იმ წარსულისა, რომელიც მშვენიერი იყო და იმ მომავლისა, რომელიც უთუოდ მშვენიერი იქნება. ის ვიქტორის მსგავსთა ნაყოფი არ არის, ის წმიდა ხილია, რომელშიც მომავალი ღვივის. ამიტომაც ამბობს მისი ნახევარძმა, შეშლილი ამიკო, რომ მის მუცელში მე ვარ და არასოდეს არ გამაჩენსო... ეს უკვე მწერლის ეჭვია, მოევლინება კი ამ ქვეყანას ღირსეული და ნათელი მომავალი, მაგრამ განუსჯელნი არიან საქმენი უფლისანი. ამ კითხვაზე, პირადად, მე პასუხი უკვე გავეცი.

ახლა მინდა რომანის იმ მშვენიერ (რა თქმა უნდა, მხატვრულობის და დინამიკის თვალსაზრისით) ეპიზოდს შევეხო, როცა ღვთის სახლი ინგრევა, რადგან მის კედლებს შეფარებული ღვთის შვილი, უმწეო გოგონა, კიდევ ერთხელ შეურაცხყვეს. ავტორი გაკვრით აღნიშნავს, რომ ტაძარი აფეთქდა, მაგრამ არა, ის, როგორც რწმენის სიმბოლო, რევოლუციის ჯოჯოხეთში დაიქცა. რაღაა რწმენისა და სამშობლოს გარეშე ადამიანი? — ძალადობის ნაყოფი, მოძალადე ვიქტორი. აი, სწორედ ამის შედეგია ის დღეები, მიტინგები, მოთხოვნები, სიკვდილი და ოხრობა, რომლის ფონზეც ვითარდება მართას ცხოვრების ამბავი.

ფონი, ანუ კონტექსტი, რომელშიც უნდა ჩაეწეროს, თუ ჩაიხატოს ესა თუ ის პერსონაჟი, დიდად მნიშვნელოვანია სოსო პაიჭაძისთვის. ეს ფონი ყოველთვის ფერწერულია, მრავლისმეტყველი, მაგრამ მინიშნებით მოწვდილი; ის მწერლის განწყობასაც გამოხატავს. აი, რა ფერებით იწყებს ის მართას სახის ხატვას: „ჩამავალი მზის სხივებში მეწამულად ანთია ბროწეულის ტყეში შეყუჟული ოდასახლების კრიალა კრამიტები, როგორც კივილი, როგორც დროშა".

საგანგებოდ მინდა შევეხო სოსო პაიჭაძის პროზის რიტმს, ზუსტად, შინაგანი მელოდიის შესაბამისად მოხმობილ განსაზღვრებებს, სუნთქვასავით მოკლე და ველივით გაშლილ ზმნებს, რომლებიც თხრობის გარეშეც ბევრ რამეზე მიგვანიშნებს. აი, მაგალითად, ზემოთ მოხმობილ ციტატაში რაში სჭირდებოდა მწერალს განსაზღვრება „კრიალა", მაგრამ რიტმმა მოითხოვა ზუსტად სამმარცვლიანი სიტყვა, ზუსტად სიწმინდისა და სისუფთავის მიმანიშნებელი. ეს მწერლის უტყუარი ალღოა, ამ ალღოს გარეშე მწერლობა არც არსებობს.

დღეს თუ ვინმეს ჰგონია, რომ ის პოსტმოდერნი, რომელსაც ასე შეჰფოფინებენ თანამედროვენი, ცარიელ ადგილზე, მოულოდნელად გაჩნდა, ძალიან ცდება. თანამედროვე პროზა სწორედ იმ თაობამ მოიტანა, რომლის მბრწყინავ მარგალიტად ალბათ სოსო პაიჭაძის შემოქმედებაც უნდა მივიჩნიოთ. ისიც სათქმელია, რომ ამ თაობის წარმომადგენელთა უმეტესობამ 50 წელს ძლივს მიაღწია, უკეთეს შემთხვევაში, ცოტათი გადააბიჯა ამ ასაკს. პროზაიკოსისთვის კი ეს ის ასაკია, როცა უკვე დაგროვილია დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და იხსნება უკიდეგანო სივრცეები.

ამ წერილში მე მხოლოდ სოსო პაიჭაძის შემოქმედებას შევეხე. ცალკე საუბრის თემაა ჩემი დამოკიდებულება ამ დიდი მწერლისადმი, როგორც პიროვნებისადმი. იმედია, ამას სხვა დროს და სხვა წერილში მოვახერხებ.

ღმერთო, შემაძლებინე იმ ადამიანების წინაშე ვალის მოხდა, ვინც ქართულ მწერლობას ქმნიდა და მის მსახურებას მსხვერპლად შეეწირა!

ელისაბედ ერისთავი

მაია ლორთკიპანიძე

ელისაბედ ერისთავის ერთი ხელნაწერი

„ჩვენი მშვენიერი უკვდავი ბარათაშვილი“

ყოველი ადამიანი თავისი ქვეყნისა და ეპოქის ღვიძლი შვილია. მისი მემუარული ჩანაწერები, დღიურები, მოგონებანი, მისი თვალით დანახული სინამდვილე მრავალი თვალსაზრისითაა საინტერესო და ხშირად საყურადღებო მასალას იძლევა ქვეყნის ისტორიის შესასწავლად. ამ ჩანაწერების მნიშვნელობა ერთიორად იზრდება, თუ ავტორი თავად არის ისტორიული პირი ან მისი შთამომავალი. ისტორიული სიმართლის დადგენისათვის, ცხადია, მხოლოდ მემუარულ ჩანაწერებზე დაყრდნობა არ შეიძლება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მემუარისტის ცნობებს ხშირად მოუფენიათ ნათელი მრავალი ბუნდოვანი საკითხისათვის, რა თქმა უნდა, კვლევის სხვა მეთოდებსა და წყაროების შესწავლა–შეჯერებასთან ერთად.

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია ელისაბედ ერისთავის მემუარული ჩანაწერები, რომელთაგან ერთ-ერთის პუბლიკაცია წარმოადგენს ჩვენი წერილის მიზანს.

ელისაბედ ერისთავი უმცროსი ასულია 1832 წლის შეთქმულების მეთაურის ელიზბარ შანშეს ძე ერისთავის და ქეთევან შალვას ასული ერისთავისა. იგი დაიბადა 1864 წელს. დასთან, ნინო ქობულაშვილი ერთად თანამშრომლობდა მარიამ დემურიას მიერ დაარსებულ საყმაწვილო ჟურნალ "ნაკადულში", იყო მისი თანარედაქტორი ნინო ზურაბიშვილთან ერთად. საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია. გარდაიცვალა საკმაოდ ხანდაზმული 1949 წელს.

მემუარისტის ჩანაწერები ეხება მამას, ოჯახის წევრებს, ახლობელ-მეგობრებს, ქართველ წარჩინებულ პირებს და თვალსაჩინო ადამიანებს (მანანა ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ყაფლან ორბელიანი, ლევან მელიქიშვილი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი...). მისი ფრაგმენტები მრავალჯერ გამოუყენებიათ საქართველოსა და ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართ (ი. ბალახაშვილი, მ. ბერძნიშვილი, რ. ჩხეიძე, თ. ჯოლოგუა, ნ. ხომერიკი, დ. ქორიძე, მ. ფოფხაძე, ლ.ანდღულაძე) თავიანთ ნაშრომებში. ერთობ სასარგებლო და საშურ საქმედ გვესახება მემუარების სრული სახით გამოქვეყნება და გაცნობა ქართველი საზოგადოებისათვის. ერთ-ერთი საინტერესო ხელნაწერის 13208ხ. წინამდებარე პუბლიკაცია, ვფიქრობთ, სათავეს დაუდებს ამ საქმეს.

ამ დაუთარიღებელი ხელნაწერის სათაურია **"ჩემი მოგონება. დედიჩემის ნაამბობი ბარათაშვილზე. ე.ე. ერისთავი"**. იგი წარმოადგენს ელისაბედ ერისთავის დედის, ქეთევან ერისთავის მოგონებას, ქალიშვილის მიერ ჩაწერილს. ეს სწორედ ის ქეთევანია, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი და ახლო მეგობარი, რომელსაც პოეტმა უძღვნა ლექსი "ქეთევან", - "ქეთევან ჰაეროვანი, ქეთევან ნაქები გულით, ნაქები მშვენიერებით".

მოგონება ავტორს პირობითად სამ ნაწილად გაუყვია: პირველ ნაწილში დედამისი იხსენებს ბავშვობის მხიარულ დღეებს, გატარებულს ქართლში, მეორეში აღწერილია შიდა ქართლის, ქსნის საერისთავოს ბუნება, ქსნის ერისთავთა მამულების გაყოფა-განაწილების ამბები. ხელნაწერის მესამე ნაწილი ეთმობა ქეთევანის სტუმრობას ბიძის ყაფლან ორბელიანის ოჯახში თბილისში და თბილისურ შეხვედრებს. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი სიყრმის მეგობრის ლევან მელიქიშვილის სტუმრობა ამ დროს ყაფლან ორბელიანთან, იქ გამართული საუბრები ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ქეთევან ერისთავს, ლევან მელიქიშვილსა და მაიკო ორბელიანს შორის. ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ქეთევან ერისთავის საუბრით კიდევ ერთხელ დასტურდება ბარათაშვილის ხელით გადაწერილი "ვეფხისტყაოსნის" არსებობა *(იხ. გ. აბზიანიძე, "ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი", ლიტერატურის მატიანე, 1-2, 1940, გვ.379-381; მ. ჯამბაკურ–ორბელიანი. "მოგონებანი." ლიტერატურის მატიანე, წიგნი 5, ნაკვ.1 1949, გვ. 110; ლ. ნანიტაშვილი, "ნ. ბარათაშვილის გადაწერილი "ვეფხისტყაოსანი", "ლიტერატურული საქართველო", 1966, 6)*, რომელიც მას საკუთარი ლექსების ავტოგრაფთან ერთად მეგობარი ქალისთვის უჩუქებია. "ვეფხისტყაოსნის" ეს ხელნაწერი, სამწუხაროდ, 1876 წელს ელიზბარ ერი-

ტაბულა 1. ქსნის ერისთავები



სთავის სახლში დამწვარა.

ჩვენი აზრით, პუბლიკაცია დიდად წაადგება მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიის კვლევას. ელისაბედ ერისთავის მიერ მოწოდებული ზოგიერთი ცნობა ანაქრონისტული ხასიათისაა, რაც ნიშანდობლივია მემუარული ჩანაწერებისათვის. წარმოდგენილი ხელნაწერი საჭიროებს კრიტიკულ შესწავლას და ყოველმხრივ ანალიზს, რაც მომავლისთვის გვაქვს განზრახული, ჯერჯერებით კი ვიფარგლებით ტექსტის გამოქვეყნებით და მცირე კომენტარებით.

პუბლიკაციაში დავიცავით მემუარისტის სტილი, ვაქვეყნებთ რედაქციული ჩარევის გარეშე, დავუმატეთ მხოლოდ პუნქტუაციის ნიშნები, რათა ტექსტი გასაგები გამხდარიყო. პუბლიკაციას ერთვის ელისაბედ ერისთავის ფოტო და ქსნის ერისთავთა და ორბელიანთა გენეალოგიური ხეების ის შტოები, რომლებიც ეხება ხელნაწერში ნახსენებ პირებს.

პუბლიკაციისათვის მზადდება ელისაბედ ერისთავის სხვა ხელნაწერებიც.

ჩემი მოგონება. დედიჩემის ნაამბობი ბარათაშვილზე. ეე ერისთავი

1.

ოძისი[.] ქსნის ხეობა. ზამთარია. მშვენიერი მთები თოვლით არის მოსილი[.] მზე უხვათ აფრქვევს თავის ბრწყინვალე სხივებს დათოვლილ მთებს. გაისმის მხიარული ხმა ბავშვებისა[,] რომლებიც თამაშობენ და ტაშტები ციგათ გაუხდიათ[.] შიგ სხდებიან და მთიდან სრიალებენ[.] ზოგი გუნდებს ესვრიან ერთმანეთს და სიცილით ცვივიან თოვლში[.] აქვთ ერთი სიცილი და მხიარულება. ზემოთ სასახლიდამ გამოდის დიდი გამდლის მოახლე იასამანა (ეს ჩემი გამდელია) სალომე ინაურისა. ეძახის ბავშვებს[,] დიდმა გამდელმა[,] ამოდით, ისაუზმეთო! მარამ ბავშვებს არ ესმით[.] იმასაც ითრევენ თავი თამაშობაში. ეს ბავშვები არიან შალვა1 და ბიძინა2 ქსნის ერისთავების შვილები. მერე გამოვა დიდი გამდელი მოწაისეული[.] მრისხანეთ ეძახის: ["] გეყოფათ[,] გაათავეთ მაქთენი გიჟობა, ტაშტები გაცვდა მაქთენი სრიალით, სულ დაიმტრა! ქეთევან3[,] შე გასახარელო[,] რა არის ეგ შენი ტანისამოსი[,] აბა[,] ნახე შენი პალტო, თოვლსაგან თლათ სველი[.] ხომ ავათ გახდი, შეგასახარელო, გასათხოვარი ქალი ხარ და რაღა დროა შენი აგრე ანცობა["]. "მოწყა[,] ნუ ჯავრობ მე და ჩემი ბი-

1 **შალვა** – შალვა ერისთავი, რევაზ გიორგის ძე ერისთავისა და ანასტასია ბატონიშვილის უფროსი ვაჟი (1798-1849), კოლეგიის მდივანი, შემდეგ ტიტულარული მრჩეველი. დაქორწინებული იყო ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიანზე. შალვა ერისთავი ელისაბედ ერისთავის პაპაა დედის მხრიდან. დასაფლავებულია იკორთაში (ტაბულა1, 9).

2 **ბიძინა** – ბიძინა ერისთავი, რევაზ გიორგის ძე ერისთავისა და ანასტასია ბატონიშვილის ვაჟი (1800-1876), შალვა ერისთავის ძმა. პრაპორშჩიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. ცოლად ჰყავდა თამარ იოსების ასული მელიქიშვილი (1806-1867). დასაფლავებულია იკორთაში (ტაბულა1, 16).

3 **ქეთევან** – ქეთევან ერისთავი, შალვა ერისთავისა და ეკატერინე ორბელიანის ასული (1819-1906), ელიზბარ შანშეს ძე ერისთავის მეუღლე და ელისაბედ ერისთავის დედა. ქეთევან ერისთავი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი და ახლო მეგობარი, რომელსაც პოეტმა უძღვნა ლექსი "ქეთევან" (ტაბულა1, 11), (ტაბულა 2, 12).



ძაშვილი მარიამი1 გაჯიბრებული ვიყავით[,] ვინ უფრო ბევრს და უფრო შორს ჩავსრიალდებით". "კაია[,] ამოდით[,] საუზმე მზათ არის[,] მოურავიც ჩამოვიდა მთიდან[,] მოგიტანათ თქვენი სასიამოვნო ქადები[,] ხაჭაპურები და ლუდი["]! ბავშვები დაიშლებიან და გაჰყვებიან მოწყას. ჯერ ჯერობით შალვა და ბიძინა ცხოვრობენ ერთათ. მარამ მალე აპირობენ გაყრას. მამულები გასაყოფი აქვთ და ფიქრობენ, ვინ რა არჩიოს და სად დასახლდენ. დედა[,] ბატონიშვილი ანასტასია2 სწერს პეტერბურღიდამ შვილებს[,] არა ჰქონდეთ გაყრის დროს უსიამოვნება. აგრეთვე თავის ნებიერას უფროს შვილიშვილს ქეთევანს უგზავნის პოპლინის და ბლონდის საკაბეს.

2.

გაზაფხულია. მშვენიერი ქართლის ველი ამწვანებულია[.] მინდრები, როგორც ზღვა[,] ღელამს ყვავილებით შენელებულს ნიავზე; ყანები შიგა და შიგ. ყაყაჩო და სოსანი ამკობენ ყანებს; აქა იქ ბულბული ჯერ ნელა იძახის[,] შორ გასძახის ბიჭო გოგია მოლაღური. კავკასიონის მთები[,] მუდამ მოსილი სპეტაკი თოვლით, ამაყათ დასცქერიან ქართლსა. ს. კალათში იმყოფებიან შალვა ერისთავის სახლობა[,] რომელსაც გაყრის შემდე კარალეთი ერგო და ბიძინა დასახლდა რეხაში. მარამ კარალეთშიაც ბევრი ერისთავებს ჰქონდათ წილი[.] მაგალითათ[,] შანშეს3 და თორნიკეს4. ზევით, თამარისციხეში დანგრეული სახლები იყო[,] როდესაც შალვამ გაცვალ[-]გამოცვალა სხვა მამულებში[.] იმათი ქუთნი[?] შეიძინა. თორნიკე გადასახლდა ლამისყანას და ისევ ქსანზე დასახლდა[.] დიდი კნიაზი გიორგი5 დაისაკუთრა იკოთი და ატენშიაც ორივ ძმამ შუაზე გაიყვეს. კარალეთში წისქვილთან იყო ბაღი[,] რომელშიაც იდგა ცხრა უშველებელი ჭანდრები[,] ოთხი კაცი ძლივს შემოსწვდებოდა[.] ეს იყო უმშვენიერესი ალაგი წისქვილის გვერდით[,] რომელიც შანშეს ეკუთნოდა და ჭანდრებიც იმისი ჩარგული იყო. მერე რევაზ ერისთავმა6 შეიძინა[,] რაც ახლო[-]მახლო მამულები იყო. შანშე გადასახლდა გორში[,] სახლები ქონდა[,] რომელიც ძალიან დაძველებული იყო და როდესაც მისი შვილი ელიზბარი7 დაბრუნდა თავის სასჯელიდამ[,] ააშენა მშვენიერი ევროპეულათ სასახლე[.] კარალეთი[,] ეს ისტორიული ადგილი თამარისა[,] მისი ციხე და ოთხივ კუთხივ ბურჯები. ძირს დიდი მინდრები[.] მიწებს[,] რომლებსაც ეხლაც ეძახიან ნაკარვებს და ლიახვის პირას ჭალა[,] სადაც მეფე ნადირობდა. ამ ნაკარვებთან ჯარები უდგა. სოფელსგარეთ

---

1 **მარიამ** – მარიამ (მაიკო) ერისთავი, ბიძინა ერისთავის უფროსი ასული (1822-1896), ელისაბედ ერისთავის ბიძაშვილი. 1843 წელს მისთხოვდა მარშალ ალექსანდრე დავითის ძე თარხან-მოურავს (1812-1896) (ტაბულა1, 17).

2 **ბატონიშვილი ანასტასია** – მეფე ერეკლე მეორის ასული (1763-1838), გათხოვილი იყო რევაზ ერისთავზე, გიორგი ყულარადასის შვილზე. 1825 წელს გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც სიკვდილამდე ცხოვრობდა. დასაფლავებულია იქვე, პეტერბურგის ალექსანდრეს ლავრის ეკლესიაში.

3 **შანშე** – შანშე იესეს ძე ერისთავი (1765-1831). პოდპოლკოვნიკი, 1832 წლის შეთქმულების მეთაურის ელიზბარ ერისთავის მამა. ცოლად ჰყავდა სარდალ ივანე ორბელიანის ასული ელენე (1785-1817)(ტაბულა1, 6).

4 **თორნიკე** – თორნიკე იესეს ძე ერისთავი - (1779-1860). მაიორი. გიორგი იესეს ძე ერისთავის (სენატორის) და შანშე იესეს ძე ერისთავის ძმა. ცოლად ჰყავდა მეფე ერეკლე მეორის შვილიშვილი - ქეთევან ბატონიშვილისა და ივანე მუხრანბატონის ასული ბარბარე (ტაბულა1, 10).

5 **დიდი კნიაზი გიორგი** – გიორგი იესეს ძე ერისთავი (1760-1863), შანშე და თორნიკე ერისთავების ძმა. ცნობილი გენერალი, "სენატორად" წოდებული, რუსეთის ომების აქტიური მონაწილე, გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით. თავრიზის აღების შემდეგ მისცეს სენატორობა საქართველოში ცხოვრების უფლებით, ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ასული გაიანე. დასაფლავებულია იკორთაში (ტაბულა1, 15).

6 **რევაზ ერისთავი** – იგულისხმება ან რევაზ გიორგის ძე ერისთავი (?-1813), გიორგი ყულარადასის შვილი, ანასტასია ბატონიშვილის მეუღლე, კოლეგიის მრჩეველი (ტაბულა1, 7) ან რევაზ შალვას ძე ერისთავი (1828-1899) – შალვა ერისთავისა და ეკატერინე ორბელიანის ვაჟი. (ტაბულა1, 12), (ტაბულა 2, 13).

7 **ელიზბარი** – ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი (1810-1872), გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური და აქტიური მონაწილე, ქეთევან ერისთავის მეუღლე და ელისაბედ ერისთავის მამა. შეთქმულებაში მონაწილეობისათვის 11 წლით გადასახლებული იყო ფინეთში, ჰენსინკფორსში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა გორში, ხელი მიჰყო მეწარმეობას, სოფელ ღვარებში დააარსა მინის ქარხანა (ტაბულა1, 8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაბულა 2. ორბელიანები



საყდარი[,] რომელსაც ეძახოდნენ ნაჭარმაგევი1. ესე იგი ნაჭირამაგევი. იქ ახლოს[,] ამბობენ[,] თამარის თეთრი ცხენი არისო დასაფლავებულიო. ეს მამული შალვამ შეიძინა და იქ დასახლდა. მხოლოთ შანშეს კიდევ დარჩა სოფელგარეთ დიდი ბაღი და ღიახვზე ჭალა.

3.

შემოდგომაა[.] შალვას ოჯახობა ემგზავრევა თბილისში და დიდი მზადება აქვთ: საქონელსა ჰკლამენ[,] ღორებს აკეთებენ[,] ღორის ვიჩინებს[.] ურმებს ტვირთამენ სხვადასხვა სურსათით [.] ღვინოები ტიკებით[,] ყველი და ერბო ბოჩკებით[,] იასჩიკებით ხილი და ბადაგი[,] აგრეთვე ფქვილი. ურმები უკვე რამდონიმე დღეა გასტუმრებულია და თითონაც ეტლით მიეშურებიან. ყაფლან ორბელიანი2 მოუთმენლათ მიელის თავის საყვარელ და ძვირფას დასა ეკატერინეს3 და დისწულებს. უფროსი ქალი ქეთევან და უნცროსი სოფიო4 და ერთათ ერთი ძმა რევაზ5[.] შუათანა და6 თბილისშია[.] იქ სწავლობს ინსტიტუტში. მეორე ეტლში მოსამსახურენი მისდევენ. დიდი ამბავია მთელ ორბელიანთ აულში7. ყაფლანთან შალვას სახლობა ჩამოსულაო. ყველა ნათესავებთან ჩვეულებრივ მოკითხვის კაცმა ჩამოურბინა. ბევრი სიამოვნების და ნახვის შემდეგ დაიწყეს ვიზიტები და მახლობლების პატიჟი. ერთ საღამოს ყაფლანიანთსა დიდი ლოტოობა არის[.] სასადილო ოთახში გაჭიმულია სტოლი და მთელი აულის დარბაისელი ქალები სხედან და ლოტოობა გაჩაღებულია. ყმაწვილი ქალები დიდ გასტინაში ხალიჩამოფენილში თამაშობენ და მხიარულობენ[.] ფანჯარა ღია არის. მშვენიერი მთვარიანე ღამეა[.] ქალები ძირს ხალიჩაზე სხედან[.] უცფათ ვიღაცა გადმოაგდებს ჯერ ქუდს[,] მერე ფერჩატკებს და ცხვირისსახოც და მერე, რაც მოხდება: ყველანი ნამოცვივდე-

1 **ნაჭარმაგევი** – ერთ-ერთი სამეფო რეზიდენცია შუა საუკუნეების საქართველოში, ახლანდელი გორის რაიონის სოფელ კარალეთის ადგილზე. მას უკავშირდება X-XIII საუკუნეების საქართველოს ბევრი პოლიტიკური და სამხედრო მოვლენა. შემდგომ საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური სიძლიერის დაქვეითებასთან ერთად თანდათანობით დავიწყებას მიეცა. საინტერესოა ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიის ის ვარიანტი, რომელსაც ე. ერისთავი გადმოგვცემს.

2 **ყაფლან ორბელიანი** – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი (1813-1878), ცნობილი მემამულე, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი და მეგობარი. პოდპორუჩიკი. ყაფლან ორბელიანის შესახებ იხ. გიორგი აბზიანიძის წერილი "ყაფლან ორბელიანი – ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის პერსონაჟი" "ლიტერატურის მატიანე". №1-2 1940წ. გვ. 466-473 (ტაბულა 2, 7).

3 **ეკატერინე** – ეკატერინე ასლანის ასული ორბელიანი (1802-1877), ყაფლან ორბელიანის და, თავად შალვა რევაზის ძე ერისთავის მეუღლე, ქეთევან ერისთავის დედა და ელისაბედ ერისთავის ბებია (ტაბულა 2, 8).

4 **სოფიო** – სოფიო შალვას ასული ერისთავი (1832-1887), რევაზ ერისთავისა და ეკატერინე ორბელიანის ასული, ქეთევან ერისთავის და და ელისაბედ ერისთავის დეიდა. გათხოვილი იყო ივანე დავითის ძე ორბელიანზე (1824-1893), მანანა ორბელიანის შვილზე (ტაბულა1, 14), (ტაბულა 2, 15).

5 **რევაზ** – რევაზ შალვას ძე ერისთავი (1828-1899) შალვა ერისთავისა და ეკატერინე ორბელიანის ვაჟი, ქეთევან ერისთავის ძმა და ელისაბედ ერისთავის ბიძა. ცნობილია, როგორც პოეტი და კოზლოვის "შეშლილის" ქართულ ენაზე მთარგმნელი. მისმა დისკუსიამ ილია ჭავჭავაძესთან სათავე დაუდო "მამათა" და "შვილთა" ბრძოლას. ცოლად ჰყავდა ნინო ესტატეს ასული ერისთავი (1836-?). (ტაბულა1, 12), (ტაბულა 2, 13).

6 იგულისხმება ელენე ერისთავი (1830-1899) (ტაბულა1, 13), (ტაბულა 2, 14).

7 **ორბელიანთ აული** – ადგილი თბილისში, გარეთუბანში, მტკვრის პირას, სადაც ცხოვრობდნენ ორბელიანები.

ბიან და მხიარულათ მიეგებებიან ფანჯრიდამ გადმამხტარს ყნაწვილს. "ტატო მოვიდა, ტატო მოვიდა["]: ეს არის ჩვენი მშვენიერი უკვდავი ბარათაშვილი1. მგოსანს შემოჰყვება ერთი ყმაწვილი აფიცარი ლამაზი სახისა[,] თეთრწითელი[,] ლურჯთვალებიანი [.] მაიკოს2 სევდიანი თვალები გაუბრწყინდება იმის დანახვაზე[,] მარამ მალე ისევ მოიწყენს. ლევან3 ყველას რომ მიესალმება[,] ბოლოს მივა მაიკოსთანა და ეუბნება[:] ["]გამხიარულდი[,] ჩემო მაიკო[,] რა გაქვს სამწუხარო["]? ["]ლევან[,] გენაცვალე[,] როდის[,] როდის["][?] ... ["]მალე[,] მაიკო[,] აბა[,] თუ გზა არ გავიკვლიეთ[,] როგორ უნდა ვიცხოვროთ[?] აი[,] ეხლაც მგზავნიან დაღისტანში და რო დავბრუნდები[,] მაშინ[.] ეს მალე იქნება["]. მაიკო მწუხარეთ ამოისუნთქამს და არარას ეტყვის... ქალები დაირას უკრამენ და ლეკურს თამაშობენ[.] ქეთევანს ჩააცივდებიან და ძალათ გამოათრევე სათამაშოთ. ლეკურის შემდეგ ტატო მიუახლოვდება ქეთევანს და ეუბნება[:] ["]ქეთევან[,] სწორეთ რომ ჰაეროვანი ხარ[,] რა მშვენივრათ თამაშობ["]! ["]მაიცა[,] ტატო[,] აქ დაჯექი, მხოლოთ არავი გაიგონოს ჩვენი ეს ლაპარაკი. ავმა ენებმა ჩვენი წმინდა მეგობრობა და ნათესაობა ჩაგვიშალეს. დედაჩემმა მიბძანა[,] რომ ძალიან იყო გამწყრალი ჭორაობაზე და მითხრა[,] ეხლა უნდა გაგათხოვოვო ელიზბარ ერისთავზეო[.] ძალიან კარგი ყმაწვილიაო[,] შეძლებაც კარგი აქვსო[,] ჩვენივე არისო4 და ბედნიერი იქნებიო. ბარემ ჯერ არ მინდოდა გათხოვება[,] მარა[,] ტატო[,] რა გაეწყობა["]. ["]მე ეგ სუყველა შენზე წინათ ვიცოდი ძალუა ელისაბედისაგან5 და აი[,] ლექსები გიძღვენ[.] წაიღე[,] შეინახე[,] მერე წაიკითხამ[.] აგრეთვე ["]ვეფხვისტყაოსანი["] მშვენიერათ გადამიწერეს და ფერადებით შეამკეს[.] იმას ხვალ შემოგიტან[.] იცოდე[,] სახსოვრათ ["]. ["]სიკვდილამდე[,] ტატო[,] სიკვდილამდე["][!] ["] იცნობ ალექსანდრე ჭავჭავაძიანთ6 ქალებს ["][?] ["]ესენი ჩემი საქმროს დეიდაშვილები არიან7[.] რო იცოდე[,] რა მშვენივრები არიან[.] აი[,] ვინც შეირთამს[,] რა ბედნიერი იქნება[.] ეკატერინე8 სწორეთ ანგელოზია[.] რა მშვენიერი ხმა აქვს["] [.] ["]როგორ არა[,] ვიცნობდი საყმაწვილეში და ეხლაც შორიდა ყაბახზე ვნახე["][.] ამ დროს გაისმის ზარივით მშვენიერი ხმა ნინო ყაფლანის ქალისა9 [,] მომხიბლავი ლურჯი თვალები უბრწყინავს და დასძახის: "მე შენ მიყვარდი[,] მაისის ვარდი[,] ისე მიყვარდი, შენ თითონ იცი, ტკბილ ტყვეობაში მყვანდი დაბმული[,] მაგრამ შენ სხვისთვის გიძგერდა გული["][.]

1 იგულისხმება ნიკოლოზ ბარათაშვილი.

2 **მაიკო** – მაიკო (მარიამ) ქაიხოსროს ასული ორბელიანი (1816-1849), სილამაზით გამორჩეული ქალი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი (დედის ბიძაშვილის შვილი) და მეგობარი, მისი წერილების ადრესატი. დანიშნული იყო ლევან მელიქიშვილზე, რომელთანაც შეეძინა შვილი ივანე. გარდაიცვალა ჭლექით (ტაბულა 2, 9).

3 **ლევან** – ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი (1816-1892), ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიის მეგობარი, შემდგომში კავალერიის გენერალი, კავკასიური ომების მონაწილე. 1880 წ. მთავარმართებლის მოადგილე, 1882 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრი.

4 იგულისხმება ნათესაური ურთიერთობა: ქეთევან ერისთავის პაპა – რევაზ ერისთავი და ელიზბარ ერისთავის მამა შანშე ერისთავი იყვნენ გარე ბიძაშვილები (იხ. ტაბულა 1, 8, 11).

5 **ძალუა ელისაბედი** – ვფიქრობთ, იგულისხმება ქეთევან ერისთავის ბიცოლა, ყაფლან ორბელიანის მეორე მეუღლე ელისაბედ ივანე ბარათაშვილის ასული (1824-1892).

6 **ალექსანდრე ჭავჭავაძე** – ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე (1786-1846), ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი.

7 ელიზბარ ერისთავი დეიდაშვილად ერგებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილებს - ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე სალომე და შანშე ერისთავის მეუღლე ელენე იყვნენ ღვიძლი დები, სარდალ იოანე ორბელიანის ასულნი.

8 **ეკატერინე** – ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (1815-1882), ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მუზა და ლექსების ადრესატი. 1838 წელს მისთხოვდა სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს დავით ლევანის ძე დადიანს (1812-1853). მის არქივში აღმოჩნდა ნ. ბარათაშვილის არაერთი ავტოგრაფი.

9 **ნინო ყაფლანის ქალი** – (1839 -?) ყაფლან ორბელიანის ასული, მეუღლე თავად დიმიტრი პაატას ძე წულუკიძისა (ტაბულა 2, 11).



ავთანდილ ნიკოლეიშვილი

თურქეთში – ჩვენებურებთან!

(წერილი მეორე)

სტუმრად დუზჯელ ქართველებთან

დუზჯეს, როგორც თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე ახალი ინდუსტრიული ცენტრის, მშენებლობამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები 1999 წლის მიწისძვრის შემდეგ შეიძინა. ამ მიწისძვრამ იგი იმდენად დაანგრია და გაანადგურა, რომ ფაქტობრივად ახალი ქალაქის აშენება გახდა აუცილებელი. დღეს დუზჯეში დაახლოებით 120 ათასი მცხოვრებია. ქალაქსა და მის შემოგარენში მდებარე ქართულ სოფლებში (აკსუში, მუნჯურლუში, ასარში, შიმშილში, სულეიმან ბეიში, ჩამლიში, ჯივითში, ეფთენში, ჯევიზლიში, ჩილიმლში, შიფირქიში, ახჩო ხოჯაში, კოზლოლლიში, დემირ აჩმაში, გურჯუ ქოიორიში...), იქაურების ინფორმაციით, 15 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს — კობალაძეები, გოგიტიძეები, კოშაძეები, დედაბრიშვილები, ხიმშიაშვილები... მათი დიდი ნაწილი აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალია.

ჩვენი მასპინძლები გზაში ისე ხშირად გვეხმიანებიან, რომ, ეტყობა, ჩვენთან შეხვედრას მართლაც მოუთმენლად ელოდებიან.

დამხვდურთა ერთი ჯგუფი — ადგილობრივი ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი აქტივისტი — ჯემილ თინაზი და მისი მეშვიდე კლასელი გოგონა ესინი ავტობანის ბოლოს, ქალაქის შესასვლელთან, შეგვეგებნენ. მათთან ერთად იყვნენ მუჯელა ულიჯაი (კოშაძე) და თბილისელი ქალბატონი თამარ მიქაძე თავის მეექვსეკლასელ გოგონასთან — ქეთევანთან ერთად. როგორც შემდეგ გავიგეთ, ქალბატონი თამარი, რომელიც ამ ქალაქში 2000 წლიდან ცხოვრობს და დღეს უკვე თურქეთის მოქალაქეცაა, პროფესიით სტომატოლოგია. ეკონომიკური პრობლემების გამო იგი იძულებული გამხდარა, სამშობლო დაეტოვებინა და თავი აქაურობისთვის შეეფარებინა.

იგი გულახდილად გვიამბობს თავისი ცხოვრების ამბავს და უდიდეს მადლიერებას გამოხატავს მისი დუზჯელი თანამემამულეებისადმი, რომელთაც აქ პატარა საქართველო აქვთ შექმნილი. სწორედ ამ ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობა უქარვებს მას სამშობლოს სიშორით გამოწვეული ნოსტალგიის მძაფრ გრძნობას.

ქალბატონი თამარის მეექვსე კლასელი გოგონა თურქულ სკოლაში სწავლობს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ცნობიერების ფორმირების პროცესი ძირითადად არაქართულ გარემოში მოხდა, ქეთევანი სულითაც და გულითაც იმ ქართველად იზრდება, რომლისთვისაც მარადიული ოცნების საგნად ქცეული საქართველოსადმი სიყვარული მთელი მისი თვითშეგნების განმსაზღვრელი უწმინდესი გრძნობაა.

ნათქვამის ნათელსაყოფად აქ გოგონას თუნდაც ამ მონათხრობის გახსენებაც იქნება საკმარისი:

ერთ-ერთ გაკვეთილზე რელიგიის მასწავლებელს მოსწავლეებისთვის უკითხავს, მათ შორის არამუსულმანი ხომ არ იყო ვინმე. მიუხედავად იმისა, რომ ამის გაკეთება, მკითხველისათვის ადვილად გასაგებ გარემოებათა გამო, ადვილი არ იყო, ქეთევანი უყოყმანოდ წამომდგარა ფეხზე. იმ დღიდან მოყოლებული, ზოგიერთმა ჩემმა ძველმა მეგობარმა ჩემთან ურთიერთობას მოუკლო და ჩვენს შორის თითქოს რაღაც დისტანციაც გაჩნდაო, — გულახდილად გვითხრა გოგონამ. მაგრამ მალე ყოველგვარი გაუგებრობა გაფანტულა და ქეთევანს მისი ქრისტიანული რწმენის გამო არავითარი წინააღმდეგობა არ ექმნება.

რესტორანში გამასპინძლების შემდეგ ჩვენმა მასპინძლებმა ქართულ სოფელ გურჯუ ჩიფტლიქში წაგვიყვანეს იქაურ ჩვენებურებთან შესახვედრად.

დუზჯეში გამართულ შეხვედრათა გვირგვინს იქაურ ქართულ სათვისტომოში სტუმრობა წარ-

გაგრძელება.დასაწ. № 9

მოადგენდა. ქალაქის ცენტრში მდებარე სათვისტომოს ოფისში ოცდაათამდე ჩვენებურმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ სათვისტომოს თავმჯდომარე აიდინ კუბილაი (კოშაძე) და სათვისტომოს აქტივისტები: მუჯელა ულიჯაი (კოშაძე), ჯემილ თინაზი, ეროლ კილიჩი, ბურჰან ულიჯანი და სხვები.

გადაუდებელ საქმეთა გამო დუზჯეში გამართულ შეხვედრებს თავისი წარმატებული ქართული საქმიანობით გამორჩეული ფევზი ჩელებიც (ჩელებაძე) შემოუერთდა მოგვიანებით. როგორც მისი მონათხრობიდან ვგებულობთ, ქართული ენა მას დამოუკიდებლად შეუსწავლია რადიო „თავისუფლებისა" და „ამერიკის ხმის" დახმარებით. ეს ის დრო იყო, როცა საქართველო საბჭოთა იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა და თურქეთთან დამაკავშირებელი გზები მტკიცედ იყო ჩარაზული. სარფის კარის გახსნის შემდეგ ბატონი ფევზის ქართულმა ინტერესებმა ახალი მასშტაბები შეიძინა და მისი მეცნიერული მოღვაწეობის მთავარ მიმართულებად იქცა. კერძოდ, იგი საქართველოს შესახებ ინტერნეტ-საიტებით გავრცელებული საინტერესო წერილების ავტორია.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს საქართველოსადმი დუზჯელ (და არა მარტო დუზჯელ) ქართველთა სიყვარულზე, აქ ერთ კონკრეტულ ფაქტსაც გავიხსენებ:

საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში ზემოთ უკვე მოხსენიებული ეროლ კილიჩი თურმე იქ მცხოვრებ ერთერთ აფხაზს შეხვედრია, რომელიც აფხაზეთში აპირებდა წამოსვლას ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ამბის შეტყობით აღშფოთებულ ეროლს მისთვის უთქვამს:

— ვის წინააღმდეგ აპირებ საბრძოლველად წასვლას?! ჩემი ძმებისა?! თუ ქართველი კაცის მოკვლა გინდა, რაღას უცდი, მოდი და მე მომკალი! არ გაბედო ასეთი უგუნური ნაბიჯის გადადგმა, თორემ განანებ!

ამ ამბავს მაშინ თურმე იმდენად დიდი რეზონანსი მოჰყოლია, რომ იგი მთელ დუზჯეში გახმაურებულა.

დუზჯელი ჩვენებურები (და არა მარტო ისინი) ძალიან წუხან იმის გამო, რომ ახალმა ცხოვრებისეულმა რეალობამ, რასაც გლობალიზაციის პროცესი ამკვიდრებს ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში, წინაპართა ენას საკომუნიკაციო ფუნქცია შეუზღუდა (ხშირ შემთხვევაში დაუკარგა კიდეც).

— ჩვენი ენა რეალურად იმიტომ კი არ დადგა დაკარგვის საფრთხის წინაშე, რომ არ გვიყვარს და არ გვინდა ვიცოდეთ იგი, არამედ იმიტომ, რომ მას ფაქტობრივად ვერაფერში ვეღარ ვიყენებთო, — გულისტკივილით ამბობენ ისინი.

როგორც ჩვენს დუზჯელ თანამემამულეებთან გამართულმა შეხვედრებმა დაგვარწმუნეს, იქაური ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს იმ რწმენითა და თვითშეგნებით იღვწის, მათი ქართული სათვისტომო არა მარტო უბრალო თავშეყრის ადგილად რომ იქცეს, არამედ წინაპართა ენისა და ადათ-ტრადიციების შემსწავლელ ცენტრადაც. ისინი აშკარად გამოხატავდნენ გულისტკივილს იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში „ძალიან გედევერიეთ ერთმანეთშიო".

ერთადერთი, რაც დუზჯელთა ქართული სათვისტომოს წევრებმა გვთხოვეს, მშობლიური ენისა და მუსიკალური ფოლკლორის შესწავლაში პრაქტიკული დახმარების გაწევაა. როგორც მათ თქვეს, ამ მიზნით ისინი სიამოვნებით მიიღებენ ჩვენგან წარგზავნილ მასწავლებელს, რომელსაც ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებსაც შეუქმნიან და ყურადღებასაც არ მოაკლებენ.

თურქეთში მცხოვრები ჩვენებურების ესოდენი გამძაფრებული სწრაფვა წინაპართა ქართული ფესვებისაკენ მხოლოდ ემოციური აღტკინების გამოვლინებას რომ არ წარმოადგენს და დიდ მემლექეთზე ფიქრი და ოცნება მართლაც რომაა ქცეული მათი ყოველდღიური ყოფის სისხლხორცეულ ნაწილად, ამას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს ნათლად და დაუეჭვებლად, რომ ყველგან, სადაც კი ჩვენებურების თავშეყრის ადგილებში მოგვიწია მისვლა (ოფისებშიც, რესტორნებშიც, სასტუმროებშიც...), იქაურები ქართულ ტელეგადაცემებსაც უსმენენ სისტემატურად, რითაც მუდმივ კონტაქტში იმყოფებიან ჩვენს ქვეყანასთან.

სათვისტომოში გამართულ შეხვედრაზე ჩვენმა მასპინძლებმა იმ მეგობრულ ურთიერთობებსაც გაუსვეს ხაზი, რაც მათ კავკასიელ ხალხთა იქაურ წარმომადგენლებთან აქვთ. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეტყობა იმისა, რომ საქართველოში ქართველებსა და აფხაზებს შორის რუსეთის ინსპირირებით წარმოქმნილ საომარ დაპირისპირებას იქ მცხოვრები ამ ორი ხალხის მეგობრულ სიახლოვეზე უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია. ეს რომ მართლაც ასეა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ იქაური გურჯები და აფხაზები ერთმანეთზეც არც თუ იშვიათად ქორწინდებიან ხოლმე.

აღარაფერს ვამბობთ იმ ახლო ურთიერთობაზე, რომელიც თურქეთში მცხოვრებ ქართველებსა და ლაზებს შორის არის დამკვიდრებული. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო არაერთგზისი ხაზგასმა იმისა, რომ ამ ურთიერთობის განმსაზღვრელ საფუძვლად მათ უპირველეს ყოვლისა ჩვენი სისხლისა და გენის საერთოობა მიაჩნიათ.

ხენდეკში

ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის შემდეგი სამუშაო ადგილი ქალაქი ხენდეკი იყო, სადაც ჩვენს მთავარ მასპინძელს სეზაი სეფა (ფუტკარაძე) და მისი ოჯახის წევრები წარმოადგენდნენ.

ხენდეკსა და მის შემოგარენში საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს — დაახლოებით 10 ათა-

სი კაცი, აქაც ძირითადად აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალნი. ჩვენი მასპინძლების ინფორმაციით, ამ რეგიონის ოცი სოფლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ჩვენებურები წარმოადგენენ, რაზეც მათი ქართული სახელწოდებებიც მეტყველებს. ეს სოფლებია: გევლი, თოხვეტი, ტრაპენი, ორჯი, ქამელეთი, ომანა, ხატილა, არხვა, ქართლა, ურზუმა...

სასტუმროში დაბინავების შემდეგ ჩვენმა მასპინძლებმა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში წაგვიყვანეს. ქალაქგარეთ, მაღალ მთაზე, აგებული ეს მუზეუმი, საიდანაც არა მარტო ხენდეკი, არამედ მთელი მისი მიმდებარე ტერიტორიაც ჩანს ხელისგულზე, აქაურებისათვის, ეტყობა, გართობისა და კულტურული დასვენების საყვარელ ადგილს წარმოადგენს. ამაზე მის გვერდით არსებული დიდი საკონცერტო ამფითეატრიცა და რესტორანიც მეტყველებს.

მუზეუმში, რომლის ერთი ნაწილი ღია ცისქვეშაა მოწყობილი, მრავლადაა გამოფენილი არა მარტო საკუთრივ თურქების ისტორიის ამსახველი მასალები, არამედ ყველა იმ ხალხისაც, ვინც მათი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა საუკუნეების განმავლობაში (ურარტუელები, ხეთები, ხათები, ქალდეველები...). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ამ მასალებს შორის ქართული (უფრო ზუსტად აჭარიდან ჩატანილი) ძველისძველი საყოფაცხოვრებო ნივთებიც იყო გამოფენილი.

მუზეუმის დათვალიერების დროს ჩვენთან ერთად მყოფი ფევზი ჩელები იქაურ ქართულ შელოცვებს გვიყვება. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც თვალცემულის გამოლოცვას წარმოადგენს, მლოცველი წმინდა გიორგისაც მოიხსენიებს, რაც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ხსენებული შელოცვის ტექსტი იმდროინდელია, როცა მისი შემთხზველები და გამავრცელებლები ჯერაც ქრისტიანები იყვნენ.

მუზეუმში ყოფნის პერიოდში ჩვენს ჯგუფს კედევ ერთი ჩვენებური შემოუერთდა — ერდოგან დავითაძე (შენოლე), წარმოშობით ქედელი. მას ადრეც ვართ შეხვედრილი — აქ ყოფნის დროსაც და ქუთაისში სტუმრობის პერიოდშიც. იგი ადაფაზარიდანაა და უმაღლესი განათლება თბილისში აქვს მიღებული. საქართველოზე იმდენადაა შეყვარებული, რომ გადაწყვეტილი აქვს მის ორ შვილს, რომლებიც ჯერ სკოლის მოსწავლეები არიან, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში მიაღებინოს უმაღლესი განათლება, არამედ აქვე დაასახლოს კიდეც.

ქართლაში ჩვენი სტუმრობის ამბავი ისე ელვისებურად გახმაურდა, რომ ჩვენი ერთ-ერთი იქაური მასპინძლის ეზოში თავმოყრილებს სულ მალე მახლობელი სოფლებიდანაც შემოგვიერთდა უამრავი ჩვენებური. ჩვენს შორის გამართულ გულითად საუბრებს მალე იქაურების ცეკვები და სიმღერები მოყვა. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე არაქართულ გარემოში ჩამოყალიბებული მათი მუსიკალური ფოლკლორი ბევრი რამით განსხვავდება ჩვენი ცეკვებისა და სიმღერებისაგან, დაკვირვებული თვალი მათ შორის შინაგანად არსებულ არაერთ საერთო ნიშან-თვისებას მაინც აღმოაჩენს. ეს განსაკუთრებით მათ ხალხურ ცეკვაზე ითქმის, რომელიც ქართული ხორუმის ელემენტებითაცაა გაჯერებული.

რაც შეეხება ჩვენებურების იმ ხალხურ სიმღერებს, რომლებიც იქაურებმა ჩვენთან შეხვედრის დროს შეასრულეს, მათ მუსიკალურ-მელოდიურ ჟღერადობას აშკარად ეტყობა თურქული ზეგავლენის კვალი. ქართულ-თურქული სიტყვები მათში ისეა ერთმანეთში არეული, რომ ხსენებული ტექსტები ფაქტობრივად მხოლოდ სანახევროდ შეიძლება ჩაითვალოს ქართული ენობრივი სამყაროს კუთვნილებად.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენებურების ღრმა რწმენით, მათი მუსიკალური ფოლკლორი ქართული წიაღიდანაა აღმოცენებული და ყველაფერ ამას დაცვა და გადარჩენა სჭირდება.

ერთ-ერთი მათგანი — ცეკვის მასწავლებელი ჯემალ შანიძე, რომელიც პროფესიული თვალითაც აფასებს ჩვენებურების მიერ ძველქართულად მიჩნეული ცეკვების განსხვავებას ნამდვილქართული ცეკვებისაგან, გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ წინაპართა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესწავლის შესაძლებლობა მათ ფაქტობრივად არა აქვთ. მისი თქმით, თურქეთში მცხოვრებ ბევრ ჩვენებურს, მართალია, გულით სურს, შვილები ამ მიზნით საქართველოშიც რომ გამოაგზავნოს, მაგრამ აქ არსებული არასტაბილური მდგომარეობის გამო ამის გაკეთება ეშინია.

ჩვენებურებთან შეხვედრა ეზოში გაშლილი სუფრით დამთავრდა. კოინდარზე გაფენილ ნოხზე ფეხმორთხმით მსხდომთ მასპინძლები ჩვენთვის უცნობი იქაური კერძებით გაგვიმასპინძლდნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში თავსაფარმოხვეული ქალბატონების დიდი ნაწილი, ჩვენგან რამდენადმე გამიჯნული, სახლის აივანზე ისხდა და იქედან გვეკონტაქტებოდა.

ასე დამთავრდა ქართლასა და მის მეზობელ ქართულ სოფლებში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან ჩვენი ღრმად შთამბეჭდავი შეხვედრა. მიუხედავად მათთან გატარებული ხანმოკლე დროისა, უკან მომავალნი დიდხანს ვსაუბრობდით იმაზე, რომ ამ მღელვარე შეხვედრამ მათ ცნობიერებას მაინც შესძინა ის მუხტი და ენერგია, რომელიც ბევრი მათგანის სულსა და გულში მომავალში უსათუოდ აღაზევებს გაქრობის პირამდე მისულ ეროვნულ თვითშეგნებას.

1937-1987



ციკლიდან „გამოთხოვება“

წლებო, ჩამქკნარან ლამაზმანები
თქვენი სუსხით და თქვენი სიმკაცრით...
თქვენი ნების და თქვენი ბრძანების
ვიყავ ერთგული მე ჯარისკაცი.
უკვე დავკიდე კედელზე ხმალი,
(ბოროტი ხელი ნუმც შეეხება)
ჩემი ხირიმის ექო და ხმანი
ჩაიბუხუნეს უკვე ეხებმა.
დამჩხავის მხოლოდ დარდის ჭილყვავი
გამქრალა თეთრთა კბილთა ბრწყინება...
მე თვითონ, თვითონ ექო ვიყავი,
ქარაფთა ერთი ამოგმინება.
დამდნარა, თეთრი კაბა რომ გეცვა,
მდინარე ასას გიგავდა თმები...
თვალებში ჩამრჩა სამშობლოს ზეცა
შემოქარგული ამაყი მთებით...
მშვიდობით! — მტოვებ ნათელი ცათა
უშენოდ მიზანს კარგავს ცხოვრება...
მივდივარ,
იქით მივდივარ, სადაც
არც შეხვედრაა,
არც განშორება.

ბალახი

სად არ ვთიბეთ და ვმარგლეთ ბალახი, —
ზღუდე ვუმაგრეთ სიცოცხლის ადგილს,
შემოვაფლითეთ მთებს ყაბალახი
და ნაფლეთები ზვინებად დავდგით.
ცეცხლით ჩავახშეთ შამბის ყაყანი,
რომ აწვებოდა კედლებს და შუკებს...
შევყარეთ დიდი ლხინის მაყარი, —
ბნელი დავაფრთხეთ კაშკაშა შუქით.
მაგრამ ის, მაინც,
სავალს საჩვენოს,
შეუჩერებლად, დღისით და ღამით,
ფარავს ნელ-ნელა
და ჩვენს გარშემო
მოისმის მისი ჯიუტი ჩქამი...
ცელები ვცვითეთ,
წლები დავხურეთ
შამბნართან ომში,
მაგრამ ჯიუტად
მოიწევს ის...
და სხვა გაზაფხულებს
ჩვენი არყოფნის ამბავს მიუტანს.
ჩემი წარსული

თავისი ვალი მთხოვა მდინარემ,
გზები ძახილით დამატყდნენ თავზე,
ზღვებმა მაისის დღე,
მოცინარი,
წამართვეს ლურჯი ჩიტებით სავსე.
მსხვერპლს მოითხოვდა ფიქრიც, დამღ-
ლელი,
ლამაზ ცაზე და ლამაზ ნისლებზე...
და აისები,
როგორც ნაღმები,
სკდებოდნენ მთებში და მაფხიზლებდნენ.
დრომ არ გაუშვა ხელუხლებელი
ბავშვობა —
თეთრი მთების ზღაპარი,
დრო თავზე გვადგა ყოვლისმხედველი
და ვერაფერი გამოვაპარეთ.
ფერით და სუნით, დამათრობელი,
ბევრი ნაყოფი ჩაბარდა მიწას...
წარსული ასე მახსოვს, რომელიც
მდინარედ,
გზად და ფიქრებად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყრები გალიებში

აქ, გალიებში დარდობენ მწყრები, —
მონატრებიათ სხივი მკათავის,
მაგრამ მზე სადღაც თავისთვის წვება
და დღე სხივების ხიდზე გადადის...
მათ ესიზმრებათ, ეს მერამდენედ,
რომ ყანა თავის ასაკს ამთავრებს...
და იმ ზმანებებს ფერად-ფერადებს
ჭრელი კვერცხებით გამოხატავენ.
სევდიან ხმებით სავსე ჭურჭლები,
რკინის მახეში როდის გაებნენ?
ბუნება მაინც ბუმბულს უჭრელებს
თავის წესზე და საღებავებზე...
მათ თითქოს ქმნიდნენ ქალის თითები
ნაზი, ქალური შთაბეჭდილებით...
ზედ აქარგიათ მწვანე მინდვრები,
მერცხლის ყანები და ჯეჯილები...
აქ, გალიებში დაგოგმანებენ,
სადღაც ძაღლები დგანან ნაბულზე...
არ უჩანს ბოლო იმათ ზმანებებს
ვერცხლის წვიმებზე და გაზაფხულზე...
გმადლობთ, ცხოვრებავ,
ძალიან გმადლობთ
და ვერასოდეს ვერ შეგელევით:
სიკეთისკენ თეთრ სიზმრებს გვათოვ,
ცხადში გვაკავებ რკინის ხელებით.

შემოდგომა ასის ხეობაში

მივდივარ მგზავრი
და მიმაცილებს
მდუმარე ნისლი — მთების დარაჯი,
ხოლო აგვისტო — მკვდარი ყმანვილი
მქრქალი სექტემბრის წევს სუდარაში.
და რაღაც სევდა სულის მხუთავი
სუფევს
და ამხელს უმაღლეს ტკივილს
და ტყე ხმაურობს ხმით საკუთარით,
ჯადო მუსიკით,
ფერით და სტილით.
და მე მივდივარ,
ნაბიჯს აღმართი
მიდინჯებს,
ასა ნისლისფერ ფაფარს
აჩენს,
მომყვება ჭკნობის ქალღმერთი,
შრიალებს მისი ყვითელი კაბა.

წეროების გადაფრენა

„ყელწაგდებულნი,
კისერგაწვდილნი“...

შოთა ნიშნიანიძე

მიქრიან ხანგრძლივ ფრენას ნაჩვევნი,
უღერენ მანძილს ნისკარტს ალესილს.
და სამშობლოდან შორეთს დარჩენილ
ხალხს ეძახიან თავის მხარეში.
მათ ლურჯ გზებს ნისლი ბევრჯერ ებურა,
ნისლს ეპყრა მთები და გორგურები,
მაგრამ
შინ მაინც დაბრუნებულან —
გრძელი,
მფრინავი ცის ჩონგურები.
გადაივლიან, როგორც ღრუბლები,
დამძიმებულნი ციურ ზღაპრებით,
შინმოუსვლელებს, დაეუფლება
სურვილი ქროლვის
და გადაფრენის...

ჭური

(ხუმრობა)

მე — სიტყვის ჭური ზეცას შევღიმი,
ის ჩემში, როგორც განიერ ჭაში
ძევს
და ცხოვრება — მკაცრი მეღვინე
მოდის
და ჩუმად მისინჯავს ჭაშნიკს.
თავღია ვიყავ და გარს მეხვიეთ
ლამაზი ხალხი
და გულში მიზის
ამაყი სახე ჩემი მეღვინის,
ცისა და მიწის,
შენი და სხვისი...
რადგან მოითხოვს ამას შაირი,
სიტყვის ბადაგი ღვინდება ადრე,
ღრმად ვსუნთქავ ჩემი ქვეყნის ჰაერით,
რომ ჩემშიც ღრმად და ლამაზად ჩან-
დეთ...
და რითმაც სხვაში არასდროს გამცვ-
ლის,
კვლავ თავს მომახვევს მელექსის სიზმ-
რებს...
მოვა ლექსი და თავისით დამცლის,
ხოლო ცხოვრება შემავსებს ისევ.

მედეა ჩახავა

ნათელა სარველაძე

თეატრის თილისმა

რუსთაველელთა დასში აღმოცენებულ „თუმანიშვილის თეატრს" თავისი თილისმა ჰქონდა: მედეა ჩახავას სხივჩამდგარი, უძირო და გიშრისფერი თვალები. მათი ეშხით მონუსხული იყავი, ისინი გიხმობდნენ, გიზიდავდნენ, ნეტარებით გავსებდნენ და სიხარულის ელდით გიპყრობდნენ. თვდახსნა შეუძლებელი გახლდათ, მით უფრო, რომ თვალთა გიჟმაჟ ციალს თან ერთვოდა მიმდობი, მიამიტი, იმავდროულად მაცდური, ანცი, იდუმალი და გამხელილი ნდომით ამეტყველებული ღიმილი. ჭეშმარიტად, ეს მელნის ტბა და მზის ჭიატის სადარი ღიმილი თავბრუდამხვევად მოქმედებდნენ მაყურებელზე. სულის თრთოლვით ტყვედქმნილი დარბაზი ნირვანას ეძლეოდა, მის წინაშე სხვა, უფრო სრული, მშვენიერი, ჰარმონიული რეალობა იშლებოდა. მედეა ჩახავა ამ სათუთი და მართალი რეალობის სანდო მეგზური გახლდათ.

სცენაზე მისი გამოჩენით სანახაობას ელვარება ემატებოდა, ატორტმანებული დარბაზი გრძნობას სადინარს უხსნიდა და... ოვაციის მგზნებარება ეხეთქებოდა რამპას, იქით კი, რამპის იქით კი, აცეტებული, მწველი და წრფელი ვნება დავლურს უვლიდა, ან ჩურჩულით ტრფობის ჭიაკოკონას ჰპირდებოდა მიჯნურს. მედეა ჩახავას გამოჩენით სცენა მზის სხივით ნათდებოდა, თითქოს, რეალობაზე უფრო სათუთ რეალობისკენ ახედებდა გაყურსულ დარბაზს. სცენა იმ კუნძულს გახსენებდა, სადაც სირინოზთა ხმები, თავნება ამორძალები ანდამატის ძალით აჯადოვებდნენ და ხუნდებდადებულნი სამარადისოდ იქ რჩებოდნენ საქვეყნოდ განთქმული, ფათერაკების მაძიებელი მოგზაურები, მეომრები, სარდლები. მაყურებელს სიამეს ჰგვრიდა ეს სულის ჟრჟოლა, გულის ფეთქვა, აღმტაცი სიხარული და გრძნეული გარინდება, რასაც სიმართლის მქადაგებელი და სულის განმწმენდი რიტუალის მსგავსი სანახაობა, „თუმანიშვილის თეატრი", ამკვიდრებდა სცენაზე და უხვად უნაწილებდა სიმართლეს მოწყურებულ საზოგადოებას.

„თუმანიშვილის თეატრის" ავგაროზი, მედეა ჩახავა, მართლაც სულში ჩამწვდომი ხმოვანებით და ნატიფი, სახიერი სვლებით გამოხატავდა ამ თეატრის უმთავრეს თვისებას — ადამიანის უკიდეგანო შინაგან სამყაროში ოდისეის შედეგად, მოუხელთებელ და უხილავ ცვლილებათა წარმოსახვას სასცენო ფიცარნაგზე. ოკეანის ფსკერზე მარგალიტის მაძიებელთა ჩაღრმავებას თუ შეეტოლება ეს „ჩაყვინთვა" და „ნიჟარიდან" სულის თრთოლის, ანუ ობოლი მარგალიტის ამოტანა...

„თუმანიშვილის თეატრი" ეპოქის შესატყვის ხმოვანებას, განცდასა და სულისკვეთებას გამოხატავდა. მას უმალ გამოარჩევდი მრავალთაგან, მედეა ჩახავა იმ მსახიობ-განდობილთა გუნდის პროტაგონისტი გახლდათ, რომელთაც „შვიდკაცას" უხმობდნენ და რომელთა თანახმიერმა ხელოვნებამ მთელს თაობას შეაძლებინა აგერ უკვე ნახევარსაუკუნოვანი ერთგული ცხოვრება თეატრში, თეატრისთვის, თეატრით. მედეა ჩახავა თავისი თაობის, თავისი ყმაწვილქალობის დროინდელი თეატრის სახელით გამოდიოდა სცენაზე, თავისი თაობის მსოფლშეგნების გამომხატველი გახლდათ.

ოსტატის მიერ შესრულებული წარმატებული როლები მხოლოდ გარდასახვის ხელოვნებით, ან რეჟისორული თეატრის კუთვნილებით როდი გამოირჩევიან. მათში გარკვეული სათეატრო ესთეტიკის, მიმართულების, სკოლის თვისებები ჩანს. ამ თვალსაზრისითაც იმსახურებენ საგანგებო შეფასებას მისი ნიღაბი-როლები: ლიდა პლახა, ლიდა მატისოვა, იამზე მატაბელი, ამარანტა, ფეფელა, სარე, ლეილა, მელია, ზაბლონა მასწავლებელი, დედოფალი მარგარეთი და სხვანი. ეს პერსონაჟები გამოხატავენ არა მარტო ერთი მსახიობის წარმატებულ კარიერას, ქართული საშემსრულებლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის ხარისხსა და თვისებას, არამედ ისინი ასახავენ რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი გზის ეტაპებს. ლიდა პლახასა, დედოფალ მარგარეთსა და მოხუც ჯამბაზს შორის დიდი ცხოვრებისეული პერიპეტიებია ჩახლართული, არა მარტო ქვეყნისა და სამყაროს სოციალურ-პოლიტიკური რეალობაა ჩაწნული, არამედ სათეატრო ტენდენციათა, ტრადიციათა, მოდერნიზაციისა და მიმართულებათა მონაცვლეობაც, დროთა კავშირისა თუ ამ კავშირის რღვევის სირთულეც შეიგრძნობა.

88 წლის მანდილოსანი თამაშის ტრფიალი გახლდათ ისევე, როგორც გზის დასაწყისში, თეატრალური ინსტიტუტის პატარა სცენაზე, მაშინაც, როდესაც პირველად გადალახა კულისების ზღვარი და შედგა რუსთაველის თეატრის სცენაზე. 88 წლისა იდგა სცენაზე და თამაშობდა, ასე დახურა სეზონი და ახალ სეზონშიც აპირებდა სცენაზე გასვლას. 65 წელი ამშვენებდა რუსთაველის სახელოვანი თეატრის სცენას!

***

მედეა ჩახავას სისხლისმიერი და არ ჰყოლია. სალომე ყანჩელი გახლდათ მისი ცხოვრების დობილი. ბოლომდე უერთგულა, საავადმყოფოში რამდენიმე თვე მის პალატაში გადასახლდა, უვლიდა, ულამაზებდა, უმსუბუქებდა ხვედრს. მერე გულმხურვალე ცრემლიანი სევდით ეთხოვებოდა სიყრმის მეგობარს. გამოსათხოვარი წერილი გამოვაქვეყნე გაზეთ „თბილისში". გულში ჩამიკრა, მადლობა გადამიხადა და თან დაატანა: „უფლებას გაძლევ მედეა, ან თუნდაც ბატონი მიშასავით მედიკო დამიძახო". მერე გაიღიმა, განდობილის იდუმალ მზერაში სხივი აკიაფდა და მითხრა: „ხედავ, ეს გარგუნა ბედმა, ჩვენთან გამოთხოვების ჟამს ასეთი სითბო გამოხატო. ერთი იმის ეშმაკი გამხადა, ჩემზე რას დაწერ". ანგარიშმიუცემლად აღმომხდა რას ბრძანებთ-მეთქი და პირველად მივმართე შინაურულად: მედიკო. უკვდავი ხომ არა ვარო, სამდურავივით ჩაილაპარაკა. ვერც მაშინ და ვერც წლების შემდეგ, ბატონი მიშა, „თუმანიშვილის თეატრის" უპირველესი შემოქმედი, და ვერც მედიკო, ამ თეატრის ავგაროზი, სიკვდილთან ვერ დავაკავშირე. არ მეთმობოდა არც ერთი, მაგრამ, უწინარესად, არ მეთმობოდა თავად „თუმანიშვილის თეატრი", რომლის ერთგულიც ბოლომდე დარჩა ქალბატონი მედეა. მაგრამ რეალობას თავისი ლოგიკა აქვს, თავისი „განაჩენიც". მაინც მომიწია წერილის დაწერა. იგრძნობს, უთუოდ. . .

***

მედეა ჩახავას ასზე მეტი როლი აქვს შესრულებული თეატრსა, კინოსა, თუ ტელეთეატრში. არაერთგზის მიუღია მონაწილეობა კონცერტებსა, თუ თემატურ საღამოებზე, რადიოს დრამატულ გადაცემათა რედაქციის ხშირი გამომსვლელი გახლდათ, პრემიებისა თუ ჯილდოების მფლობელიც იყო. თეატრის არაერთი გამარჯვებისა, თუ წარმატებული გასტროლების მონაწილეს კოლეგების, რეჟისორების, მხატვრების, მუსიკოსების, კრიტიკოსთა აღფრთოვანებული შეფასებებიცა და მაყურებლის სიყვარულიც არ დაჰკლებია. მისი თამაშით მონუსხული არაერთი მეგობარი შეუძენია ჩვენშიც და უცხოეთშიც. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, ქუჩაში უკვე სცნობდნენ, პატივისცემითა და მოკრძალებით ხვდებოდნენ, სხვადასხვა სახის თავყრილობებზე იწვევდნენ. ის მეტად პოპულარული მსახიობი გახლდათ, საყოველთაოდ მიღებული და თაყვანისცემით გარემოსილი. თავდაპირველად თამაშობდა ბევრს, თავდავიწყებით, თითქმის ყოველ დადგმაში მონაწილეობდა, ყოველი რეჟისორისთვის სასურველი მსახიობი გახლდათ ნიჭისა, უნარისა, დაუზოგავი მუშაობისა და... ქალური ხიბლის მიზეზითაც.

და მაინც, მედეას, როგორც შემოქმედის ღვაწლი ქართული თეატრის ისტორიისათვის მხოლოდ შესრულებული როლებით, საესტრადო თუ თემატურ საღამოებზე ჩინებულად წაკითხული ნიმუშებით, სრულად ვერ შეფასდება. მედეას როლი, შემოქმედისა და მოღვაწისა, უფრო მეტია ვიდრე, თუნდაც მაღალი რანგის თამაში. მედეა ჩახავა რუსთაველის თეატრის უმთავრესი ტრადიციის — მარად განახლების — გამომხატველია! თეატრის ფერიცვალების, შემოქმედებითი დინების ცვლილებათა მონაწილეა, თანაავტორია რეჟისორ-ლიდერებთან და თანამზრახველ მსახიობთა გუნდთან ერთად, თანაც ორჯერ: პირველად, როგორც თანამოაზრე განდობილთა, „შვიდკაცას", პროტაგონისტი, „თუმანიშვილის თეატრის" თანაავტორი; მეორედ — „სტურუას თეატრის" დამკვიდრების მონაწილე. მას კიდევ ერთი როლის შესრულება მოუხდა: სტურუას პოლიტიკური თეატრის ელვარე თამაშის ორომტრიალში ჩაექსოვა „მარგალიტის მაძიებელთა" უნარი და ხიბლი. ფაქიზად და დაჯერე-

ბით შეასრულა მან ეს როლიც. მედეა ჩახავას დედოფალი მარგარეთი („რიჩარდ მესამე") ამის სანიმუშო დადასტურებაა...

ქალბატონ მედეას ჩვენს სინამდვილეში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი როლის განხორციელება ერგო წილად. ის მადლიანი ქართული სიტყვის მეხოტბე, კლასიკური სასცენო მეტყველების მაღალი კულტურის გამომხატველი, მხატვრული კითხვის ოსტატი გახლდათ. სცენაზეც და ცხოვრებაშიც ის მეტყველებდა მკაფიოდ, ყოველი ბგერა ისმოდა გარკვევით, ყოველი სიტყვა, თითქოს, მოქანდაკის საჭრეთელით იკვეთებოდა, ოსტატის მოქნილი ხელით მრგვლოვან და ჩამოქნილ სახეს იღებდა, შემდეგ კი სიტყვათა წყობის სინატიფე გვირისტით ნაქსოვ წინადადებას ქმნიდა. მედეა ტკბილმოუბარი გახლდათ. მართლაც, სულში ჩამწვდომი ხმის ტემბრი, მოალერსე საუბრის კილო, გულის ფეთქვასავით იდუმალი და ნაკვესივით გაელვებული ძალოვანება, უეცრივ ნაჭედისა და ნატიფი ნაქარგის შთაბეჭდილებას ქმნიდა და სუროსავით ეხვეოდა მსმენელის სხეულს, როგორც მოციმციმე სხივი, როგორც თბილი მალამო, როგორც მათრობელა შარბათი. მისი ხმა იქ, სულის სიღრმეში იბადებოდა, გულისთრთოლით იმოსებოდა, გონით იწრთობოდა და ასე ჩამოქნილ-ჩამოღვენთილი მსმენელის გულისგულში ატანდა, როგორც ერთი ადამიანის გულის სევდა და იმედიანი შეძახილი, მწველად გულმხურვალე და იდუმალი გულისნადების გამხელა მეორე ადამიანისათვის, რომელსაც ესალბუნებოდა, რომელიც უყვარდა, რომლისთვისაც იდგა სცენაზე, მიკროფონთან, გადასაღებ მოედანზე. ასეთი საუბარი, ასეთი მხატვრული კითხვა, როდესაც პოეტის სულის კიჟინის და არა მხოლოდ მისი სიტყვათა წყობის, ან პოეტური ხილვების თანაზიარი ხდება მსახიობი, ჩემი ღრმა რწმენით, არის ჭეშმარიტი მხატვრული კითხვის ოსტატობა. ამ წუთებში მედეა, ჭეშმარიტად, გარდაისახებოდა იმ ლირიულ გმირად, რომელსაც დაატანა პოეტმა საკუთარი ჭვრეტა, მსოფლშეგრძნება, განცდა, ვნება, ტემპერამენტი, აზრი, ურვა თუ ლხენა. მედეა, უწინარესად, პოეტის ზრახვათა მესაიდუმლე და ამომთქმელი ხდებოდა, მერე კი — ინტერპრეტატორი. მის მიერ გამოთქმული ქართული სიტყვა, ყოველი ბგერა და აზრი — კვარცხლბეკზე გახლდათ აყვანილი!

***

1966 წელს რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეოდ თეატრში მზადდებოდა „ვეფხისტყაოსნის" დადგმა (ლიტერატურული თეატრის სანახაობა). ხშირად ვკამათობდით მხატვრული კითხვის ამა თუ იმ პრობლემაზე. ერთ დღეს მედეას საკაზმულოში ვისხედით. ეროსი მარჯგალაძე მხარს მიჭერდა, რომ არის ლექსი და პროზა, რომელიც ქალმა უნდა ნაიკითხოს, ხოლო ზოგი ლექსი და მოთხრობა მამაკაცის ძალოვანებას ითხოვსო. მედეა ამბობდა ორივესთვის განკუთვნილია, ინტერპრეტაციაზე არის დამოკიდებულიო. მერე წუთიერად გაყუჩდა და ფიქრიანმა აღმოსთქვა:

„წინ, მეეტლევ!
ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!"

გაქცევის სურვილი უმალ გადაფარა ბალღურმა სიჯიუტემ და ყმაწვილქალურმა დაქადნებამ:

„მსურს, რომ ერთხელ კიდევ ვნახო
გაზაფხულის მთები მწვანე,
მსურს, რომ დაფნით გადავხლართო
მძიმე ფიქრთა ოკეანე!.."

ნაიარევი სულის კვნესა დაატანა შეძახილს: „წამიყვანე!"

მედეას ჟინიან და კეკლუც ტკბილხმოვანებას, ეროსის ბუბუნა ხმა შეენაცვლა:

„წინ, მეეტლევ!"

მისი ნაჭედი ხმა სულის ყიჟინს, აღმტაც გახელებას, ნავარდის ვნებას, თავდავიწყებას, თავდახსნის შვებას გვიმხელდა, ცხენების თქარა-თქურის წინ, მოქანავე ეტლის წინ გარბოდა. სრულიად განსხვავებული იყო მათი გამოთქმული გალაკტიონის ლექსი. ორივე საინტერესო გახლდათ, მაგრამ უპირატესობა მაინც ეროსის მივანიჭე, რადგანაც თავად ლექსი აშკარად მამაკაცის წასაკითხად განკუთვნილი ჩანდა. მედეა გაყუჩდა, ეროსი გადაეხვია, ყოჩაღო, უთხრა და დააყოლა: აბა, შენ რომ ანა კალანდაძის ლექსს კითხულობ, ისე მე როგორ

წავიკითხავო. მედეა დუმდა, გაინაბა, ბაგე კამკამა ღიმილმა გაუპო:

„ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი... "

გაოცებასა და სათუთ ინტონაციას მედეამ კეკლუცი თავის რხევა დაატანა, მაცდური ღიმილი გაკრთა უეცრივ და ბალღური მიამიტობით დასძინა:

„დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
ხე მაღალი, ხე ზურმუხტის ფერი..."

ახლა გიუმაჟი სხივი აკიაფდა გიშრისფერ თვალებში, ინტონაციაში იდუმალება ჩაიღვენთა, ბაგე ოდნავ შეარხია და თითქმის უხმოდ, მაგრამ მკაფიოდ ჩაგვესმა:

„რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
რა ჩურჩული! დამდაგველი, მწველი..."

თითქოს ბანგიდან გამოერკვაო, სიხარულის და აღტკინების ვნებათაღელვამ გვამცნო ლირიული გმირის სიამე და ნარნარი სულის რხევა:

„ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი..."

ყველანი ვდუმდით, მერე ცრემლმორეულებმა აღტაცებით დავუკარით ტაში. მედეა გაირინდა და გაბუტული ბავშვის სიჯიუტით მითხრა: „ესეც შენ!" ჩვენ ვიცინოდით და ვტკბებოდით არა მარტო მსახიობის ოსტატობით წაკითხული ლექსის გამო, არამედ გაოგნებულები ვიყავით: როგორ შესძლო მედეამ წამიერად დაეხატა, ეჩვენებინა, გადმოეცა, თავად ანას სულის თრთოლითა და ჟღურტულით, შეურყვნელი ყმაწვილქალის ვნებათაღელვითა და საკრალური გზნებით აღტკინებული გარინდება, შინაგანი აღმაფრენა და გასხივოსნებული სინაზე. და მაინც პოეტის კდემამოსილება შევიგრძენით იმ წუთებში.

***

მედეა რეპეტიციებზე აგვიანებდა, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ დიდი ჯალაბობის გაძღოლა თავად იტვირთა, შეუძლებელს შეჭიდებული გახლდათ, ხალხმრავალი ოჯახის პრობლემების გადაჭრით დილიდანვე იყო დაკავებული, მერე თეატრში გარბოდა. მეგობრები ანებივრებდნენ, ასე გვეგონა, რომ ოჯახის წევრები — ნაკლებად, რადგანაც თავად დააკანონა ასე — მას უნდა გაეღო ყველასათვის დრო, სითბო, სინაზე, ენერგია. გულისყურით უნდა მოესმინა დიდისა და პატარისათვის, რჩევა მიეცა, მოხმარებოდა, ენუგეშებინა... მედეა ამ დიდი ჯალაბობის ბურჯი იყო, უფრო ზუსტად — დედაბოძი. მერე და როგორი ნდომით, ვაჟკაცობით, უთქმელად, უსაყვედუროდ სწევდა ამ მძიმე ჭაპანს! შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, რძლებსა თუ სიძეებს თანაბრად უნაწილებდა გულის სითბოს...

მსახიობისათვის არაფერი შეეტოლება იმ სიხარულს, სიტკბოებას, ბედნიერებას, როცა ფეხზე ამდგარი მაყურებელი დაუსრულებელი ოვაციით გიხდის მადლობას განცდილი დღესასწაულისათვის! ადამიანისათვის არაფერი შეეტოლება იმ სიხარულს, სიტკბოებას, ბედნიერებას, როცა ოთხი თაობა ერთად იყრის თავს ერთი დედაბოძის ირგვლივ. ისინი ბევრნი არიან: რეჟისორები, მსახიობები, კომენტატორები, მხატვრები, მოცეკვავეები, მუსიკოსები... თავისუფლად შეეძლოთ ერთი საოჯახო თეატრის შექმნა!.. ახლა მათს შემოქმედებასა და მოღვაწეობაში გააგრძელებს სიცოცხლეს მედეა ჩახავა.

ამ დიდი ჯალაბობის დედაბოძი წამოიქცა! რუსთაველის თეატრს კიდევ ერთი ქომაგი გამოაკლდა! თემურს, მაკას, ივიკოს, მათს შვილებსა და შვილიშვილებს უშურველი და ულეველი ენერგიის მოამაგე, მათზე მოფიქრალი, მოსიყვარულე, ერთგულება დააკლდათ. . . მათი სიყვარულითა და თაყვანისცემით გარემოსილ მედეას, ამ დიდი ჯალაბობის სითბომ შეუმსუბუქა ის ტკივილი, დარტყმა, ჭრილობა ცხოვრების რთულ და ხანგრძლივ გზაზე რომ განიცადა. და მაინც...

და მაინც... ასე მგონია, ბედნიერი შემოქმედი, დედა, დიდედა მივაბარეთ დიდუბის წმინდა მიწას. არავითარი სამკაული, ფრთიანი გამოთქმა, ანდა ქება არ არის საჭირო, რადგანაც ჭეშმარიტად, ვალმოხდილ მანდილოსანს, ხელოვანს, ოჯახის დედაბოძს გამოეთხოვა უპირველესი ჭირისუფალი — რუსთაველის თეატრის სცენა, ოჯახი, კოლეგები, საზოგადოება.

ნათელში ამყოფოს მისი სული იმქვეყნად, ამქვეყნად კი მისი ხელოვნება და მონაგარი კიდევ დიდხანს გაუხანგრძლივებს სახელოვან სიცოცხლეს.



რედაქციისაგან: ბ-ნ გოგი დოლიძის წინამდებარე სტატია არსებითად გაგრძელებაა იმ საუბრისა, რომელიც ავტორმა აუცილებლად მიიჩნია ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე (იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება", № 3, 2009) ახალი ქართული ფილმოგრაფიული კატალოგის გამოცემასთან დაკავშირებით.

უნიბნუჰობის დღესასნაული

„დილეტანტი თავხედია. მან არ იცის სირთულე თავისი პროფესიისა"
ლილი იოსელიანი

იმდენად აღმაშფოთებელია ის თავხედობა და განუკითხაობა, რაც ახალი ქართული ფილმოგრაფიის სახით შემოგვთავაზა საკმაოდ პრეტენზიული სახელწოდების, როგორც ახლა იტყვიან ხოლმე, ისტებლიშმენტმა — საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა, რომ ახალი სტატიისათვის სხვა სათაური ვერც მომიძებნია, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც პერიოდულ პრესაში უკვე ზედიზედ გამოვაქვეყნე ორი საპროტესტო სტატია („ვინ დასცინის ჩვენს საზოგადოებას", გაზ. „რეზონანსი", 9. II. 2009 და „დიდი ავანტიურა ქართული კინოს ისტორიის თემაზე", გაზ. „24 საათი", 20. III. 2009), ხოლო როცა ვერავინ გამცა რაიმე სახის პასუხი, სარჩელი შევიტანე სასამართლოში. მანამდე კი, როგორც კანონმორჩილმა ადამიანმა, ოფიციალური წერილით (17.III.2009) მოვუბოდიშე კულტურის სამინისტროს ამ იძულებითი ნაბიჯის გამო, რაკი სწორედ სასამართლოს პრეროგატივაა უკვე დაბეჭდილ-გავრცელებული პროდუქციის მთელი ტირაჟის ამოღებისა და სახელმწიფოსგან გაღებული თანხის დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა.

ზემოხსენებული სტატიები მხოლოდ საგაზეთო პუბლიკაციები იყო და, ამდენად, ზოგადი განცხადებებით შემოვიფარგლე, ახლა კი მეძლევა საშუალება მკითხველს რამდენადმე მაინც განვუმარტო ამ აღშფოთების არა მთელი სიგრძე-სიგანე (ამას ჩვენი ძვირფასი ჟურნალის მთელი ნომერიც არ ეყოფოდა), არამედ ზოგიერთი ფრიად საგულისხმო და დამახასიათებელი გარემოება.

ფილმოგრაფია, კინოენციკლოპედია თუ კატალოგი, სტრუქტურული თვალსაზრისით, ჩვეულებრივი, ლექსიკონივით ანბანზე დალაგებული ცნობარია და მისი ხარისხი იმის მიხედვით განისაზღვრება, რამდენად სრულყოფილად და სწორად გვაწვდის ინფორმაციას ფილმზე (იგულისხმება: ფილმის თარიღი, მეტრაჟი, ფერი, ხმა, გადამღები ჯგუფის შემადგენლობა, ვინ რა ფუნქციას ასრულებს, რომელი მსახიობი ვის როლს თამაშობს და ა.შ.).

პირველი ქართული ფილმოგრაფია 1978 წელს გამოვიდა (ავტორ-შემდგენლები: გიორგი კოპაძე და ქეთევან ლორთქიფანიძე) და ისე დიდი იყო მასზე მოთხოვნილება, რომ უმალ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

რამდენად პასუხობს ასეთ მოთხოვნას ახალი ფილმოგრაფიული კატალოგი? მიუხედავად მშვენიერი დიზაინისა და ილუსტრაციებისა, ამთავითვე ხაზგასმით უნდა მიეთითოს, რომ იგი აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯია 30 წლის წინათ გამოცემულ ფილმოგრაფიასთან შედარებით და, არც მეტი, არც ნაკლები, შეურაცხყოფს ეროვნული სურნელით ესოდენ გამორჩეულ ქართულ კინოს, მის სახელოვან, უკვე საუკუნოვან ისტორიას, უამრავ მოღვაწესა და თაყვანისმცემელს. ასეთ კატეგორიულ ტონს იწვევს არა იმდენად 14 ავტორის, 5 კონსულტანტისა და რედაქტორ-მთარგმნელ-მეცენატ-გამომცემელთა მთელი გუნდის წარმოუდგენელი ა რ ა კ ვ ა ლ ი ფ ი ც ი უ რ ო ბ ა, რამდენადაც ა გ დ ე ბ უ ლ ი დამოკიდებულება, რომელსაც ისინი იჩენენ ტექსტის, ანუ, საბოლოოდ, მკითხველის მიმართ.

განსაკუთრებით უნდა მიენიშნოს ამთავითვე, რომ გამოცემა ორენოვანია (ქართულ-ინგლისური), ამასთან, მხატვრული ფილმების სათაურები რუსულადაცაა და ყოველივე ეს (ინგლისურ-რუსული ვარიანტი) ისევ და ისევ არაკვალიფიციურობის გამო, აშკარად ქმნის საერთაშორისო სკანდალის საშიშროებას — საკმარისია, ფილმოგრაფია ხელში ჩაუვარდ-

ეს ჩვენს რომელიმე უცხოელ კოლეგას, რომ საქვეყნოდ მოგვეჭრება თავი, ადვილი წარმოსადგენია როგორ გალაღდებიან ამით განსაკუთრებით რუსი კოლეგები...

გასაგები რომ გახდეს ასეთი კატეგორიული განცხადება, ამთავითვე უნდა ითქვას: სამწუხაროდ, გამოცემის ავტორებმა არც ქართული ენა იციან, არც ინგლისური და არც რუსული, რაც მთავარია, ისინი საერთოდ ვერ ერკვევიან, ერთი მხრივ, ქართული თუ მსოფლიო კინოს ისტორიისა, და, მეორე მხრივ, საგამომცემლო-პოლიგრაფიული საქმის ელემენტარულ საკითხებში. ძალიან მოკლედ რომ ითქვას, ეს უმეცრება უმთავრესად გამოიხატება შემდეგში:

1. ავტორებს იმის თავიც არა აქვთ, რომ ზუსტად მაინც გადმოიწერონ ძველი ფილმოგრაფია;

2. არსებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით თავად შეადგინონ ახალი ფილმოგრაფია ამა თუ იმ კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე;

3. შექმნან სრულყოფილი საძიებელი, რაც კოდია კატალოგში შესასვლელად და საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად.

თავდაპირველად სრულიად შეგნებულად წარმოვადგენ მხოლოდ თითო-თითო მაგალითს. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი კატალოგის გადმოწერა მოგვიწევდა:

1. პირველის მაგალითია ის მიუტევებელი შეცდომა, რომელიც არ ეპატიება ქართული კინოს ისტორიის საკითხებზე შექმნილ არც ერთ ნაშრომს — თურმე ჩვენი ეკრანის მარადიული ვარსკვლავის ნატო ვაჩნაძის (1904—1953) დებიუტი შედგა პირველსავე ქართულ მხატვრულ ფილმში („ქრისტინე", 1916), როცა მომავალი კინოვარსკვლავი მხოლოდ 12 წლის იყო და საერთოდ არა იცოდა რა კინოზე. ასეთი, ვიმეორებ, მიუტევებელი შეცდომა იმიტომ მოხდა, რომ, მართალია, „ქრისტინეს" აქტიორული შემადგენლობა გადმოწერილია ძველი ფილმოგრაფიიდან, მაგრამ ერთადერთი გვარი (ნიკო გვარაძე) ამოუვარდათ და მის მაგივრად ჩასვეს ნატო ვაჩნაძე, ანუ სხვა სიტყვებით, ვერც კი გადმოწერეს წესიერად, ამის თავიც არა აქვთ ახალი კატალოგის ავტორებს;

2. რაც შეეხება იმას, არსებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით თავად რომ არ ძალუძთ ახალი ფილმოგრაფიის შედგენა რომელიმე ნაწარმოებზე, ამის ნიმუშია, ვთქვათ, 181 გვერდზე განთავსებული ფილმოგრაფიული ინფორმაცია დოკუმენტურ ფილმზე, უფრო ზუსტად, სარეკლამო რგოლზე, რომელსაც ეწოდება „კოტე მარჯანიშვილი". ირკვევა, რომ თურმე ამ რგოლს ჰყოლია: სამი რეჟისორი, ორი მხატვარი, ერთიც კომპოზიტორი (მუნჯ კინოზეა საუბარი!) და ერთიც — დირიჟორი, რაც მტკნარი სიცრუეა. ამ ექვსწუთიანი სარეკლამო რგოლის ერთადერთი ავტორია ქართული კინოს ღვაწლმოსილი ოპერატორი — სერგეი ზაბოზლაევი. რაც შეეხება დასახელებულ რეჟისორებს, მხატვრებს, კომპოზიტორსა და დირიჟორს, ისინი კოტე მარჯანიშვილის უახლოესი თანამებრძოლები იყვნენ, ემზადებოდნენ უკრაინული გასტროლებისათვის და სწორედ ეს მზადების პროცესი გადაიღო, როგორც სიუჟეტი, კინოოპერატორმა სერგეი ზაბოზლაევმა ყოველგვარი რეჟისორების, მხატვრების, კომპოზიტორისა და დირიჟორის დახმარების გარეშე.

ერთი სიტყვით, გამოცემის ავტორები ბაიბურში არ არიან, თუ რას აკეთებენ და როგორ;

3. დაბოლოს, როგორ საძიებელს სთავაზობენ კატალოგის ავტორები მკითხველს?

ვთქვათ, გვაინტერესებს როგორაა აქ წარმოდგენილი ქართული რეალისტური სამსახიობო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი, მსახიობი, რომელსაც პირველს მიენიჭა (1922) საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება — ვასო (ვასილ) აბაშიძე (1854—1926). საძიებლის მიხედვით (გვ. 484) ირკვევა, რომ თურმე 1926 წელს გარდაცვლილი ვ. აბაშიძე (გვაპატიოს მისმა სულმა!) 1930 წელს გაცოცხლებულა, დაუწყია კინორეჟისორობა, ჯერ გადაუღია ახლახან ნახსენები 10-წუთიანი (?) ფილმი „კოტე მარჯანიშვილი", მერე კი (1932 წელს) მთელი ერთსაათიანი დოკუმენტური ფილმი „ქიმიური ომი" იმის შესახებ, თუ კ. ვოროშილოვი როგორ აწერს ხელს საერთაშორისო ხელშეკრულებას ბრძოლებში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების წინააღმდეგ და ა.შ.

თუ ეს სამი მაგალითი საკმარისი არაა იმის დასამტკიცებლად, რომ კატალოგის ავტორებს არც ძველი ფილმოგრაფიის გადმოწერის თავი აქვთ და არც ახლის შედგენისა, აღვიჭურვოთ მოთმინებით, გადავშალოთ მათი ნაცოდვილარი და ნებისმიერ გვერდზე ვნახავთ მსგავს „მარგალიტებს", მაგრამ ჯერ, ნუ გაგიკვირდებათ და, ორიოდე სიტყვა უფრო გარკვევით იმ საერთაშორისო სკანდალზე, რომელიც პრაქტიკულად გარდუვალია — რა გარანტიაა, რომ ვინმე არაკეთილმოსურნემ ეს კატალოგი, რომელიც ორ ენაზე დაჟინებით ამტკიცებს, ქართველებმა ხმოვანი ფილმების გადაღება 1922 წელს დავიწყეთო, „გოსფილმოფონდს" ან სხვა რომელიმე უცხოურ კინოსამეცნიერო ცენტრს არ გაუგზავნოს, თუნდაც კანის საერთაშორისო ფესტივალის დირექციას, აი, ნახეთ, რა გამოსცეს ქართველებმაო?!

რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდა თავში იმის მტკიცება, რომ თურმე საქართველოში ხმოვანი ფილმების გადაღება ამერიკელებსა და რუსებზე ადრე დაგვიწყია, რომ მუნჯი პერიოდი პრაქტიკულად არც გაგვივლია და ისე გადავსულვართ ხმოვანზე?!

საქმე ის გახლავთ, რომ პირველი ხმოვანი ფილმები ამერიკელებმა გადაიღეს 1926-27

წლებში — 1926 წელს მხოლოდ მუსიკალური ფილმის შექმნა შესძლეს, უფრო სწორად, მიაღწიეს იმას, რომ, როგორც კინემატოგრაფისტები ამბობენ, გამოსახულებას მუსიკა დაადეს, ანუ უფრო მწიგნობრულად თუ ვიტყვით, შეუფარდეს (იგულისხმება მუსიკალური ფილმი „დონ ჟუანი"), 1927 წელს კი უკვე დიალოგით, ხმით (ხმაურებით) და მუსიკით გამოუშვეს ფილმი „ჯაზის მომღერალი" (ორივეს რეჟისორი იყო ა. კროსლენდი).

პირველი საბჭოთა ხმოვანი ფილმია ნიკოლაი ეკის „ცხოვრების საგზური" (1931), ხოლო პირველი ქართული ხმოვანი ფილმი — ლეო ესაკიას „შაქირი" (1932), ისიც ლენინგრადში გახმოვანებული.

ყოველივე ამის ფონზე, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ კატალოგის ავტორები, მე-10 გვერდიდან მოყოლებული, მთელ მომდევნო 60 გვერდზე დაბეჯითებით გვარწმუნებენ ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომ საქართველოში, თურმე, 1922 წლიდან 1931 წლის ჩათვლით ხმოვან ფილმებს იღებდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის 55 მხატვრული ფილმი, რომლებიც ამ წლებში შეიქმნა, ხმოვანი ყოფილა, მათ შორის ნატო ვაჩნაძის პირველი კინოსურათებიც („მამის მკვლელი", „არსენა ყაჩაღი", „სამი სიცოცხლე") თუ ისეთი შედევრები, როგორიცაა: „ელისო", „ჯანყი გურიაში", „ჯიმ შვანთე" და „ჩემი ბებია". ამ აბსურდს პარადოქსული კულმინაცია აქვს — როგორც კი 71-ე გვერდზე მთავრდება ეს მარათონული დაჟინება, მომდევნო 72-ე გვერდზე კინოფილმ „შაქირს" (1932) უტიფრად აწერია ქართულ-ინგლისურ ენებზე, რომ ეს არის პირველი ქართული ხმოვანი ფილმი! რა ჰქვია ახლა ყოველივე ამას, ვინ აგებს პასუხს ამ მკრეხელობაზე, რომელიც თავისი არსით ნამდვილი პროვინციალიზმია?!

სწორედ ამგვარი პროვინციალიზმის გამოვლინებაა ისიც, რომ შესანიშნავ ქართულ ფილმს „მაგდანას ლურჯას", რომლითაც იწყება ჩვენი ეროვნული კინემატოგრაფის რეალური აღმავლობა გასული საუკუნის 50-იან წლებში, ისეთ პრემიას მივაწერთ, რომელიც არ მიუღია. კატალოგის ავტორები გვიმტკიცებენ, თითქოს „მაგდანას ლურჯას" კანის IX საერთაშორისო კინოფესტივალზე 1956 წელს მიენიჭა ამ უაღრესად პრესტიჟული ფესტივალის მთავარი პრიზი — „ოქროს პალმის რტო". ეს არის ტყუილი — დღემდე საქართველოში გადაღებულ არც ერთ ფილმს ასეთი პატივი წილად არ ხვდომია, აღნიშნულ ფესტივალზე „მაგდანას ლურჯამ" დაიმსახურა მხოლოდ პირველი პრემია მოკლემეტრაჟიან ფილმების კონკურსში, მთავარი პრემია კი აქ მიენიჭა ფრანგი რეჟისორის ალბერ ლამორისის ფილმს „წითელი ბუშტი", რაც შეეხება „ოქროს პალმის რტოს", იგი გადაეცა ფრანგულ სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს „მდუმარების სამყაროში" (რეჟისორები ჟაკ-ივ კუსტო და ლუი მალი).

ამაზე რომ გავწითლდებით კანის ფესტივალის დირექციის წინაშე და ხმას ვერ ამოვიღებთ, გასაგებია, მაგრამ მერე სად გავიქცევით, როცა ამ დათარსულ 113-ე გვერდს გადაგვიშლიან და გვეტყვიან, ნუთუ ისიც არ იცით, ქ. კანი როგორ იწერებაო (წერია „kan", უნდა იყოს „Cannes"). საინტერესოა, ამაზე რა პასუხს გაგვცემენ ჩვენი ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელები ყოველ „უიკენდზე" კანში რომ გარბიან და ამ ქალაქის „სპელინგიც" არ სცოდნიათ?!

ბარემ ამ გვერდის სხვა „მარგალიტებსაც" გავეცნოთ: ქართულად წერია — კანის IX ფესტივალი, ინგლისურად — XI ფესტივალი. რომელი ირწმუნოს მკითხველმა? ასევე: ქართულად წერია — ფილმი „მაგდანას ლურჯა" შავ-თეთრიაო, ინგლისურად — ფერადიო. ქართულად: ფილმი 67-წუთიანიაო, ინგლისურად: 70-ანიო. როგორ მოგწონთ?

ისიც კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ ამგვარი სახის გამოცემაში, ანუ ფილმოგრაფიულ კატალოგში არ შეიძლება ერთმანეთში იყოს არეული — ნუცა ჩხეიძე და ნინო ჩხეიძე. მკითხველი იმიტომ მიმართავს კატალოგს, რომ სწორედ ასეთ საკითხებსა თუ ნიუანსებზე მიიღოს უტყუარი ინფორმაცია და, თუ გავაწბილებთ, რაღა გამოდის?!

და კიდევ ერთიც: რუსმა კინომცოდნეებმა რომ გაიგონ საქართველოში თ. დოსტოევსკის რომანი „დანაშაული და სასჯელი" გადაუღიათ 1926 წელს, თანაც ხმოვანიო, ჯერ ხომ დაიბოღმებიან, როგორ, ჩვენ, რევოლუციამდელ (1910—1915) სამ უსუსურ ვარიანტს თუ არ ჩავთვლით, 1970 წლამდე ვერ შევძელით მისი ეკრანიზებაო, და მერე, როცა კონკრეტულ ფილმს მოითხოვენ და ნახავენ, რომ ეს არის „წითელი ეშმაკუნების" ყოვლად უსახური გაგრძელების ერთ-ერთი ნიმუში („შირვანსკაიას დანაშაული"), ე, მაშინ ნახეთ პასკვილების რა სერიალი შეიქმნება ამ ჩვენი კინოცენტრის მიერ ნაცოდვილარ კატალოგზე, მე შენ გეტყვი და, საქირქილო მასალა შემოაკლდებათ რომელ ენაზეც გინდათ.

ცხადია, ეს ზოგადად ითქვა, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით, ახლა კი თავიდან მივყვეთ — ჯერ თავფურცელს გავეცნოთ, შემდეგ ორგვერდიან შესავალს და ა.შ.

ცხადია, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავხედოთ გამოცემის თავფურცელს, საიდანაც იწყება, სამწუხაროდ, შეცდომათა მთელი კასკადი:

ქ ა რ თ უ ლ ი ფ ი ლ მ ი

(ანოტირებული და ილუსტრირებული ფილმების კატალოგი)

1 9 0 8 — 2 0 0 8

როგორც ვხედავთ, აქ სიტყვა „ფ ი ლ მ ებ ი ს" არათუ უბრალოდ ზედმეტია, არამედ უზუს-

ტობისაკენ მიგვაქანებს — ანოტირებული და ილუსტრირებულია კატალოგი და არა ფილმები.

შეცდომათა კასკადი გრძელდება თავფურცლის მეორე გვერდზეც, სადაც მხოლოდ გვარებია ჩამოთვლილი, მაგრამ მაინც უამრავი უზუსტობაა: წერია — ზ. ხინწკირია, უნდა იყოს — ხინტკირია, ასევე: ქ. ქადაგიძე (სადაგიშვილი), „კონსულტატები" („კონსულტანტები"), მთარგმნელად ქართულ ენაზე წერია — ქ. ჩიგოგიძე, ინგლისურად — ქ. ქადაგიძე და ა. შ. რაც შეეხება ორგვერდიან შესავალ წერილს (გვ. 3-4), იგი ისეთი იშვიათი ნიმუშია სრული უწიგნურობისა, რომ მასზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ და ამით არსებითად შეიძლება დავამთავროთ კიდეც საუბარი ამ ვაი-ფილმოგრაფიაზე.

მაშ ასე, გვ. 3—4 უკავია უსათაურო და უავტორო წერილს, რომელსაც წინასიტყვაობის ფუნქცია აკისრია. განვიხილოთ მისი მხოლოდ პირველი გვერდი და ამავე დროს დავსვათ კითხვა — რამდენი ე.წ. კორექტურა თუ სხვადასხვა სახის ფაქტობრივი შეცდომა შეიძლება აიტანოს ერთმა საცოდავმა გვერდმა, რაოდენ დიდი ფორმატისაც არ უნდა იყოს?

„გრიობოედოვის" (მესამე სტრიქონი, უნდა იყოს: „გრიბოედოვის").

„სტაციონალური" (სტ. 5, „სტაციონარული").

„ივანიცკაის" (სტ. 6, „ივანიცკაიას").

„ქრთული" (სტ. 11, „ქართული").

„წარმოეიბის" (იქვე, „წარმოების").

„გუნაბის" (სტ. 13, „გუნიბი").

„1812 წელს" (სტ. 16, „1912 წელს").

„უპრეცენდეტო" (სტ. 17, „უპრეცედენტო").

„ნინოშილის" (სტ. 21, "ნინოშვილის").

„ხლემნძღვანელმა" (სტ, 23, „ხელმძღვანელმა").

„მიხეილ ბარსკი" (სტ. 25, „ვლადიმერ ბარსკი").

„მხატვარი სიმოვი" (სტ. 26, „მხატვარი ვ. ა. სიმოვი").

„საქრთველოს" (სტ. 27, "საქართველოს").

„დამუკიდებლობის" (იქვე, „დამოუკიდებლობის").

„კინომოღვაწეებმა... თავისი შემოქმედების" (სტ. 30, „კინომოღვაწეებმა... თავიანთი შემოქმედების").

„პროფესიონალური" (სტ. 31, „პროფესიული").

„ვასო აბაშიძე" (სტ. 46, „ვასო არაბიძე").

„173... ფილმები" (სტ. 51, „173... ფილმი").

„კინოგათლების" (სტ. 53, „კინოგანათლების").

„სკოლა სტუდია" (სტ. 54, „სკოლა-სტუდია").

რაც შეეხება პუნქტუაციას, აქ სრული განუკითხაობაა, იმდენად, რომ მთელი აბზაცი კი (სტ. 55) მთავრდება სასვენი ნიშნის გარეშე.

ახლა სხვა სახის შეცდომები:

* როცა საუბარია ქართული კინოს პიონერების (ვ. ამაშუკელი და ალ. დიღმელოვი) პირველ ფილმებზე (მესამე აბზაცი), დასახელებულია 5 ფილმი და ხუთივე ვ. ამაშუკელისა. ასე რომ, ეს არაა „მათ მიერ", ანუ ვ. ამაშუკელისა და ალ. დიღმელოვის მიერ, გადაღებული ფილმები.

* აბზ. 4. კინოფილმი „აკაკის მოგზაურობა" არის არა მხოლოდ „ვ. ამაშუკელის პირველი სრულმეტრაჟიანი ქართული ფილმი", არამედ საერთოდ „პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმი" და, რაც მთავარია, აქვე უნდა მიეთითოს, რომ იგი დოკუმენტურია. ამდენად, სწორი ფორმულირებაა: „აკაკის მოგზაურობა" არის პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი".

* იქვე, „აკაკის მოგზაურობა" მართლაც უპრეცედენტო მოვლენა იყო, მაგრამ არა საერთოდ მსოფლიო კინოს ისტორიაში, არამედ, ამის ხაზგასმა აუცილებელია, იმდროინდელ მსოფლიო დოკუმენტურ კინოში.

* მომდევნო აბზაცი. აქაც განმეორებულია წინა აბზაცის არასწორი და არასრული ფორმულირება, კერძოდ, ალ. წუწუნავას „ქრისტინე" მოხსენიებულია, როგორც პირველი სრულმეტრაჟიანი ქართული ფილმი, არადა, ორ მომდევნო აბზაცში ჯერ ერთი ფილმია („აკაკის მოგზაურობა") დასახელებული პირველ ქართულ სრულმეტრაჟიან ფილმად და მერე მეორე („ქრისტინე"), ბუნებრივია, ეს იწვევს გაუგებრობას. ამიტომაც აქაც ზუსტად ისეთივე კორექტირებაა საჭირო, როგორც წინა აბზაცში, კერძოდ, რომ „ქრისტინე" არის პირველი სრულმეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმი.

* მომდევნო აბზაცში ნათქვამია, რომ თითქოს 1918 წელს წარმატებით მოღვაწეობდა კინორეჟისორი ვლადიმერ ბარსკი. ეს არის ნამეტანი „მოკლეფეხებიანი" ტყუილი, თორემ ამ „წარმატების" ერთ-ერთ ნიმუშს მაინც შეიტანდნენ კატალოგში მისი ავტორები.

* ასეთივე „მოკლეფეხებიანი" ტყუილია მომდევნო აბზაცში, რომ თითქოს 1918—1921 წწ. მ რ ა ვ ა ლ ი საინტერესო მხატვრული და დოკუმენტური ფილმი შეიქმნა... სხვა თუ არაფერი, მაშინ ერთი ფილმი მაინც იქნებოდა წარმოდგენილი ფილმოგრაფიაში. რაც შეეხება დოკუმენტურ კინოს, ფილმი არც შექმნილა, მხოლოდ ოთხი საინფორმაციო სიუჟეტი იქნა გადაღებული.

* მამალ ტყუილს რომ ეძახიან, სწორედ ისეთია იმის მტკიცება, რომ თურმე 20-იან წლებში მომხდარა ვაჟა-ფშაველას ეკრანიზაცია (აბზ. 9) თუ ეს ასეა, მაშინ კიდევ ერთხელ ვიკითხოთ, რატომ არ შეიტანეს ეს ფილმი კატალოგში?

* ამავე აბზაცში საუბარია ფილმებზე, რომლებშიც თურმე დაცულია „ეროვნული ფასეულობანი" და „მარადიული, ჭეშმარიტი ღი-

რებულებანი" და „ამის ნათელ მაგალითად" წინასიტყვაობის ინკოგნიტო ავტორს მიაჩნია კინოფილმი „სურამის ციხე" თუ „მოძღვარი" და ა.შ. კატეგორიული მოთხოვნაა: ამ სტრიქონების ავტორმა აგვიხსნას, რა ეროვნული ფასეულობანი და მარადიული ჭეშმარიტი ღირებულებანი დაინახა აქ ნაგულისხმევ ფილმებში — ასეთი რამ უცნობია კინომცოდნეობისათვის და უსათუოდ საინტერესო იქნება.

* იმ ფილმებს შორის, რომლებშიც თურმე დაცულია ეროვნული ფასეულობანი და ა.შ. ნახსენებიც არ არის ნინო ნაკაშიძისა და დავით კლდიაშვილის ნაწარმოების მიხედვით გადაღებული იმ დროის უმნიშვნელოვანესი ფილმები („ვინ არის დამნაშავე" და „სამანიშვილის დედინაცვალი"). რატომ?

* მომდევნო აბზაცში ვკითხულობთ, თითქოს 20-იანი წლების მეორე ნახევარში მიხეილ ჭიაურელთან თუ ნიკოლოზ შენგელაიასთან ერთად კინორეჟისურაში მოვიდა ნიკოლოზ სანიშვილიც, მაშინ როცა ამ უკანასკნელის კინოსარეჟისორო დებიუტი შედგა 1932 წელს.

* ბოლოდან მე-5 აბზაცში ნათქვამია, რომ 1928 წლისათვის „სახკინმრეწვს" გადაღებული ჰქონდა 173 მხატვრული და ქრონიკალური ფილმი, რაც არასწორი, ერთობ გაზვიადებული ინფორმაციაა. ამდენად, ფილმოგრაფიის ავტორებს ახლა მაინც უნდა მოვთხოვოთ თავად გადაამოწმონ ეს რიცხვი.

*გაზვიადება და გადაჭარბება სამი სტრიქონის შემდეგ უნდა ნახოთ, როცა ნათქვამია, რომ თითქოს 30-იანი წლები მთლიანად წარმატებული გამოდგაო, მაგრამ ამ ათწლეულში გადაღებული 30 მხატვრული და 150 დოკუმენტური ფილმიდან მხოლოდ ორი მათგანის („ჯიმ შვანთე!" და „დაკარგული სამოთხე") დასახელება შესძლეს.

* 20-იანი წლების ბოლო პერიოდისა და მთლიანად 30-იანი წლების საუკეთესო ფილმებს შორის ისეა დასახელებული სამად სამი ფილმი („ჩემი ბებია", „ჯიმ შვანთე", „დაკარგული სამოთხე"), რომ ტრადიციული საიმედო შეპირებაც კი („და სხვა.") არ მოსდევს, რითაც იგნორირებულია ბარე სამი შედევრი („ელისო", „ჯანყი გურიაში", „არსენა").

*საძიებელში არ არიან ჩვენი სახელოვანი მწერლები: ვაჟა-ფშაველა, დანიელ ჭონქაძე, გიორგი წერეთელი...

ასეთია შენიშვნები წინასიტყვაობის მხოლოდ პირველი გვერდის მიმართ და, ამდენად, სულაც აღარ უნდა იყოს საჭირო მეორე გვერდის განხილვაც.

* * *

კატალოგის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ისიცაა, რომ აქ არსად, არც მხატვრულ, არც დოკუმენტურ თუ სატელევიზიო ფილმებს არა აქვთ მითითებული მეტრაჟი. არადა, ფილმი, როგორც კინემატოგრაფიული ერთეული, იზომება მეტრაჟით, ჯერ იწერება რამდენი ნაწილია (თითო ნაწილში 286—300 მეტრია და არც ერთი მეტრი მეტი), შემდეგ კი — რამდენი მეტრი. ეს ძირეული პრინციპი კინემატოგრაფიული ნაწარმოების სიგრძის გაზომვისა (სწორედ აქედან მოდის ტერმინები „მოკლემეტრაჟიანი ფილმი", ანუ ფილმი, რომელიც არ აღემატება 4-5 ნაწილს, თუ „სრულმეტრაჟიანი ფილმი"), წინამდებარე კატალოგში სრულიად იგნორირებულია და ხანგრძლივობა არის მითითებული წუთებში.

საინტერესოა, მაინც რომელი ფილმის ხანგრძლივობა გადაზომეს ფილმოგრაფიის ავტორებმა წამზომით ხელში? ეს კი არა, იმის თავიც არა აქვთ, რომ ერთსა და იმავე გვერდზე ერთსა და იმავე ფილმს ერთი და იგივე ხანგრძლივობა მაინც მიაწერონ.

თავად განსაჯეთ:

გვ. 23. კინოფილმი „კაზაკები": ქართულად წერია, რომ მისი ხანგრძლივობა 50 წუთია, ინგლისურად — 60.

გვ. 85. „ნარინჯის ველი": აქ თანაფარდობა ასეთია: 100 — 90.

გვ. 87. „დიადი განთიადი": 110 — 120.

გვ. 101. „ჯურღაის ფარი": 80 — 70.

გვ. 113. „მაგდანას ლურჯა": 67 — 70.

გვ. 121. „ორი ოკეანის საიდუმლოება": 70 — 90.

გვ. 132. „ორი ოჯახი": 90 — 80.

გვ. 150. „ჭიაკოკონა": 90 — 92.

გვ. 154. „ერთი ცის ქვეშ": 80 — 90.

ამ უცნაური „ამპლიტუდის" ნამდვილი რეკორდსმენია „თხუნელა" (გვ. 158): 10010.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ფილმზე „რობინზონ კრუზო", რომლის ორი ვარიანტი შეიქმნა 1947 წელს თბილისის კინოსტუდიაში — სტერეოსკოპიული (კატალოგში წერია — „სტერეესკოპული", გვ. 106) და ჩვეულებრივი. კატალოგის ავტორები გვარწმუნებენ, რომ თითქოს ორივე ვარიანტი მხოლოდ 20—20 წუთიანია, სინამდვილეში პირველი (სტერეოსკოპიული) — 78 წუთია, მეორე კი (ჩვეულებრივი) — 72.

ახლა სხვა სახის შეცდომებზე:

* ლადო მესხიშვილი (1857—1920) — ლეგენდარული ქართველი მსახიობი — ასევე (კვლავ პატიებას ვითხოვთ!) გაცოცხლებულა ამ საძიებლის თანახმად (გვ. 500) და 1946—48 წლებში თურმე ბაკურიანის თოვლიან ფერდობებზე დასრიალებდა თხილამურებით.

თურმე (გვ. 485) ერთი და იგივე პიროვნება ყოფილა:

1. ქეთო ანდრონიკაშვილი (1862—1941) — ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ცნობილი მსახიობი ქართული სცენისა.

2. კირა გიორგის ასული ანდრონიკაშვილი (1908—1960) — კინოფილმ „ელისოს" მთავარი

როლის შემსრულებელი, ნატო ვაჩნაძის უმცროსი და.

3. კირა ალექსანდრეს ასული ანდრონიკაშვილი — ჩვენი მშვენიერი თანამედროვე მსახიობი, რომელიც გადაღებულია მრავალ ქართულ ფილმში („ერთი ცის ქვეშ", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მთვარის მოტაცება" და სხვა).

* თურმე (გვ. 498) ჩვენ სახელოვან რეჟისორს, ბ-ნ გიგა ლორთქიფანიძეს 1936 წელს, როცა მხოლოდ 8 წლის იყო, ბათუმში მიუღია აღლუმი... ფილიპე მახარაძესთან ერთად!

* თურმე (გვ. 499) ქართული კინოს ერთ-ერთი პოპულარული მსახიობი, ქალბატონი ლიანა ასათიანი ყოფილა კინოფილმ „აკაკის აკვანის" სცენარის ავტორი.

* თურმე (გვ. 499) კონსტანტინე პიპინაშვილის ფილმში „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე..." აკაკი წერეთლის როლს ასრულებს... ნონა მაღალაშვილი! (Тоже мне Сара Бернар!).

* თურმე (გვ. 498) კინოფილმ „თხუნელას" კომპოზიტორი ყოფილა არა სულხან ცინცაძე, არამედ ხმის ოპერატორი დავით ლომიძე (გვ. 158).

* თურმე (გვ. 509) კინოფილმში „ნათელა" სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე დადიანის როლს თამაშობს გამოჩენილი ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი (1863—1948) — სინამდვილეში ამ როლს ასრულებს არაპროფესიონალი მსახიობი, ქალბატონი ელენე მაჩაბელი, ცნობილი მოღვაწისა და მთარგმნელის ვანო მაჩაბლის ქალიშვილი.

* ზუსტად ასეთივე შეცდომაა (გვ. 510) სახელოვანი ქართველი მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის, ნუცა ჩხეიძის (1881—1963) მოხსენიება კინოფილმში „უგუბზიარა" — იქაც არაპროფესიონალი მსახიობი — ნინო ჩიხლაძე თამაშობს.

* ბარემ აქვე აღვნიშნოთ, რომ ერთმანეთშია არეული (გვ. 509 —510):

1.ახლახან ხსენებული ქ-ნი ნუცა ჩხეიძე;

2.ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძე (1917—1986) — ცნობილი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, შესანიშნავი ქართველი რეჟისორის თემურ ჩხეიძის მამა;

3.ნინო ჩხეიძე — ჩვენი თანამედროვე, საქართველოს სახალხო არტისტი, დღევანდელი კ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, ლეგენდარული უშანგი ჩხეიძის და.

* თურმე (გვ. 511) რეზო ჩხეიძის ფილმი „ზღვის ბილიკი" დაიდგა ცნობილი ქართველი მწერლის რეზო ჭეიშვილის მოთხრობის „ზღვის ლომის" მიხედვით (გვ. 157), — სინამდვილეში ამ მოთხრობის ავტორია იუზა ყაჭეიშვილი.

* თურმე (გვ. 505) სცენარისტი ნანა მჭედლიძის ფილმისა „გზაში" ყოფილა ვინმე ანზორ სულაქველიძე (გვ. 173 — ასეთი პიროვნება უცნობია ქართული კინოსათვის). სინამდვილეში აქ უნდა იყოს ცნობილი პოეტი და სცენარისტი ანზორ სალუქვაძე.

* თურმე (გვ. 510) აკადემიკოსი გ. წერეთელი (კონსულტანტი კინოფილმისა „მამლუქი") შეიძლება გაიგივდეს კინოფილმ „დიადი განთიადის" ერთ-ერთ გმირთან მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელის გვარია — წერეთელი (გვ. 87 — იგულისხმება მენშევიკი წერეთელი, რომლის როლს მიხეილ ჭიაურელის ამ ფილმში ასრულებს ცნობილი ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი საღარაძე).

* თურმე (გვ. 551) ბატონ ვახტანგ ტაბლიაშვილს აღუდგენია პირველი ქართული კომედია — ალ. წუწუნავას „ხანუმა" (გვ. 29). — სინამდვილეში იგი აღადგინა თქვენმა მონა-მორჩილმა.

* არც შალვა მარტაშვილს (გვ. 46) აღუდგენია „ქალი ბაზრობიდან" — ესეც გოგი დოლიძის დამსახურებაა.

* თემატური სისრულისათვის აქვე უნდა ითქვას, რომ გოგი დოლიძის მიერ არის აღდგენილ-ახმოვანებული, თუმცა არსად არაა ამის თაობაზე ნათქვამი, შემდეგი ფილმებიც: „თავადის ასული მერი", „ნათელა", „ბელა", „ორი მონადირე", „ამოკი", „მაქსიმ მაქსიმიჩი", „ჰოლტზე", „კრაზანა", „საბა", „კომუნარის ჩიბუხი", „უგუბზიარა" (სხვათა შორის, ქართულ და აფხაზურ ენებზე), „ნამდვილი კავკასიელი" და „პირველი დღე".

თხუთმეტი აღდგენილი ფილმი რომ შეგაქვს ფილმოგრაფიაში და ერთხელაც არ მიუთითებ, ვინ არის მათი აღდგენის სცენარის ავტორი და რეჟისორი, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

* თურმე (გვ. 493) ერთი და იგივე პიროვნება ყოფილა თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი და რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ალექსანდრე თაყაიშვილი (1895—1958) და ჩვენი თანამედროვე, სამწუხაროდ აწ გარდაცვლილი ნიჭიერი მწერალი არლი თაყაიშვილი (1931—1972) — თანასცენარისტი ფილმისა „თოჯინები იცინიან".

* თურმე (გვ. 494) ოთარ იოსელიანის ფილმის „აპრილის" სცენარის ავტორი ყოფილა ოტია იოსელიანიც, ერლომ ახვლედიანიც და თავად ოთარ იოსელიანიც (გვ. 161). კატეგორიულად უნდა ითქვას, ბატონ ოტია იოსელიანს „აპრილის" სცენარი არ დაუწერია.

* ამ ორი შესანიშნავი მოღვაწის სახელისა და გვარის არევასთან დაკავშირებით იმასაც შეგახსენებთ, რომ თურმე ნანა მჭედლიძის „ჩქარი მატარებლის" სცენარის ავტორი ოთარ იოსელიანი ყოფილა (გვ. 147). ცხადია, უნდა იყოს — ოტია იოსელიანი.

* თურმე (გვ. 490) ცნობილ ქართველ კინოოპერატორს, ქართული კინოს ერთ-ერთ ფუძემდებელს, ალექსანდრე დიღმელოვს (1884—1958), როგორც რეჟისორს 1941 წელს დაუდგამს ფილმი „ქალიშვილი გაღმიდან"

— სინამდვილეში ამ ფილმის დამდგმელი რეჟისორია ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ბატონი ლეო ესაკია (1899 — 1969).

* თურმე (გვ. 485) ცნობილი ქართველი მსახიობი ვასო არაბიძე მხატვარია მერაბ კოკოჩაშვილის ფილმისა „არდადეგები" — სხვა თუ არაფერი, 1962 წლისათვის, როცა ეს ფილმი გამოვიდა, ბატონი ვასო არაბიძე უკვე 11 წლის გარდაცვლილი იყო.

* საძიებელში (გვ. 504) ერთმანეთს მოსდევს ორი გვარი: თამარ სეფერთელიძე და თინა სეფერთელაძე. სინამდვილეში ეს ერთი და იგივე პიროვნებაა — ჩვენი თანამედროვე მსახიობი, მშვენიერი ქალბატონი, თინა სეფერთელაძე, რაც შეეხება პირველ გვარსა და სახელს, ასეთი პიროვნება უცნობია ქართული კინოს ისტორიისათვის.

* იგივე ითქმის კომპოზიტორ ი. გოკიელზე (გვ. 489) — ი. გოკიელი და ვ. გოკიელი ერთი და იგივე პიროვნებაა.

* ასევე ერთი და იგივე პიროვნებაა: ფ. გეგელე, ფ. გეგელიძე და ფერდინანდ გეგელე (გვ 486).

* კინორეჟისორ კონსტანტინე პიპინაშვილის გვარი საძიებელში (გვ. 502) ორჯერაა წარმოდგენილი.

* დიდი არეულობაა კინოფილმ „ქაჯეთის" ფილმოგრაფიაში: სწორია ნესტანისა და ტარიელის როლების შემსრულებელთა გვარები (თამარ ციციშვილი და კოხტა ყარალაშვილი), შემდეგ კი ნათქვამია: შ. ხოფერია (ავთანდილი), ს. კანდელაკი (ფრიდონი). საქმე ისაა, რომ ავთანდილის როლს ასრულებს ბატონი ნიკოლოზ (კოკი) დადიანი, ფრიდონისას — შ. ხოფერია და არა სანდრო კანდელაკი (ცნობილი მოჭიდავე). ეს უკანასკნელი, ასე ვთქვათ, ქაჯების მეთაურს თამაშობს.

* „წითელი ეშმაკუნები" გადაღებული ყოფილა პ. ბლიახინის ამავე სახელწოდების მიხედვით, მაგრამ კერძოდ რის მიხედვით, მოთხრობის, რომანის და ა.შ., ეს არაა ნათქვამი.

* იგივე კონსტრუქციაა სხვაგანაც — „გაზაფხული საკენში" გადაღებულია გ. გულიას ამავე სახელწოდების მიხედვითო და ა.შ.

* „სხვისი შვილების" მხატვარია არა თენგიზ, არამედ გიგო გიგაური.

* „უგუბზიარაში" თამაშობს არა ვინმე ვიქტორ გამრეკელი, არამედ ქართული სცენის ცნობილი მსახიობი — ვიქტორ გამყრელიძე, რომელსაც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ საგანგებო წერილიც კი მიუძღვნა.

* „აკაკის აკვანში" მთავარ როლს ასრულებს არა ოთარ ჩიტაია, არამედ ჩვენი თანამედროვე, ნიჭიერი ჟურნალისტი და მომღერალი — ომარ ჩიტაია.

* „რობიზონ კრუზო" აღდგენილია 1968 წელს და არა 1948 წელს — წინა (1947) წელს გადაღებულ ფილმს რა აღდგენა დასჭირდებოდა?!

* „ხანუმა" აღდგენილია არა 1972, არამედ 1982 წელს. აღდგენის ავტორი (გ. დოლიძე) არა აქვს მიწერილი.

*„ქეთო და კოტეს" საფუძვლად დაედო არა მხოლოდ ა. ცაგარლის (ტექსტში შეცდომითაა — „ცაგარელის") კომედია „ხანუმა", არამედ, როგორც ფილმის ტიტრებშია, ვიქტორ დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტეც".

„ქეთო და კოტეს" შემოქმედებით ჯგუფში ნახსენებიც არაა კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე, რომელმაც უდიდესი შრომა გასწია ამ ფილმზე. იგი მხოლოდ მუსიკალური რედაქტორი კი არაა ფილმისა, არამედ როგორც კომპოზიტორმაც მრავალი რამ შესძინა ფილმს. სხვა თუ არაფერი, უკვდავი მუხამბაზი „გინდ მეძინოს" სწორედ მისი შემოქმედებაა.

აქვე უნდა ითქვას რომ ფილმის კომპოზიტორად, არც მეტი, არც ნაკლები, გამოცხადებულია... მხატვარი ევგენი მაჭავარიანი, რომელიც თავის მხრივ მხატვარია ფილმებისა: „ჯურღაის ფარი", „აბეზარა" და ა. შ.

* „ორი ოკეანის საიდუმლოება". აქ მითითებულია რომ დამასკოს III საერთაშორისო კინოფესტივალი ჩატარდა 1958 წელს, მაგრამ ხუთი გვერდის შემდეგ (გვ. 121), ვკითხულობთ, 1956 წელსო.

აქვე ნათქვამია, რომ 1956 წელს ჩატარდა ვენეციის XVII საერთაშორისო კინოფესტივალი. რამდენიმე გვერდის შემდეგ კი წერია, რომ იმავე — 1956 წელს ყოფილა ვენეციის X ფესტივალიც (გვ. 121), ერთი გვერდიც და ვკითხულობთ (გვ. 123), რომ X ფესტივალი ჩატარდა 1958 წელსო. ბოლოს და ბოლოს რომელ წელს ჩატარდა ვენეციის X ფესტივალი და მეორეც, ნუთუ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ვენეციის რიგით X და XVII ფესტივალები ერთდროულად გაიმართა?!

* გამოჩენილი მსახიობი და რეჟისორი, სტალინის როლის ცნობილი შემსრულებელი — მიხეილ გელოვანი (1893 — 1956) გამოყვანილია ვახტანგ ჭაბუკიანის თანასცენარისტად კინოფილმზე „ოტელო". ბატონი მ. გელოვანი რომ ამ დროისათვის 4 წლის გარდაცვლილი იყო, ეს ბევრს არაფერს ცვლის, ხომ შეიძლებოდა სცენარი ადრე ჰქონოდა დაწერილი, მაგრამ საქმე ის არის, რომ სინამდვილეში აქ უნდა იყოს ქალბატონი ირინა გელოვანი, რომელიც ვ. ჭაბუკიანის თანასცენარისტი იყო წინა ფილმზეც („ქართული ბალეტის ოსტატები", 1955) მუშაობისას.

* დოკუმენტური ფილმის „მათი სამეფო" (1927) ავტორია კინორეჟისორი ნუცა ღოღობერიძე და არა ვინმე ნ. გოგობერიძე — ასეთი გვარი საერთოდ არ არსებობს.

* ნიკოლოზ სანიშვილის საძიებელი იწყება 1948 წლიდან, რითაც იგნორირებულია მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 1925—1946

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლები, თქვენ წარმოიდგინეთ, „დავით გურამიშვილიც".

* კინოფილმი „ქართული ბალეტის ოსტატები" ორჯერ არის საძიებელში — მხატვრულ ფილმებში, სადაც უნდა იყოს და დოკუმენტურში, სადაც არ უნდა იყოს.

* კატალოგის მესამე თავს ეწოდება — „ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმები" უნდა იყოს დოკუმენტურ-ქრონიკალური, როგორც საგანგებოდაა მითითებული „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" (თბ., 1998, გვ. 503).

ბევრ ფილმოგრაფიაში გამოტოვებულია მსახიობები:

„საბა" — შალვა გედევანიშვილი, სეფე ლორთქიფანიძე, გიორგი ჯაოშვილი, ოლღა კეჟერაძე, სერგო ზავრიევი, სამსონ სულაკაური;

„კომუნარის ჩიბუხი" — ნუნუ მაჭავარიანი, ი. მერაბიშვილი, შალვა ხონელი, მერი დავითაშვილი, სერგო ზაქარიაძე (სხვათა შორის, ეს მისი კინოდებიუტია);

„შაქირი" — არკადი ხინთიბიძე, შალვა ალხაზიშვილი, თამარ კალანდაძე;

„ორი მეგობარი" — ლადო კავსაძე, ლადო გვიშიანი;

„ხანუმა" — დიმიტრი ყიფიანი, კოხტა ყარალაშვილი, ლელიკო ხოტივარი, სანდრო კანდელაკი;

„ჯანყი გურიაში" — დუდე ძნელაძე, სეფე ლორთქიფანიძე და ა.შ და ა.შ.

აღდგენილი ფილმების უმრავლესობას არ აწერია ვინ და როდის აღადგინა.

არასწორადაა მოწოდებული უამრავი სახელი და გვარი:

პ. გაფრინდაშვილი (უნდა იყოს — პ. ფრანგიშვილი), ნუცა დოლიძე (ნინო), შოთა ჩაგუნავა (შალვა), სონია ჟოზეფი (სოფია), ნიკო გვარამაძე (გვარაძე), ი. ტრაპაიძე (ვ. ტრაპაიძე), ვ. ბოლენსკი (ობოლენსკი), მ. კარალაში (კარაკაში), ა. მუსერიძე (მურუსიძე), მ. შირაია (შირაი), ფ. გეგელი და ფ. გეგელიძე (გეგელე), ნ. პაჩუევი (ფაჩუევი), ნიკოლოზი შენგელაია (ნიკოლოზ), ნ. ჯანუაშვილი (ანდრო), მ. გალპერინი (ალ. გალპერინი), ვასილ შნოლოვსკი (ვიქტორ), ვალერიან სიდამონ ერისთავი (სიდამონ-ერისთავი), მ. შარაშიძე (გაიოზ შარაშიძე), ნინა შატერნიკოვი (შატერნიკოვა), ნოდარი ჩხეიძე (ნოდარ), ვ. ლავიძე (ალავიძე), ლადო გუდიაშილი (გუდიაშვილი), კადორ ბენსელიმი (ბენ სელიმი), თალაკვაძე გოგოლა (გიგოლა), გ. სარჩიმელია (სარჩიმელიძე), ოთარ დეკანოიზე (დეკანოსიძე), ნ. ნატორნი (ნაგორნი), და ა.შ. და ა.შ.

გაოცებას იწვევს საგანგებო განყოფილება „დანართი", რომელშიც შესულია 1923 — 1962 წლებში გადაღებული 26 მხატვრული ფილმი, მაგრამ არანაირი მოტივაცია, ახსნა-განმარტება არ არსებობს, თუ რატომ, რა პრინციპითაა ეს ფილმები გამოყოფილი ცალკე. ეს ყოვლად გაუმართლებელია.

როგორც ითქვა, კატალოგი ორენოვანია — ქართულ-ინგლისური. ინგლისური თარგმანი, პირდაპირ უნდა ითქვას, სამარცხვინოა. ალბათ, ამიტომაც გამომცემლები ინკოგნიტოდ ტოვებენ მთარგმნელის გვარს. ქართულად მისი გვარი ყოფილა — ჩიგოგიძე, ინგლისურად — ქადაგიძე. ჰოდა, ერთი ეს მიბრძანეთ, ინკოგნიტოობა სხვას რას ნიშნავს?! ამდენად, ვინც არ უნდა იყოს იგი, მისი ნაცოდვილარი ცალკე სტატიას იმსახურებს, მაგრამ ამთავითვე იმას მაინც გეტყვით, რომ ინგლისური ენის ამ ვაისპეციალისტმა ისიც კი არ იცის, თუ როგორ უნდა დაინეროს „ვეფხისტყაოსანი" ინგლისურად. აი, რა სისულელეს გვთავაზობს: "Panther in Panther's Skin" – კიდევ კარგი, რომ ვერც მარჯორი უორდროპი და ვერც ვენერა ურუშაძე ვერ მოესწრნენ ამ უბედურებას.

ასევე სამარცხვინოა კატალოგის რუსული „ვარიანტი", რაც მხოლოდ და მხოლოდ კინოსტუდია „ქართული ფილმის" მიერ გამოშვებული ფილმების სახელწოდებებს გულისხმობს. ესეც ცალკე საუბრის თემა უნდა გახდეს, თუმცა ერთ „მარგალიტს" აქვე შემოგთავაზებთ: ნიკოლოზ სანიშვილის კინოსარეჟისორო დებიუტი არის 1932 წელს გადაღებული ფილმი, რომელსაც დედანში ეწოდება „უდაბნო", ამ ყბადაღებულ კატალოგში კი — „Удобно".

დაბოლოს, ერთი კითხვა კატალოგის „მამებს":

Господа, разве это „УДОБНО"?!



თემურ ბიბილეიშვილი

ოფლი ჭანიშვილი

შემოქმედის დღესასწაული

(თემურ ბიბილეიშვილი)

თემურ ბიბილეიშვილმა, ერთის შეხედვით, თითქოს გვიან მოჰკიდა ხელი ბავშვობიდანვე მისთვის უაღრესად საყვარელ საქმეს. თუმცა ამ გარემოებას მისთვის ხელი არ შეუშლია შემოქმედებითი წარმატებების მიღწევის გზაზე. ამაში თავისი როლი, როგორც ჩანს, იმ გარემოებამაც ითამაშა, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში ქორეოგრაფიული ხელოვნების საიდუმლოებებში ჩახედული სპეციალისტების უძლიერესი თაობა მოღვაწეობდა. სწორედ მათი უშუალო მეთვალყურეობით, მათი მხრივ გამოვლენილი თანადგომის მეოხებით ყალიბდებოდა ქორეოგრაფ თემურ ბიბილეიშვილის შემოქმედებითი თვალსაწიერი და ესთეტიკური პრინციპები. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ აჭარაში ჩვენი თაობის ქორეოგრაფები ზაურ ლაზიშვილი, თამაზ ბეჟანიძე, თემურ ბიბილეიშვილი და პირადად მე, რეზო ჭანიშვილი, და კიდევ რამდენიმე სხვაც, ძალიან დავალებული ვართ პირველი თაობის იმ ოსტატთაგან, რომელთაც ქორეოგრაფიული კულტურის ისტორიაში თვალსაჩინო ეტაპი შექმნეს. დღეს სიამაყითა და სიამოვნებითვიგონებთ იმ წლებს, როცა მე და ბატონი თემური ერთად ვიზრდებოდით და ვოსტატდებოდით. აქვე მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო ბიბილეიშვილების ლამაზ ოჯახს. თემურის დედა — სათნოებითა და კეთილშობილებით აღსავსე, დიდებული ქალბატონი ქეთევანი. მამა — ზნეობრივი სიმაღლით ცნობილი, გამორჩეული მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით, ვაჟკაცი ბატონი ავქსენტი.

... და განსაკუთრებით თემურ ბიბილეიშვილის ცხოვრების მაგალითი და ქართული ცეკვის პირველი მასწავლებელი — მისი ძმა, დიდებული მამულიშვილი, გამოჩენილი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე ბატონი იური ბიბილეიშვილი.

მაინც, რა მოსწონს მაყურებელს ქორეოგრაფ თემურ ბიბილეიშვილის საცეკვაო წარმოდგენებში, კერძოდ „ხორუმსა" და „განდაგანაში"?

შევეცდები მოკლედ აღვწერო ამ ორი ქორეოგრაფიული სურათის ისტორია, ტრადიციები, მათთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ნიშანთვისებები.

„ხორუმი" — ხორუმი ისევე, როგორც ცეკვა „ქართული" ზოგადქართულია და საქართველოს ყველა კუთხის კუთვნილებად იქცა. ცეკვა „ხორუმით" აღფრთოვანებული ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყნის მაყურებელი ერთხმად აღიარებს: ნახეთ ეს საოცარი ქორეოგრაფიული სურათი და თქვენ თვალნათლივ წაიკითხავთ საქართველოს ისტორიას, ქართველების მიერ სამშობლოს დასაცავად გადატანილ გმირულ ომებს, აწმყოსა და მომავალს.

ცეკვა „ხორუმმა" კლასიკური ფორმა შეიძინა და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თავისი წარმოშობით ცეკვა „ხორუმი" საბრძოლო შინაარსის მქონე ცეკვაა, რომელიც პირდაპირ კავშირშია უძველესი ქართველური ტომების მიერ შექმნილ სანახაობათა გამორჩეულ კულტურასთან.

ცეკვა „ხორუმი" ისევე უკიდეგანოა, როგორც გარემო და სივრცე, რომელიც თუნდაც ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი სამყაროა. მაგალითად წარმოვიდგინოთ გარკვეული ზომის წრე და მასში ჩასმული კვადრატი, გავადიდოთ წრე, გადიდდება კვადრატიც. ისევ დიდი წრე, ისევ მიღებული დიდი კვადრატი და ასე უსასრულოდ.

როცა ვსაუბრობთ უსასრულობაზე, ასევე ითქმის ცეკვა „ხორუმზეც". ამიტომ ის ვინც შეეჭიდება ამ პლასტიკურ შედევრს,

აუცილებლად უნდა ჩაწვდეს ცეკვა „ხორუმის" სიღრმეებს, წახნაგებს და შეისწავლოს ქვემო დინებების ყველა მიმართულება. ის ვინც „გაბედავს" და შეეხება ცეკვა „ხორუმს", მან აუცილებლად უნდა იცოდეს ცეკვაში დრამატურგიის კანონების გამოყენების კლასიკური ფორმა. იცოდეს ამ ცეკვის სიუჟეტი, შინაარსი, აზრობრივი და ვიზუალური დატვირთვა, მისი ურთულესი სტრუქტურა და ა.შ.

მე ათწლეულების მანძილზე მრავალჯერ მინახავს თემურ ბიბილეიშვილის მიერ განხორციელებული ცეკვა „ხორუმის" დიდებული ქმნილებები. ყოველი დადგმა იყო და არის ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული, მაგრამ მოქცეული ერთ ქურაში, ერთ სისტემაში, ერთ სტრუქტურაში და, როგორც წესი, მისადაგებული დრამატურგიის კლასიკურ კანონებს, სადაც მუდამ დაცულია მხოლოდ „ხორუმისათვის" დამახასიათებელი და აუცილებელი მოდელი.

ხშირად მომისმენია თემურ ბიბილეიშვილის ნათქვამი: „რომ არ ყოფილიყო ცეკვა „ხორუმი", უფლის კარნახით მე შევქმნიდი მასო". იქნებ ასეთი განცხადება განსაკუთრებული გაბედულებაა. დიახაც, გაბედულებაა — თვალუწვდენი სიმაღლის დაძლევაა. სხვა შემთხვევაში თემურ ბიბილეიშვილი ასეთ შედევრებს ვერ შექმნიდა.

ცეკვა „ხორუმი" თემურ ბიბილეიშვილის შემოქმედების მწვერვალია, მაგრამ ასევე არ გვაოცებს მის მიერ მიგნებული, ახლებურად დანახული და დიდებულად განხორციელებული ქორეოგრაფიული მცირე ფორმის სპექტაკლები, როგორიცაა: „ქართული", „დავლური", „მთიულური", „აჭარული სუიტა", „მხედრული", „ლაზური", „ფარიკაობა", „ძველი თბილისის სურათები", „ხანჯლური", „სამაია", „მოხეური", და სხვა.

„განდაგანა" — საქართველოში, ალბათ, ძნელად მოიძებნება ხალხური ხელოვნების შესახებ მეტნაკლებად მაინც ინფორმირებული ადამიანი, რომელსაც არ ენახოს, არ განეცადოს და თავისად არ მიეღოს აჭარის ქორეოგრაფიულ ფოლკლორულ ყოფაში აღმოცენებული და მერე საქვეყნოდ გავრცელებული ცეკვა „განდაგანა".

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „განდაგანაში" გასაოცარი მხატვრული ძალით არის ერთმანეთთან შერწყმული პოეტური ფანტაზია, სატრფიალო ლირიკის მომაჯადოებელი ხიბლი, ხალასი ხალხური იუმორი და ქორეოგრაფიული პლასტიკის უკვდავი ენა.

„განდაგანა" ბევრი ქორეოგრაფისა და მოცეკვავისათვის გამხდარა შთაგონების წყარო. იგი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს დიდი ხანია გასცდა. „განდაგანას" გამდიდრებასა და კიდევ უფრო გალამაზებას მადლიანი ხელი დაატყო ენვერ ხაბაძემ, ნინო რამიშვილმა, ილიკო სუხიშვილმა, ზაურ ლაზიშვილმა, თამაზ ბეჟანიძემ, რევაზ ჭოხონელიძემ, ფრიდონ სულაბერიძემ, ბესიკ სვანიძემ...

როგორც უკვე ვთქვი, ხომ უკიდეგანოა „განდაგანას" დადგმის შესაძლებლობები, ამოუწურავია მისი დადგმის ხერხები, მაგრამ ამ საოცარ ქმნილებაშიც შესძლო თემურ ბიბილეიშვილმა არსებული კანონების გარღვევა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი საიდუმლოებებით მოახერხა არსებული შედევრის ახლებურად განჭვრეტა და ცეკვა „განდაგანას" ახალ-ახალი ქორეოგრაფიული სურათების შექმნა.

თემურ ბიბილეიშვილი არა მარტო ქმნის, ძერწავს და აჩუქურთმებს ცეკვებს, ასევე არის უბადლო რეპეტიტორიც, რაც გამორჩეულთა თანდაყოლილი ნებისყოფა და დიდი ნიჭია.

თემურ ბიბილეიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით ღირებული, ჩვენი აზრით, მაინც ბავშვთა ქორეოგრაფიაა. ბავშვთა ქორეოგრაფიით დაიწყო მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიაც ამ ნახევარი საუკუნის წინ.

დღევანდელი ბათუმის ბავშვთა სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი "ხორუმი" 2003 წლიდან იწყებს თავის ისტორიას. მაშინ ბატონი თემური აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელი იყო. ამიტომ მას დაევალა ქორეოგრაფიული ანსამბლების ღირსეული ცვლის მზადებისათვის ორგანიზებული ხასიათის მიცემა. ორი თვის მანძილზე ბათუმის ყველა სკოლა შემოიარა და დაწყებით კლასებში შეარჩია 2000-მდე ბავშვი. მათგან კი მკაცრი გაცხრილვის შემდეგ შეირჩა 300 და ასე ჩამოყალიბდა ანსამბლი, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებით შეუდგა ოფიციალურ საქმიანობას. მაგრამ მოხდა ისე, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ სხვა მხატვრულ კოლექტივებთან ერთად ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ხორუმიც" ფაქტობრივად გაუქმდა. ანსამბლი დარჩა სარეპეტიციო დარბაზისა, ხოლო ანსამბლის ხელმძღვანელობა ხელფასის გარეშე.

მაგრამ მშობლების მონადინებითა და მოცეკვავე ბავშვთა საცეკვაო ხელოვნებისადმი უსაზღვრო სიყვარულით ანსამბლი „ხორუმის" არსებობის იდეა მაინც გადარჩა. რეპეტიციები ტარდებოდა ქალაქის სხვადასხვა სკოლის სპორტულ დარბაზებსა და სასკოლო შენობის დერეფნებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ ბატონ თემურ ბიბილეიშვილის თანამებრძოლების დიდებული ქალბატონის, საქართველოს ქორეოგრაფიული დიდი ოჯახის მშვენიერი დიასახლისისა და ორგა-

ნიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ლილი ვარშანიძის, უნიჭიერესი პედაგოგებისა და რეპეტიტორების თამარ კერვალიშვილისა და თორნიკე დოლიძის თავდადება და მხარში დგომა. რომ არ ყოფილიყვნენ ეს ადამიანები, დარწმუნებული ვართ, ანსამბლი „ხორუმის" იდეა დაიღუპებოდა, მაგრამ შემოქმედი ადამიანების პროფესიულმა ინტერესმა, საქმისადმი სიყვარულმა სძლია ყოველივეს და ანსამბლი ისე დადგა ფეხზე, რომ აჭარის საპატიო სტუმრებისთვის პატივისცემის დადასტურებისათვის ხშირად იწვევდნენ კონცერტებზე „ხორუმის" კოლექტივს. ერთ დღესაც ბათუმის ჭადრაკის სასახლეში უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ნახა „ხორუმის" შემოქმედება და მისი ხელოვნებით აღტაცებულმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ბატონ ლევან ვარშალომიძეს სთხოვა შეექმნათ ანსამბლ „ხორუმისათვის" მუშაობის საუკეთესო პირობები. ეს იყო უდიდესი მხარდაჭერა ხელისუფლების მხრიდან, რაც საბოლოოდ იმით დაგვირგვინდა, რომ დღეს ბათუმის ბავშვთა სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ხორუმის" სახით ქართულ ქორეოგრაფიას შეემატა ახალი სტაბილური და საიმედო სამჭედლო ქართული საბავშვო ქორეოგრაფიისა, რომელიც ჭეშმარიტად ახალ ტალანტებს ზრდის. ბატონ თემურ ბიბილეიშვილის ამ ღირსებას საგანგებოდ მიაქცევს ყურადღებას საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ბატონი ფრიდონ სულაბერიძე, რომელიც ასე მიმართავს ქორეოგრაფ თემურ ბიბილეიშვილს: „ხარ ლომი და ბოკვერებს უზრდი საქართველოს". იშვიათი შედარებაა. შემდეგ ბატონი ფრიდონი განაგრძობს: „თემურ ბიბილეიშვილის შემოქმედება საქართველოში კარგად არის ცნობილი. ჩვენი ულამაზესი ქვეყნის თვალწარმტაცი კუთხის — აჭარის ქორეოგრაფია მთელ მსოფლიოს ხიბლავს. მე არაერთხელ მინახავს ბატონ თემურის მიერ დადგმული აჭარული ცეკვები „განდაგანა", „ხორუმი"... სწორედ ამ ცეკვებში გამოვლინდა ყველაზე უკეთ ბატონი თემურის მაღალი ნიჭიერება. მან შეინარჩუნა ცეკვის ყველაზე მთავარი — ხასიათი, რის გარეშეც იგი საინტერესო აღარ იქნებოდა".

ბატონი ფრიდონ სულაბერიძე სამართლიანად გამოარჩევს თემურ ბიბილეიშვილის შემოქმედებაში საბავშვო ანსამბლებთან მუშაობას. ის წერს:

„ბატონი თემური მაყურებლის წინაშე, პირველად, ბავშვთა ანსამბლით წარსდგა და მაშინვე დიდი ყურადღება მიიქცია. მერე სახელმწიფო ანსამბლიც ჩააბარეს. აქაც ბოლომდე გამოამჟღავნა თავისი მონაცემები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი ანსამბლი არცერთ სახელმწიფო ანსამბლს არ უდებდა ტოლს. თემურ ბიბილეიშვილის მიერ მომზადებული კონცერტი თავიდან ბოლომდე საინტერესო იყო. ოვაციები არ წყდებოდა. გემოვნებიანი მაყურებელი ხომ მხოლოდ ნიჭიერებით იხიბლება, მხოლოდ ნამდვილ ხელოვნებას აღიარებს. ეს აღიარება და სიყვარული კი ბატონ თემურს ღირსეულად ხვდა წილად."

ბატონი ფრიდონ სულაბერიძე ჭეშმარიტი ხელოვანისათვის კიდევ ერთ აუცილებელ

თვისებას აფასებს თემურ ბიბილეიშვილის პიროვნებაში, ეს არის გაუბზარავი რწმენა მომავლისა და გულგაუტეხელობა სიძნელეების გამო. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ „ვარდების რევოლუცია", შემდეგ „მაისის რევოლუცია" აჭარაში, საზიანო შედეგებით აღიბეჭდა ბატონ თემურის შემოქმედებაში. მაგრამ მაინც გაუძლო. ბატონ ფრიდონ სულაბერიძესაც ეს მოვლენა აქვს მხედველობაში როცა წერს: „მერე იყო გულისტკივილით თვეები, წლები... თუმცა ბატონი თემური ამით არ გაბოროტებულა და თავის საყვარელ საქმეზე ფიქრი წუთით არ შეუწყვეტია. „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო" — ესეც ქართველი კაცის ნათქვამია. ჭეშმარიტ ნიჭს წინ ვერაფერი გადაეღობება. ბატონი თემური თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდა.

ქორეოგრაფ თემურ ბიბილეიშვილს „ეროვნული ქორეოგრაფიის თავდადებულ მსახურს უწოდებს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არტისტი ბატონი თენგიზ უთმელიძე. მისი შეხედულებით თემურ ბიბილეიშვილის ღვაწლი მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის უნიკალური საუნჯის — ეროვნული ქორეოგრაფიის აღორძინების, განვითარებისა და პოპულარიზაციის მამულიშვილურ საქმეში. „მრავალი წელია, — წერს ბატონი თენგიზ უთმელიძე — თემურ ბიბილეიშვილი საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით, მაღალი პროფესიონალიზმითა და ერთგულებით ეწევა აქტიურ და ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ფოლკლორითა და ტრადიციებით მდიდარ მხარეში — აჭარაში... თავის დროზე ქართული ცეკვების შესანიშნავმა შემსრულებელმა წარმატებით განაგრძო და დღესაც აგრძელებს მოღვაწეობას, როგორც პედაგოგი და ქორეოგრაფი. მრავალი ბავშვი და მოზარდი აზიარა მან ქართული ცეკვის ხელოვნებას აჭარის რაიონების საშუალო სკოლებსა თუ სხვადასხვა ქორეოგრაფიულ წრეებში."

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი დამსახურებულად უმადლის ქორეოგრაფ თემურ ბიბილეიშვილს ერთგულებას ფოლკლორული ტრადიციებისადმი. დღეს ბევრი ნიჭიერი ქორეოგრაფი გაიტაცა რიტმების ხელოვნებამ. თემურ ბიბილეიშვილის შემოქმედება კი კვლავ ერთგულად მიჰყვება ეროვნულ ტრადიციებს. ამიტომ წერს ბატონი თენგიზ უთმელიძეც:

„თემურ ბიბილეიშვილის შემოქმედება ღრმად ეროვნულია და მთლიანად ქართულ ფოლკლორზეა დაყრდნობილი. მის მიერ დადგმულ ცეკვებში ხაზგასმულია საცეკვაო კომპოზიციების მრავალფეროვნება, საინტერესო მუსიკალური თანხლება, შესრულების მაღალი კულტურა და დახვეწილი ესთეტიკური გემოვნება. ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ ნათლად გამოვლინდა თემურ ბიბილეიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ხორუმში", რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში მოქმედ მრავალრიცხოვან ბავშვთა ანსამბლებს შორის.

სასიხარულოა, რომ ხელოვანი დღესაც ჩვეული ენერგიით, დიდი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით განაგრძობს თავის საყვარელ საქმიანობას".

ეროვნულისადმი ერთგულებას და ხალხური ტრადიციების შენახვის სულისკვეთებას უფასებენ თემურ ბიბილეიშვილს კოლეგები და თანამოაზრეები. პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ხელოვანი თენგიზ მაისურაძე გვირჩევს: „ჩვენ თუ გვინდა ვისაუბროთ ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების შენარჩუნებაზე საცეკვაო ფოლკლორში, მის შემდგომ სრულყოფასა და სისპეტაკეზე, უნდა გავეცნოთ თემურ ბიბილეიშვილის შემოქმედებას, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა გზით უნდა ვიაროთ, რათა შევინარჩუნოთ ქართული ხალხური ცეკვების მარგალიტები. მის მიერ აჭარის ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში განხორციელებულ საკონცერტო პროგრამის და ბავშვთა ანსამბლ „ხორუმში" დადგმული ცეკვების ხილვისას დავრწმუნდებით რა დიდ ხელოვანთან, უმაღლეს შემოქმედთან, ბრწყინვალე ქორეოგრაფთან გვაქვს საქმე.

უყურებ რა მის მიერ დადგმულ ცეკვებს, ივსები ემოციებით; ახალ-ახალი ნახაზები ერთი წამითაც არ გაძლევს საშუალებას მოდუნდე, პირიქით, სულ დაძაბული ხარ და უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას განიჭებენ ისინი. გინდა დიდხანს გაგრძელდეს ეს სიამოვნება და რწმუნდები, რომ მხოლოდ ასეთი გზით უნდა ვითარდებოდეს ქართული საცეკვაო ხელოვნება. რა ღარიბი იქნებოდა ქართული ქორეოგრაფია თემურ ბიბილეიშვილის გარეშე."

თემურ ბიბილეიშვილის როგორც ქორეოგრაფისა და პიროვნების ღირსებების შესახებ სპეციალისტები და კოლეგები ერთი შეხედულებისანი არიან. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ თემურ ბიბილეიშვილი არა მხოლოდ ნიჭიერი შემოქმედია, არამედ ნიჭიერი ორგანიზატორიც. ერთია საინტერესო იდეა ჩაესახოს ადამიანს, მაგრამ თუ მისი განხორციელებისათვის მას აგრეთვე არ გააჩნია ძალა, ენერგია და ნებისყოფა, მისი, თუნდაც კარგი იდეა, განწირულია ფიასკოსთვის. თემურ ბიბილეიშვილი, რომლის პიროვნებაში ბედნიერად ერწყმის ერთმანეთს შემოქმედებითი იდეა და მისი განხორ-

ციელების ორგანიზატორული ნიჭი, ჩვენს საერთო აღტაცებას იწვევს. ამ ღირსებებით უნდა აიხსნას ის წარმატება, რაზეც ჩვენი თხოვნით დაწერილ შთაბეჭდილებებში წერენ ქართული ფოლკლორისა და ნაციონალური ბალეტის თეატრ „მეტეხის" დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ქორეოგრაფი გელოდი ფოცხიშვილი და ამ ბალეტის ქორეოგრაფები დავით და გელა ფოცხიშვილები: „თითზე ჩამოსათვლელია ისეთი პიროვნებები, როგორიც ბატონი თემურია. მის მიერ დადგმული ქორეოგრაფიული ნომრები, კერძოდ „ხორუმი" და „აჭარული", თამამად შეიძლება ითქვას, რომ არის ცოცხალი ქართული ქორეოგრაფიული ძეგლები, რომელთაც ბადალი არ მოეძებნება ქართულ ქორეოგრაფიაში".

პროფესიონალი ქორეოგრაფისა და დიდი გამოცდილების მქონე მოღვაწის პოზიციებიდან აფასებს თემურ ბიბილეიშვილის შემოქმედებით შრომას საქართველოს სახალხო არტისტი, ანსამბლ „გორდას" სამხატვრო ხელმძღვანელი ბესიკ სვანიძე: „მე, როგორც ქორეოგრაფმა და გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანმა, შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ბატონი თემურის შემოქმედებით საქმიანობას მუდამ სდევდა არჩეული პროფესიისადმი გასაოცარი ერთგულება. საქმის საფუძვლიანი ცოდნა და სიახლეებისადმი სწრაფვის დაუოკებელი სურვილი. იგი საოცრად მოუსვენარი კაცია. არ იცის რა არის დაღლა და ნახევარი გულით მუშაობა. ვერც თვითონ ისვენებს და არც სხვას ასვენებს — წამოწყებულ საქმეს გზაზე არ მიატოვებს, უთუოდ მიიყვანს ბოლომდე და თანაც ისე, რომ მის გაკეთებულს წუნი ძნელად რომ ვინმემ დასდოს.

მიმაჩნია, რომ თემურ ბიბილეიშვილს, როგორც ქორეოგრაფსა და შემოქმედს, სათქმელი ჯერ კიდევ ბევრი აქვს. ჩვენ, მისი კოლეგები, უფროსები და უმცროსები, აღსაზრდელები და მეგობრები ბატონი თემურისაგან ახალ-ახალ გამარჯვებებს ველოდებით".

ქორეოგრაფ თემურ ბიბილეიშვილის შემოქმედება შთაგონების წყარო აღმოჩნდა თავად მრავალმხრივ მოღვაწე და ცნობილი ქართველი პოეტის ვახტანგ ახვლედიანისათვის, რომელმაც „ხორუმის" ახლებურად დამდგმელ შემოქმედს ეს სტრიქონები მიუძღვნა:

„მთათა დუმილი, არწივთა ფრენა,
მხარული დევნა, მღვიმეთა ენა,
თეთრი ნისლი და ჩანჩქერთა ცვენა
არის ღმერთების ცეკვა — ხორუმი."

დიახ, ჭეშმარიტად ღმერთების ცეკვას ქმნის ქორეოგრაფი თემურ ბიბილეიშვილი.



ნინო ჯაფარიძე

პეტრე ალვარიძის ბახსენება

დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით

100 წელი შესრულდა ფერმწერისა და გრაფიკოსის პეტრე გრიგოლის ძე ალვარიძის დაბადებიდან. იგი 1922 წელს დაარსებული თბილისის (თავდაპირველად საქართველოს) სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა ერთ-ერთი პირველი თაობის წარმომადგენელია.

დაიბადა 1909 წლის 5 აგვისტოს ფოთში, თვითნასწავლი მხატვრის ოჯახში. სახვით ხელოვნებას თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე (1920-31) ეუფლებოდა. ამ დროისათვის საქართველოში პირველი უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი სულ რვა წლის დაარსებული იყო. პეტრე ალვარიძის სწავლის პერიოდში უთავბოლო რეფორმების გამო გარკვეულ ეტაპზე აკადემია რამდენიმე შემადგენელ ნაწილად, მათ შორის პედაგოგიური მიმართულების ინსტიტუტად დაშალეს. ექსპერიმენტები ხელს უშლიდა სტუდენტთა სწავლის პროცესს. თუმცა საუკეთესო პედაგოგიური ძალები ახერხებდნენ ცოდნისმოყვარული სტუდენტების მისწრაფებების მხარდაჭერას. პეტრე ალვარიძეს ხვდა ბედნიერება ესწავლა გამოჩენილ მხატვრებთან — სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ დამაარსებელთან იოსებ შარლემანთან, საფრანგეთიდან ახლადდაბრუნებულ მხატვრებთან ლადო გუდიაშვილთან და დავით კაკაბაძესთან. მოგვიანებით, დიდი როლი მის შემოქმედებაში ითამაშა ქართული პეიზაჟის გამოჩენილმა ოსტატმა ელენე ახვლედიანმა, ვის ჯგუფთან ერთად ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

1935 წლიდან პეტრე ალვარიძე საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია. აქტიურად მონაწილეობდა გამოფენებში. მათ შორის „საქართველოს საბჭოთა მხატვრები" (1936), „საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისადმი მიძღვნილი" (1946), რესპუბლიკური სამხატვრო (1953, 1954). ყველათბილისი; ქართული სახვითი ხელოვნების. ხარკოვი(1956), „ქართული ხელოვნების და ლიტერატურის დეკადა", მოსკოვი (1958), „საბჭოთა საქართველო", თბილისი (1961) და სხვა.

ფერმწერის შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისი რთულ პერიოდს დაემთხვა. იდეოლოგიური ბრძოლის სიმწვავე სახვით ხელოვნებაშიც, ნაწარმოებების თემატიკაში, ფორმაში აისახებოდა. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ავანგარდული ხელოვნების მხარდამჭერები და აპრობირებული, აკადემიური ხელოვნების წარმომადგენლები. ამ ქაოსში რთული იყო საკუთარი ადგილის მოძებნა. პეტრე ალვარიძემ გარკვეული ხარკი იმ დროისათვის აქტუალურ თემატიკასაც გადაუხადა — შექმნა უახლესი ისტორიის პერიპეტიისადმი, ბელადების ცხოვრებისადმი მიძღვნილი სურათები („სტალინი ობსერვატორიაში" (1940), „სტალინი გორის ციხეზე მეგობართან ერთად" (1949), „სტალინი" (1952) და ა.შ. თუმცა მისი შემოქმედების მაგისტრალური ხაზი სხვა თემებზე გადის. შემდგომში ძირითადად მუშაობდა ნატურმორტის ჟანრში, ქმნიდა პორტრეტებს, სურათებს ყოფით თემებზე.

განსაკუთრებული ადგილი მის შემოქმედებაში პეიზაჟის ხელოვნებას უკავია. მისი კოლეგა, ცნობილი ფერმწერი ალექსი გიგოლაშვილი წერდა — „პეტრე ალვარიძე ქართული პეიზაჟური ფერწერის ერთ-ერთი



ღირსეული წარმომადგენელია, საქართველოს ბუნების ასახვა, რომელიც მას განუზომელად უყვარდა, მისი შემოქმედების ძირითადი ჟანრია".

ბევრს მოგზაურობდა საქართველოში. ჟანრმა მისცა საშუალება გამოემჟღავნებინა საკუთარი შემოქმედების საუკეთესო თვისებები — გულწრფელობა, სისადავე, ბუნებისადმი სიყვარული. იგი აფიქსირებს ბუნების განსხვავებულ განწყობას, განათებას, კოლორიტს, სხვადასხვა კუთხის თავისებურებებს — აჭარის ბუნების სირბილეს, მთიანი აფხაზეთის, შიდა ქართლის პეიზაჟების მრავალფეროვნებას, მაღალმთიანი რეგიონების ბუნების კონტრასტებს: „ორთა. ბათუმი", „ზაფხული. ციხისჯვარი", „ბათუმი" (1935), „კვირიკეს მთა დუშეთში" (1937-38), „მეტეხი" (1968), „ბაკურიანი", „გაზაფხული ბორჯომში" (1982) და სხვა.

მნიშვნელოვანი ადგილი მხატვრის შემოქმედებაში თბილისისადმი მიძღვნილ ნამუშევრებს ეთმობა — „ახალი თბილისი" (1950), „ორთაჭალჰესი", „თბილისის ზღვა" (1953-5), „ბოტანიკური ბაღი თბილისში" (1960, ქუთაისის სურათების გალერეა), „თბილისი. პუშკინის სკვერთან" (1961). მან თავისებურად დაინახა კარგად ცნობილი კუთხეები, მათი მრავალფეროვნება.

გარკვეული ადგილი მის შემოქმედებაში ინდუსტრიალურ მოტივებსაც უკავია — „ინდუსტრიული მოტივი" (1956), „ტყვარჩელი" (1956), „მაღარო მთაში" (1956), „ანდეზიტი" (1962). ამ მოტივებმა მისცა საშუალება მხატვარს გამოემჟღავნებინა ფერწერული ფაქტურის ძიების საინტერესო შედეგები, რაც დღესაც ძალზე თანამედროვედ ჟღერს.

დიდი ადგილი პეტრე ალვარიძის შემოქმედებაში ნატურმორტის ჟანრსაც უკავია: „იასამანი", „შემოდგომის ნატურმორტი", „ნატურმორტი იასამნებით". კომპოზიციის სისადავესთან შეხამებული ფერის ზეიმი მის ამ სახის ნამუშევრებს ქართული ნატურმორტის საინტერესო ნიმუშებად აქცევს.

მხატვარი მუშაობდა ლიტერატურული მუზეუმისთვის, მწერალთა სახლ-მუზეუმებისთვის განკუთვნილ ნამუშევრებზე: მწერალთა პორტრეტებზე, მათი ცხოვრებისადმი და შემოქმედებისადმი მიძღვნილ კომპოზიციებზე, იმ ადგილების გამოსახულებებზე, რომლებიც საქართველოს დიდი შვილების სახელთანაა დაკავშირებული — ბაჩანა რაზიკაშვილის პორტრეტი (1938, ლიტ მუზეუმი), „სახლი დუშეთში, რომელშიც ცხოვრობდა ი. ჭავჭავაძე" (1937-38, ილიას საგურამოს სახლ-მუზეუმი) და სხვა.

მხატვრის ზოგიერთი ფერწერული კომპოზიცია, რომელშიც ლირიული ნოტები ჭარბობდა, ეძღვნება ადამიანთა ყოფას — მათ შრომას, დასვენებას კომპოზიციებში: „მანდარინის კრეფა", „მოსავლის კრეფა მესხეთში" (1958).

დიდია პეტრე ალვარიძის წვლილი საქართველოში საექსპოზიციო საქმის განვითარებაში. 1933 წლიდან იგი რამდენიმე ათეული



წელი მუშაობდა ექსპოზიციონერად საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში — გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში, აკაკის, ვაჟას, კ. მარჯანიშვილის, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმებში. მხატვარმა შეძლო შეექმნა გარემო, რომელიც მაყურებელს უადვილებდა საქართველოს დიდი შვილების ცხოვრებისა და შემოქმედების აღქმას.

1943-49 წლებში მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" მულტფილმების საამქროში მხატვარ-დეკორატორად ქართული მულტიპლიკაციის პიონერთან ვ. მუჯირთან, ზუგდიდის დრამატულ თეატრში მხატვრად (1933-34), მხატვარ-გამფორმებლად მარქსიზმ-ლენინიზმის მუზეუმებში.

ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე იგი საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სამხატვრო ცხოვრებაში — იფინებოდა საქართველოში და რუსეთში გამართულ საერთო გამოფენებზე. სამწუხაროდ, მისი ორი პერსონალური გამოფენა მხოლოდ მხატვრის გარდაცვალების შემდგომ გაიმართა — პირველი 1990 წელს „მხატვრის სახლში" მოეწყო. ეს ერთ-ერთი ბოლო „მშვიდობიანი" გამოფენა იყო. მალე შენობა და საგამოფენო სივრცე სამოქალაქო ომის მსხვერპლი გახდა და მხატვრის რამდენიმე ნამუშევარიც შეიწირა.

მეორე ექსპოზიცია 1999 წელს, ფერმწერის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა სურათების ეროვნულ გალერეაში. ამ დროისათვის ნაკლებად იყვნენ შემორჩენილი მისი თანამედროვენი, ახალგაზრდობა თითქმის არ იცნობდა მის ნამუშევრებს. ხანგრძლივი საგამოფენო პაუზის მიუხედავად მისი ნამუშევრები აღიქმებოდა სავსებით თანამედროვედ, ყურადღებას იქცევდა კოლორიტით, მდიდარი ფაქტურით.

საქართველოს სახვითი ხელოვნების ისტორიის სრული სურათის წარმოდგენას იმ მხატვართა შემოქმედების წარმოჩენაც სჭირდება ვინც სხვადასხვა მიზეზთა გამო გარკვეულწილად მეორე პლანზე დარჩა. ასე რომ, პეტრე ალვარიძის შემოქმედება, რომელშიც აისახა ქართული მხატვრობის ისტორიის მანძილზე არსებული მრავალი პრობლემა, სირთულე, ძიება, ქართული ფერწერის ორგანულ და საინტერესო ნაწილს წარმოადგენს.

P.S. ა.წ. 10 სექტემბერს ქარვასლაში გაიხსნა ბატონ პეტრე ალვარიძის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია დამთვალიერებლებში და კიდევ ერთხელ დაგვაბრუნა გასული საუკუნის ხელოვნების იდუმალ სამყაროში.



გალაკტიონ ტაბიძე და ალექსანდრე შანიძე 1957 წლის ნოემბერი.

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია”– ტელ: 93-64-72, 99-01-37 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
3 თვით 9ლარი 6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერ-დამკაბადონებელი
ლექსო ოთარაშვილი

ოპერატორი:
თამარ ტყაბლაძე

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

Web: www.litandart.com.ge

litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე ალვარიძე

669/38

ISSN 1512-3189

ფასი 3 ლარი